# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 204 (5805)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## სისულელეში შესვლა ადვილია, გამოსვლა – პრაქტიკულად შეუძლებელი...




4-6



## ახლა გინდა შეიტანეთ და გინდა გამოიტანეთ – აბდუშაშვილ-ფალავანი ნაქცეულია!

2

## „ეს ხელისუფლება ქართველ ხალხს სულიერად ანადგურებს“!



3

## ერთხელ სტალინმაც კი აღიარა, რომ ცდებოდა. ასე რომ, ბატონო პრეზიდენტო, ჯერი თქვენზეა

7



## გამომძიებელმა თითის ანაბეჭდები გააქრო,

ანუ როცა კანონიერებას თვითონ უჭირს

12



## ...„რაითა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის“

მან არ დატოვა ვარშავა დაბომბვის მძიმე დღეებში. მამა გრიგოლს ჯვრით ხელში ყველაზე სახიფათო ადგილებში ხედავდნენ, იგი მიცვალებულებს აბიარებდა და გაჭირვებულებს ეხმარებოდა. განსაკუთრებით ესარჩლებოდა ებრაელებს, ფაშისტების სამსახურში მყოფმა ერთმა ქართველმა მამა გრიგოლი დაასმინა და იგი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა, სადაც ნებაყოფლობით შეენაცვლა გაზის კამერაში თავის ებრაელ მრავალშვილიან სტუდენტს

8-12

# დღეს

**ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ საჭიროა ხალხთან დალაპარაკება. ხალხს რომ დაელაპარაკო, დათმობაზე უნდა წახვიდე. სანამ ბოკერიაა ხელისუფლებაში, ხომ იცით, რომ დათმობაზე არ წავა**



◎ ვითარება

# რისი აღიარების ტოლფასია სავალუტო საბჭოს შექმნა?

## რა საერთო აქვთ ერთმანეთთან რუსეთს, კამბოჯას და ეროვნულ ბანკს?

**ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების ფონზე, ბანკების თემამ აქტუალობა შეიძინა. ჯერ ხმა გავრცელდა, ეროვნული ბანკი უქმდებაო, მერე საქართველოს მწვანეთა პარტიამ მთავრობა რუსული კაპიტალის ექსპანსიაში დაადანაშაულა და რუსული კაპიტალის ბუდედ მონათლა რამდენიმე ბანკი.**

უქმდება თუ არა ეროვნული ბანკი? — ამ შეკითხვაზე პარლამენტის საფინანსო და საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ზურაბ ზუცხრიკიძემ** კატეგორიული ტონით მოგვიგო, რომ ეროვნული ბანკის გაუქმებაზე არც პარლამენტში, არც მთავრობაში და არც ეროვნულ ბანკში არ ლაპარაკობენ. თუმცა, არ არის გამორიცხული, რაღაც რეფორმირება მოხდეს. მაგრამ რა, ბატონ ზურაბს არ დაუკონკრეტებია.

იგივე შეკითხვით მივმართეთ „მამარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელს **ირაკლი იაშვილს.**

— მთავრობაში ასეთ რაღაცას ფიქრობენ, მაგრამ არ ვიცი, გადაწყვეტილება მიღებულია თუ არა...

**— გახმიანდა, რომ პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს შორის პარლამენტში ეროვნული ბანკის გაუქმების ინიციატივაც შევა...**

— რაო, რაო?..

**— ეს პრესკონფერენციაზე გაახმიანეს...**

— არ ვიცი, ამათ რა პრესკონფერენცია ჰქონდათ. არც ეს ცვლილებები მინახავს. მაგრამ ჭორების დონეზე, ვიცი, რომ მთავრობაში ეს მოსაზრება არის, ეს ინიციატივა ბენდუქიძისგან მოდის. ალბათ, თქვენც აქედან გაიგეთ. რამდენად გადაწყვეტილია, ვერ გეტყვით... ჩვენთან ასე ხდება, ჯერ ლაპარაკს დაიწყებენ, მერე გადაწყვეტენ.

**— პარლამენტში ფინანსთა მინისტრ გილაურთან შეხვედრის დროს ოპოზიციამ წამოჭრა ეს შეკითხვა. თქვენ იქ არ იყავით?**

— არა, არავის მოვუწვევივარ, მაგრამ იქ რომ ვყოფილიყავი, ამ შეკითხვას მაინც დავსვამდი, რადგან ამ საკითხზე ჩემეული მოსაზრება მაქვს, შეიძლება თუ არა ამის გაკეთება.

**— ოპოზიციას გაუქმების შესახებ ეჭვი ეროვნული ბანკის წაგებაზე მუშაობის გამო დაებადა. თქვენც ეთანხმებით ამას?**

— ეს არ არის საშიში. გაუქმებაზე ლაპარაკი უფრო სხვა მოსაზრების გამო არის — სავალუტო საბჭოს შექმნა ქვეყანაში მაღალი ინფლაციის აღიარებას ნიშნავს. ამას სხვა ვერაფრით ავხსნი. თავის დროზე, 1991 წელს მსგავსი რამ არგენტინაშიც მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალი ინფლაცია იყო და მას სხვანაირად ვერ ებრძოდნენ.

**— ანუ, გაუქმების თემას არც საბანკო სექტორის რუსული გავლენის ქვეშ მოქცევა უკავშირდება?**

— არა, არც რუსეთს და არც კამბოჯას არ უკავშირდება. მხოლოდ და მხოლოდ მთავრობაში მიღებული გადაწყვეტილებაა.

ესაუბრა
**ნატა ნიბლაძე**

◎ ახალი ფრაქცია

**საპარლამენტო ფრაქციის „ჩვენი საქართველოს“ ლიდერი ვალერი გელბახიანი ფიქრობს, რომ ახალი ფრაქციის ჩამოყალიბება, უწინარესად, ქვეყანაში და პარლამენტში შექმნილმა ვითარებამ, განსაკუთრებით იმ პრობლემებმა განაპირობა, რომლებიც მთავრობისა და ხელისუფლების მიერ უგულებელყოფილია. „ცხოვრობდე ასეთ ქვეყანაში, იყო პარლამენტის წევრი და ეს საკითხები არ გაწუხებდეს, ნიშნავს, რომ ვერ აცნობიერებდე საკუთარ ადგილს ქვეყანაში. ოჯახი, მეზობლები რომ შეგეკითხებიან, ხომ უნდა უპასუხო? მართალია, ჩემთვის პარლამენტი და პოლიტიკა ახალი ხილი არ არის, მაგრამ თუ იმავდროულად, ქვეყნის ღირსეული მოქალაქე ხარ, შექმნილ ვითარებაზე დაფიქრება გმართებს, ვითარება კი კრიტიკულია და გამოსავალზე უნდა იფიქრო...“**

# რატომ გაახსენდა ვალერი გელბახიანს ჭიდაობის სცენა „ბაში-აჩუკიდან“, ანუ ვინ არის აბდუშაჰილი?

**— ანუ შექმნილი კრიტიკული ვითარებიდან გამოსავლად ახალი ფრაქციის შექმნა მიგაჩნიათ?**

— არა, ასე ნუ გაიგებთ. ფრაქციის შექმნა კი არ არის გამოსავალი, არამედ ფრაქციის მიერ დაყენებული საკითხები. ფრაქციას აქვს პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა. პროგრამის ეკონომიკური ნაწილი გულისხმობს ქართული სოფლის გადარჩენის კონცეფციას: აგრარული სექტორი მთლიანად ილუპება, სოფლები იცლება, სოფლად სკოლები, ყველანაირი საგანმანათლებლო დაწესებულებები იხურება; მუშახელის დიდი იმიგრაციაა, მაღალია უმუშევრობა, პენსიები — დაბალი. თითქმის ყველაფერზე ფასებმა მოიმატა, ადამიანის შემოსავალი მის ხარჯს ველარ სწვდება და ამიტომ იგი სოციალურად გარანტირებული აღარ არის.

სოფლად გლეხი ტრაქტორს ვერ ქირაობს, ვერ ხნავს, ვერ თესავს. სოფელს ძალიან უჭირს. ჩვენ 6 კანონი გვაქვს მზად, რათა სოფლად მაცხოვრებელს მივცეთ სახელმწიფოს დახმარების გარანტია. თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სახელმწიფო ამ სფეროს განვითარებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფს ფულს. მაგრამ ჩვენთან ასე არ ხდება. ამიტომ აუცილებელია პოლიტიკური აქტივობა, იქნებ ხელისუფლება პოლიტიკური მექანიზმებითა და ბერკეტებით ვაიძულოთ საკუთარი ხალხის პრობლემების გადაწყვეტაზე იზრუნოს.



ქვეყანაში ნამდვილი კრიზისია შექმნილი.

**— თქვენი ფრაქცია კონკრეტულად რას სთავაზობს მოსახლეობას აგრარულ სექტორში?**

— ჩვენ გვინდა, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს აგრარული ეკონომიკის განვითარების, ანუ ქართული სოფლის გადარჩენის კონცეფცია, მიიღოს მინიმუმ 5-6 კანონი, უპირველესად — სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების, ფერმერული მეურნეობის შესახებ კანონები, ისევე, სოციალურ-ეკონომიკური შეღავათებისა და გარანტიების, მაღალმთიანი რეგიონებისა და სოფლად მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ კანონები.

ამ კანონების პარალელურად ანტიმონოპოლიური კანონმდებლობაც უნდა არსებობდეს. სხვანაირად სოფელი არ განვითარდება, უამკანონებოდ ბიუჯეტს ვერავინ დაავალდებულებს, რომ ყოველწლიურად სოფლის მეურნეობისთვის სპეციალური თანხები გამოიყოს.

ჩვენ უნდა დავანახოთ მოსახლეობას, რომ სოფლად ეკონომიკის გადარჩენის რესურსი არის, რათა ხალხი ქალაქებიდან სოფლებში მიბრუნდეს და ღირსეულად დაიწყოს ცხოვრება, როგორც ეს ჩვენს მამა-პაპას სჩვევია.

**— ქვეყანაში ვითარება უკიდურესად დაძაბულია, თქვენი ფრაქციის პოლიტიკური პროექტი რას გულისხმობს?**

— დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, საპრეზიდენტო მმართველობის მესამე ციკლია, და სამივე ეს ციკლი კრიზისული მოვლენების ფონზე მიმდინარეობს. ამ ქვეყანამ სამი დიდი კრიზისი გადაიტანა. რადგან ეს სისტემამ გამოიწვია, ანუ სისტემური კრიზისია, ვიდრე ეს პოლიტიკური სისტემა იარსებებს, მანამდე კრიზისები მუდმივად გვექნება. ამიტომ დასკვნაა გასაკეთებელი — შესაცვლელია საპრეზიდენტო მმართველობა და საპარლამენტო მმართველობაზე საჭიროა გადასვლა.

ქვეყანაში მძაფრი საპროტესტო განწყობილება რომ სუფევს, მიტინგებითაც კარგად ჩანს. ჩვენ არ უნდა დაველოდოთ, როდის შეიკრიბება 100 ათასი კაცი და ამ ხელისუფლების გაშვებას მოითხოვს, დიალოგის რეჟიმში მუშაობა აუცილებელია, იქნებ თავისუფალი არჩევნები დაინიშნოს. თორემ თუ ის ხალხი მოგადგა, მერე ისე კარგად დაგანიშნინებს და ისე გაგიშვებს, ვითომც არაფერი მომხდარაო.

ხშირად ასეთი პროცესები უმტკივნეულოდ და უმსხვერპლოდ არ მთავრდება. ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ საჭიროა ხალხთან დალაპარაკება. ხალხს რომ დაელაპარაკო, დათმობაზე უნდა წახვიდე. სანამ ბოკერიაა ხელისუფლებაში, ხომ იცით, რომ დათმობაზე არ წავა. ამიტომ ბოკერიები და სხვა დანარჩენები მარგინალურ ფუნქციას ასრულებენ. უნდათ, რომ კატასტროფა მოხდეს ქვეყანაში, რათა სკამი შეინარჩუნონ. კიდევ გავიმეორებ, ქვეყანაში ძალზე მძიმე ვითარებაა შექმნილი.

**— ერთ ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ ხელისუფლების პოლიტიკაა გლეხს არსებობის საშუალება მოუსპოსო... რატომ აკეთებს ამას ხელისუფლება?**

— ეს ადვილი ამბავია. ხელისუფლებას ფული აქვს ბიუჯეტში, მაგრამ თუ გამჭვირვალეს გახდის ხარჯვით ნაწილს, გლეხს ფულს მისცემს და გაამდიდრებს, თვითონ მერე რაღას იშოვის?

**— მართალია, რომ ნაციონალების ზემოქმედების ქვეშ შეიქმნა თქვენი ფრაქცია?**

— ამ ფრაქციის შექმნაზე უფრო მეტნი ვიყავით შეთანხმებული. მერე რომ გაიგეს ეს ამბავი, ალბათ, არ მოეწონათ. თუ ბოკერიას დაუჯერებ, თურმე რუსული ფრაქცია შექმნილა. გამოდის, რომ მათი გადმოსული წევრებიც პრორუსულები არიან. სხვა არგუმენტი არ აქვთ და რუსები, რუსებიო დაუჩემებიათ.

ქვეყანაში ვინ შექმნა მძიმე ვითარება — რუსებმა თუ ამ ხელისუფლებამ? ჩემთვის ერთნაირად მიუღებელია რუსების და ამერიკელების აგენტობაც. აგენტი აგენტია. ბოკერიასთვის სამარცხვინოა რუსეთის აგენტობა, მაგრამ საამაყოა ამერიკელებისა. ჩემთვის ორივე სამარცხვინოა, აი, რა განგვასხვავებს ჩვენ.

არ მინდა ახლა ზეწოლასა და დაშინებაზე ვილაპარაკო. ფრაქცია შექმნილია. „ბაში-აჩუკისა“ არ იყოს, გინდა შეიტანეთ და გინდა გამოიტანეთ — ფალავანი წაქცეულია. აგრეა ეს ამბავი.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ინფორმაცია

## აღდგეს კონსტიტუციური სამართლიანობა

**ოპოზიცია ხელისუფლებისგან კონსტიტუციური სამართლიანობის აღდგენასა და კონსტიტუციის ვადებში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ითხოვს. ეს მოთხოვნა დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენელმა კახა კუკავამ სესიაზე დააყენა.**

კუკავამ მიმართა პარლამენტარებს, რომ დაიწყოს დეპუტატთა ხელმოწერების შეგროვება კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ძველ ნორმას აღადგენს.

კონსტიტუციაში ცვლილების შესატანად 118 დეპუტატის თანხმობაა საჭირო და როგორც კუკავა აცხადებს, დღევანდელ ვითარებაში გამოსავალი მხოლოდ არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებაა.

— ეს არის ისტორიული შანსი თავად ჩვენი პრეზიდენტისათვის. მე მეჩვენება, რომ გარკვეული წრეები მას მოუწოდებენ არა დიალოგისაკენ, არამედ უბიძგებენ კრიზისებისკენ, რაც საბოლოოდ ქვეყანას ასუსტებს, — განაცხადა კუკავამ.

კუკავამ 17 წლისწინანდელი მოვლენები გაიხსენა, როდესაც ზვიად გამსახურდიას მოწოდებით მაშინდელმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო.

## ვადამდელი არჩევნები თუ გვიშველის

**ახალი მემარჯვენეების ლიდერმა დავით გამყრელიძემ საგანგებო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, „კრიზისიდან გამოსავალი არის მხოლოდ ვადამდელი არჩევნების ჩატარებაში“.**

დავით გამყრელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი აქციების წინააღმდეგია და გამოსავალს სწორედ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში ხედავს.

ამასთან, გამყრელიძე ხელისუფლებას საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასაც სთხოვს.

**ინტერპრესნიუსი**

● „ვარდოსნები“ ასეთი პრინციპით მოქმედებენ: სანამ ჩემთან ხარ, რაც გინდა ჩაიდინე, მაგრამ თუკი ჩემს აზრს და ერთგულების პრინციპს უღალატებ, მაშინ ყველაფერი მოგეკითხება



⦿ კომპეტენტური აზრი

# ელიზბარ ჯაველიძე:

# „ეს ხელისუფლება ქართველ ხალხს სულიერად ანადგურებს“!

## „პრეზიდენტი ილუზიებით ცხოვრობს“

*პრეზიდენტმა საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ განაცხადა, ქართულ პრესას არ ვკითხულობო. მის ნათქვამს მთავრობის სხვა წევრებმაც კვერი დაუკრეს. ამდენად, ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებრიობის აზრს ყურად არ იღებენ.*

*ხალხს კი ხელისუფლების მიმართ კითხვები დღითი დღე ემატება, მაგრამ მათზე პასუხი იგვიანებს. მოთმინების ფიალა კი ივსება და სადაცაა გადმოვა.*

*რა გააერთიანებს ქართველ ხალხს? რა არის ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა? ამ და სხვა საკითხზე აზრს გვიზიარებს მოძრაობა „XXI საუკუნის“ ლიდერი ელიზბარ ჯაველიძე.*

**— ირაკლი ოქრუაშვილმა ოპოზიციაში გადასვლა თამამი, სერიოზული განცხადებებითა და ბრალდებებით დაიწყო. მოვლენები ისე განვითარდა, რომ შემდეგ მან ყველა ბრალდება უარყო და პოლიტიკიდანაც წავიდა.**

— ირაკლი ოქრუაშვილს აუცილებლად გაცნობიერებული ჰქონდა, თუ რას, რატომ და რა მიზნით აკეთებდა. მან იცოდა და მეც ვიცოდი, რომ ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრობის დროს პროკურატურამ მისი საქმეების ე. წ. კორუფციული მომენტების შესწავლა დაიწყო. ამ საქმემ რამდენიმე ტომი შეადგინა და პროკურატურის თაროზე შემოდო. მას კარგა ხანს ალბათ არც ჩამოიღებდნენ და დაიმტვერებოდა, რომ არა ოქრუაშვილის ასეთი აქტიურობა. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმაც და ირაკლი ოქრუაშვილმაც კარგად იცოდნენ ერთურთის „საიდუმლოებანი“, რადგან ისინი ერთმანეთის ავანჩავანნი იყვნენ. ირაკლი ოქრუაშვილმაც კარგად უწყოდა, თუ რას იქმოდა სააკაშვილი და სააკაშვილმაც იცოდა ირაკლი ოქრუაშვილის „საქმენი საგმირონია“. აქ იყო ერთგვარი ზეპირი შეთანხმება და ალბათ დაპირებაც, რომ სააკაშვილი ოქრუაშვილს პოლიტიკურ სარბიელზე ისევ დააბრუნებდა და სტატუსსაც აღუდგენდა. მაგრამ, ისეთი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, რომ ოქრუაშვილს პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლის შესაფერისი ჟამი დაუდგა. მან პარტიის ჩამოყალიბება და ხალხის შემოკრება გადაწყვიტა. სააკაშვილმა გააცნობიერა, რომ ეს საშიში და ანგარიშგასაწევი ძალა იყო, ამიტომ მის ირგვლივ მყოფი ადამიანების დაჭერას შეუდგა. ოქრუაშვილი გონიერი და გამოცდილი კაცია, ამასთანავე როგორც ყოფილი გენერალური პროკურორი და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, „ვარდოსნების“ ბუნებას ძალზე კარგად იცნობდა. ის მიხვდა, რომ მასაც დაიჭერდნენ, ამიტომ ხელისუფლებას დაასწრო და პრევენციული ნაბიჯი გადადგა. მას რომ ეს ყველაფერი დაჭერის შემდეგ ეთქვა, ხალხი ამას არ დაიჯერებდა, რადგან მის განცხადებას გაბრაზებული და დაბოღმილი ადამიანის ნათქვამად აღიქვამდნენ.

ჩემი აზრით, რაც მან განაცხადა, სიმართლეა. ეს სიმართლე ასჯერ რომ გადაათქმევინონ, მას ხალხში ფესვები უკვე გადგმული აქვს. ვფიქრობ, ორივე, ოქრუაშვილიც და სააკაშვილიც დამნაშავე და კორუმპირებულია. არ ვიცი, ვინ რამდენი აილო, მაგრამ ვიცი ეს ადამიანები რომელ სისტემაშიც მოქმედებდნენ. ეს სისტემა ამერიკის შექმნილია.

ამას აცხადებს ძალზე ცნობილი პოლიტოლოგი და ეკონომიკური მკვლევარი პერკინსი თავის მშვენიერ ნაშრომში „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“. პერკინსი გვარწმუნებს, რომ ამერიკამ შექმნა სისტემა, რომელსაც სხვა ქვეყნებს ახვევს თავს. და სისტემა კი მთლიანად კორუფციაზეა დაფუძნებული. ისეთი გარიგება თუ პიროვა იდება, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ხელისუფლებას სრული უფლება ენიჭება პირადი თუ ახლობლების ნებისმიერი გზით გამდიდრებისა, მაგრამ სანაცვლოდ, მან საკუთარი ხალხი შიმშილის დონემდე უნდა დაიყვანოს და ვალებში დაახრჩოს. საქართველოში სწორედ ეს პოლიტიკა ხორციელდება.

**— სააკაშვილი ოქრუაშვილის ბრალდებებზე არ უპასუხებს, ამბობს, ეს სისულელეა და ამიტომ არ ვცემ პასუხსო...**

— ასე იმიტომ იქცევა, რომ კარგად იცის, ამ სისტემაში მოღვაწე ადამიანი აუცილებლად კორუმპირებულია. ამდენად, სისულელე იქნება იმის მტკიცება, რომ ირაკლი ოქრუაშვილი „ფრთიანი ანგელოზია“, რადგან ისიც კორუფციაში იყო გარეული. ახლა ამბობენ, რომ მას 320 მილიონი დოლარი აქვს გაფლანგული, მაგრამ თუ ეს მართლაც ასეა, სად იყვნენ მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები, როცა მისი ქებით ენას იღლიდნენ?

მოკლედ, „ვარდოსნები“ ასეთი პრინციპით მოქმედებენ: სანამ ჩემთან ხარ, რაც გინდა ჩაიდინე, მაგრამ თუკი ჩემს აზრს და ერთგულების პრინციპს უღალატებ, მაშინ ყველაფერი მოგეკითხება. ხელისუფლებაში ერთმანეთს შიშის გამო ერთგულობენ, მაგრამ როგორც კი მიხვდებიან, რომ მიხეილ სააკაშვილს საქმე გაურთულდა, მისი გარემოცვის წევრები ვირთხებივით გაიქცევიან.

ირაკლი ოქრუაშვილს თვალებში ემჩნეოდა, რომ ნორმალურ მდგომარეობაში არ იყო. ამის მიუხედავად, მისი განკითხვა მაინც არ შეიძლება, რადგან სანამ ამ ყველაფერს საკუთარ თავზე არ გამოცდი, სანამ შენი ოჯახის წევრებს: შვილს, მეუღლეს არ დაემუქრებიან, ვაჟკაცობაზე ლაპარაკი იოლია.

**— როგორ ფიქრობთ, ამ მოვლენებმა საზოგადოებრიობა ორად გახლიჩა თუ პირიქით, გააერთიანა?**

— მთავარი ის არის, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ძალზე მტკიცე გადაწყვეტილებამ და მხილებამ ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. მანამდე ასეთი რამ მრავალმა განაცხადა, მაგრამ ამას ეფექტი არ ჰქონდა. საზოგადოებრიობა გუმანით მიხვდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა სისტემიდან „ამოხტომა“ მოინდომა. ამ სისტემის ღვიძლი შვილის მხილებას დიდი ფასი აქვს, რადგან ამით ეს სისტემა შიგნიდან ინგრევა. ეს კარგად იცის ამერიკამაც. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ამერიკის მითითებით დაიჭირეს და მისივე მითითებით გამოუშვეს. ამერიკას ეშინოდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის რგოლის მოშლით, სისტემის ნგრევა დაიწყებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის პოლიტიკურ გვამად აქციეს, პოლიტიკურად მოკლეს. მათი გაგებით იგი საშიში აღარ არის. ჩემი აზრით, ის თავის სიტყვას კიდევ იტყვის, თუმცა ძალზე მეშინია, რომ ფიზიკურად არ გაუსწორდნენ, რადგანაც ბევრი რამე იცის, რის თქმას ამ სისტემას ზიანს მოუტანს. საერთოდ, ხალხი ერთ რამეში დარწმუნდა. ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ეს ხელისუფლება შუასაუკუნეების მეკობრეებს მაგონებს, რომლებიც კუნძულს იპყრობდნენ და გარკვეული დროის მანძილზე ძარცვავდნენ მას. ამჯერადაც, ხელისუფლებას ხალხისადმი ასეთი დამოკიდებულება აქვს, ამიტომაც აღსდგა და გაერთიანდა ხალხი და ქუჩაშიც გამოვიდა. ქუჩაში ხალხის სიმრავლე ამ ხელისუფლების „დამსახურებაა“. ქართველების მოთმინების ფიალა აევსოთ. ასე, რომ ამ აგორებულ პროტესტს ველარაფერი ჩაახშობს.

ახლა ხელისუფლება რაც უნდა ჭკვიანურად მოიქცეს, ამ პროტესტის ტალღას ველარ შეაჩერებს.

**— რამდენად მყარია ოპოზიციის გაერთიანება?**

— საზოგადოებრიობის გაერთიანება მხოლოდ და მხოლოდ ერთი პირობით შეიძლება გამართლდეს — ოპოზიციამ „ერთიანი ეროვნული საბჭო“ შექმნა, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ეს გაერთიანება მხოლოდ ერთი მიზნითაა განპირობებული; მათ ეს ხელისუფლება გააძევონ. ეს კარგი საქმეა, მაგრამ მთავარია, მერე როგორ ვუშველოთ ერს! ვიცი, რომ ამ ხელისუფლების საქმე დამთავრებულია, მაგრამ მერე როგორ უნდა წარვმართოთ ჩვენი ქვეყნის ბედი? აი, ეს არის არსებითი! ამ „ერთიან ეროვნულ საბჭოში“ მოკალათდნენ ისეთი ადამიანებიც („რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლები თინა ხიდაშელისა და მისი მეუღლის თავკაცობით, „თანასწორობის ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაინდრავა, „ხალხის პარტიის“ ლიდერი კოკა დავითაშვილი, „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი და სხვაძ, რომლებიც ანტიეროვნულები არიან და ქართულ სულიერებას, ზნეობას, კულტურას ებრძვიან. მათ ფარისევლობით მანიფესტი საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში წაიკითხეს. ეს მასონების ძველი მეთოდია. ისინი ქართველი ხალხის სულიერ მამასთან მიდიან ისე, რომ ეროვნულ ინტერესებსა და პრობლემებზე სიტყვასაც არ ძრავენ. გაცილებით უფრო ეროვნულად მიმაჩნია ბადრი პატარკაციშვილის პროგრამა. მართალია, მასში ლაფსუსებიც მოიპოვება და ნაღმებიცაა ჩადებული, მაგრამ პატრიოტიზმის მომცველი აშკარა მოწოდებებიც ისმის: საქართველო უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ინტერესები სხვა ქვეყნების ინტერესებზე — მაღლა! მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს სასხვათაშორისოდ, ქართველთა გულის მოსაგებად არის ნათქვამი, მაგრამ მის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, რადგან მრავალი ებრაელი მეგობარი მყავს აქაც და საზღვარგარეთაც, რომლებსაც ჭეშმარიტად ქართველებზე ნაკლებად როდი უყვართ საქართველო.

**— პრეზიდენტმა ოპოზიციას დიალოგისკენ მოუწოდა, მაგრამ ჯერჯერობით ეს შეხვედრა არ შემდგარა. თქვენი აზრით, გაერთიანებული ოპოზიცია მისთვის საფრთხეა?**

— სამწუხაროდ, პრეზიდენტის ხასიათის ამოცნობა ძალზე რთულია. იმის მიუხედავად, რომ ის ჩემს თვალწინ იზრდებოდა, ვერ ვიტყვი, რომ მასზე სრული წარმოდგენა მაქვს, რადგანაც მიხეილ სააკაშვილის ბუნება და ხასიათი როდის რა ფორმით წარმოჩინდება, არავინ იცის. ის ჩამოუყალიბებელი ხასიათის ადამიანია, რომელსაც მდგრადობა აკლია. მისი სიტყვა და საქმე ურთიერთდაშორებულია, ანუ რასაც ამბობს, იმას ხშირად არ ასრულებს. პრეზიდენტმა მასთან მისული ოპოზიცია არ მიიღო, რადგან არ სურს განიფანტოს ის ილუზიები, რომლებიც მან თავის თავს შეუქმნა. ის ილუზიებით ცხოვრობს და ფიქრობს, რომ საქართველო მისგან იწყება, რომ ქართველი ხალხი ბედნიერია, საქართველო ეკონომიკურად პირველი ქვეყანაა და ის სრულ დამოუკიდებლობას მიაღწევს. ეს ყველაფერი მისი ილუზიაა, ამიტომაც ის სპილოს ძვლის კოშკში ცხოვრობს და იქიდან გამოსვლა არ სურს. ამის გამო, როდესაც ხალხმრავალი მიტინგები იმართება, ქვეყანაში ძალზე მწვავე პრობლემებია გადასაწყვეტი და ამ ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება, ის საქართველოდან გარბის. ეს ბოლო მოვლენებიც ამას ამტკიცებს.

მეორე მხრივ, ოპოზიციის მიერ პრეზიდენტთან შეხვედრის მოთხოვნა ფარსია. მათ კარგად იციან, რომ ამ შეხვედრით ვერაფერს მიაღწევენ. ისინი თუ ვილაცას თავის დემოკრატიულობასა და ლიბერალობას უმტკიცებენ, ეს მათი პრობლემაა. ჩემი აზრით, ამ ხელისუფლებასთან კუდის ქიცინით ლაპარაკი არ შეიძლება, ოპოზიცია რაც უფრო უდრეკ და მტკიცე გადაწყვეტილებებს მიიღებს, ქართველი ხალხი მით უფრო მოიგებს. ჩვენ არჩევნებს თუ დაველოდებით, გარწმუნებთ, რომ ეს ხელისუფლება ხმების ლამის 100 პროცენტს მოიგებს. ამ „ვარდოსნებს“ საარჩევნო ხმები არ აინტერესებთ, ამიტომაც საზოგადოებრიობას ანგარიშს არ უწევენ. ისინი საარჩევნო ბიულეტენებს თავად დააწერენ საბოლოო შედეგს და ასე გაიმარჯვებენ. საჭიროა, ახალი საარჩევნო სისტემა შეიქმნას და ხალხს არჩევანის ნება მიენიჭოს. მანამდე კი ეს ყველაფერი ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ანუ ეროვნულ უზენაეს საბჭოს უნდა გადაეცეს.

**— ოთხი წლის მანძილზე ამ ხელისუფლების ყველაზე დიდ შეცდომად ან ნაკლად რა მიგაჩნიათ?**

იხ. 4 გვ.

⦿ ინფორმაცია

## ხელისუფლებას და მმართველ პარტიას მეთოდები მოუძველდათ

საპარლამენტო ფრაქცია „ჩვენი საქართველოს“ წევრი გოჩა ჯოჯუა პრორუსულობის შესახებ ბრალდებებს პასუხობს.

როგორც ჯოჯუამ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის ლიდერებს უკვე მოუძველდათ მეთოდები, როდესაც მას და მის მეგობრებს პრორუსულობაში ადანაშაულებენ.

„ჩემთვის ერთნაირად მიუღებელი და სამარცხვინოა, იყო პრორუსული და იყო პროამერიკელი, რადგან ქვეყანას, რეალურად, პროქართველები უნდა მართავდნენ“, — აღნიშნა დეპუტატმა.

მისივე თქმით, სამარცხვინოა, როდესაც ქვეყნის უმაღლესი პირები პირდაპირ ატარებენ რომელიმე ქვეყნის ინტერესებს. ეს კი, დეპუტატის აზრით, სახელმწიფოს ღალატია.

დეპუტატი აცხადებს, რომ იგი ბრალს დებს ხელისუფლებას სასამართლოს არარსებობაში, პოლიტპატიმრების არსებობაში, აგრეთვე, ხალხთან დაშორების გამო და იმაშიც, რომ ხელისუფლება იძულებული იყო, ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებული მოვლენების გამო თავდაცვის უწყებაში კორუფციის არსებობა ეღიარებინა. „ამან პირდაპირი საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყნის ნატოში გაწევრიანება“, — მიაჩნია ჯოჯუას.

მისი თქმით, ქვეყნის ლიდერებმა მაქსიმალურად გაამწვავეს ურთიერთობა რუსეთთანაც, ცივი ომის მდგომარეობაში ჩადგნენ და ქვეყანა ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საფრთხის წინაშე დააყენეს.

## დაპატიმრება კი არა, მათი დაჯარიმებაც კი არ შეიძლებოდა

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ახალგაზრდული მოძრაობის წევრების გზის გადაკეტვის ბრალდებით დაკავება უარყოფითად შეაფასა.

როგორც სოზარ სუბარმა გუშინ თბილისის პოლიციის სამმართველის დროებითი მოთავსების № 2 იზოლატორში შესვლამდე განაცხადა, ის, რაც აქციის დროს მოხდა, სრული უკანონობაა.

„ცენტრალურ გზაზე გადასვლა ყოველთვის ხდება, როდესაც ტროტუარი გადაკეტილია. ჩვეულებრივი ფეხით მოსიარულეებიც გადადიან ცენტრალურ გზაზე. ამ შემთხვევაში ჯარიმაზეც არ შეიძლებოდა ლაპარაკი, არათუ - დაპატიმრებაზე. ჩვენ კვალიფიციურად შევისწავლეთ ფაქტი და დაკავება ცალსახად შეიძლება შეფასდეს უკანონოდ“, — აღნიშნა სუბარმა.

მისივე თქმით, ამ შემთხვევაში საქმე ეხება შეკრების თავისუფლებას და აქციის მონაწილეები არ უნდა დაეკავებინათ.

ინტერპრესნიუსი

**ამ ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. დარწმუნებული ვარ, რომ გზები გადაიკეტება და ხალხის თბილისში შემოსვლას შეაფერხებენ. ეს ხელისუფლება ქართველ ხალხს აშიმშილებს, კლავს და თანაც დასცინის, ამიტომაც მათი მოთმინების ფიალა უკვე აივსო**



**კომპეტენტური აზრი**

**(მესამე გვერდიდან)**

## ელიზბარ ჯაველიძე:

# „ეს ხელისუფლება ქართველ ხალხს სულიერად ანადგურებს“!

—ეს ძალზე თვალსაჩინოა. ამ ოთხი წლის მანძილზე ამ ხელისუფლების უდიდესი დანაშაული ისაა, რომ ის ქართველ ხალხს ებრძვის და საქართველოს მოსპობა სურს. ამ ხელისუფლების წევრები იმ სისტემას ეკუთვნიან, რომელსაც საქართველოს განადგურება განუზრახავს, ამიტომაც ისინი მის პროგრამას პირნათლად ასრულებენ. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს ნატოში გაწევრიანება საქართველოს ისტორიაში რევოლუციური გადატრიალება იქნება. ჩემი აზრით, ნატოში გაწევრიანება საქართველოს საბოლოო განადგურებას ნიშნავს. ნატო არ არის ის ორგანიზაცია, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნისთვის მშვიდობა მოაქვს. ის პოლიტიკურ-სამხედრო ალიანსია, რომელსაც აშშ განაგებს. მას ამერიკელები ამერიკის პოლიციას უწოდებენ. ნატოს მიზანია, რომ მან ქვეყნებში ძალისმიერი ფორმებით წესრიგი დაამყაროს და იქ ეს სისტემა დაიცვას და გაავრცელოს. ეს არის მთელ მსოფლიოში პლანეტარული იმპერიის შექმნის მოდელი, სადაც მსოფლიო მოქალაქეები იცხოვრებენ, საზღვრებს გარეშე, რომლის მმართველიც ამერიკა იქნება.

ამერიკის საგარეო პოლიტიკის ინტერესებში საქართველოს გაერთიანება არ შედის. მას უნდა, რომ საქართველოში მშვიდობა იყოს, რომ ნავთობსადენმა, გაზსადენმა და თუნდაც, ნარკოტიკულმა ქარავანმაც შეუფერხებლად გაიაროს. ნატოში გაწევრიანების შემდეგ საქართველოში ამერიკის სამხედრო ბაზები განთავსდება. საკითხავია, რუსი ჯარისკაცის ჩექმა უფრო ადვილი ასატანია, თუ ამერიკელის? რუსეთმა 200 წლის მანძილზე ჩვენი გარუსება ვერ შეძლო, მაგრამ ამერიკამ 3 წელში ქართული განათლება,მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა მოსპო და ახლა მართლმადიდებლობას უტევს. არადა, საქართველოს შეუძლია,აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკა აირჩიოს, რაზეც რუსეთიც თანახმაა,თუმცა ამ ხელისუფლებას ეს არ აინტერესებს.

**—რუსმა პოლიტოლოგმა სერგეი მარკოვმა განაცხადა, ქართველებს პოლიტიკოსებში არ გაგიმართლათო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

—ღმერთმა ქნას, რომ საქართველოს პრეზიდენტად პუტინივით სამშობლოს მოყვარული ადამიანი მოვიდეს. რუსებს ზვიად გამსახურდია იმის გამო არ უყვართ,რომ მან საქართველოს დამოუკიდებლობა მოუპოვა და რუსეთის ჯარს დამპყრობლის სტატუსი მიანიჭა. ზვიად გამსახურდია რუსულ კულტურას კი არ ებრძოდა, არამედ მათ იმპერიულ ზრახვებს. ის იმასაც ამბობდა, რომ ამერიკელები რუსებზე უარესები არიან.

უამრავი ეროვნული ადამიანი გვყავს, რომელთაც ქვეყანა ჭეშმარიტად უყვართ. „ქართული აკადემიის“ განცხადება წავიკითხე, რომელსაც ძალზე სერიოზული, ჭკვიანი და გონიერი ხალხი აწერს ხელს. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი „ერთიანი ეროვნული საბჭოს“ მოღვაწეობას აკვირდებიან, თუ როგორ დაიცავენ ისინი ეროვნულ ფასეულობას, ზნეობას და კულტურას. ჩვენი მთავარი სატკივარიც ეს არის. ქართველი ხალხი შიმშილს აიტანს,მაგრამ ერის სულიერების დაკარგვას ვერ მოითმენს. ეს ხელისუფლება ქართველ ხალხს სულიერად ანადგურებს.

**— 2 ნოემბერს გაერთიანებული ოპოზიციის აქცია იგეგმება. თქვენი პროგნოზი როგორია და რამდენად მოსალოდნელია ხელისუფლების მხრიდან პროვოკაცია ამ აქციაზე?**

—ამ ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. დარწმუნებული ვარ, რომ გზები გადაიკეტება და ხალხის თბილისში შემოსვლას შეაფერხებენ. ეს ხელისუფლება ქართველ ხალხს აშიმშილებს, კლავს და თანაც დასცინის, ამიტომაც მათი მოთმინების ფიალა უკვე აივსო. შეიძლება, ტყვიაც ისროლონ და დაე, ეს ტყვია პირველს მე მომხვდეს.

გაერთიანებული ოპოზიციის დევიზი: „არ მეშინია!“ არ მომწონს. ჩემი აზრით, ასეთი დევიზი უნდა იყოს: „გეშინოდეთ, მოვდივართ!“ ერისთვის ზოგჯერ პიროვნების სიკვდილს უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე—სიცოცხლეს. ჩემთვის მთავარია, რომ შვილები და შვილიშვილები ქართველებად დარჩნენ. თუ ქვეყნის სათავეში ქართული ხელისუფლება მოვა, მას თავისთავად ხალხი ეყვარება და დემოკრატიული იქნება.

**—საზოგადოებრიობაში მსჯელობენ საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის შემოღების თაობაზე. თქვენი აზრით, რამდენად გაამართლებს მმართველობის ეს ფორმა საქართველოში?**

—ჩემი აზრით, დღეს მეფეც რომ გვყავდეს, საქართველოს ვერაფერი ეშველება, რადგან ამერიკის მიერ თავსმოხვეული ეს სისტემა ერისა და ქვეყნის გაჩანაგებას ემსახურება. ასე, რომ უპირველეს ყოვლისა, ეს სისტემა უნდა დაინგრეს. დღეს ბჭობენ: რუსეთი უნდა ავირჩიოთ თუ ამერიკა?! ჩვენ მმართველობის ისეთი ქართული მოდელი უნდა შევქმნათ, რომელიც ამერიკული, რუსული და ევროპული მოდელების მსგავსი არ იქნება.

ქართულ სინამდვილეში მონარქს დიდი ტრადიცია ჰქონდა. სამწუხაროდ, 200 წლის მანძილზე ეს ტრადიცია თანდათან მოისპო, მაგრამ მისი აღდგენა შეიძლება. მეფე ყოველთვის სამართლიანობის, ერთგულებისა და სიმშვიდის სიმბოლო იყო, ამ იდეას დიდი პერსპექტივა აქვს, მაგრამ ეს იოლად განსახორციელებელი არ არის.

**ესაუბრა**
**მაია ხორგუაშვილი**

**პოზიცია**

# სისულელეში შესვლა ადვილია, გამოსვლა — პრაქტიკულად შეუძლებელი...

## საქართველოში მართვის სისტემა კორუმპირებული და ავადმყოფია



დასაწყისშივე ვაცხადებ: ჩემი პოზიცია მიმართულია არა ხელისუფლებისაკენ — ამას აზრი არ აქვს, არა პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსებისაკენ — ვეჭვობ, რომ ეს შედეგს გამოიღებდა, არამედ ხალხისაკენ. სიმართლე ხალხშია, ხალხია პოლიტიკოსის გულწრფელობის საზომი. რა ციფრებით და როგორც არ უნდა ამტკიცოს ხელისუფლებამ, რომ მისი საქმიანობა წარმატებულია, რომ „სტაბილურობიდან — კეთილდღეობისაკენ“ მიდის ქვეყანა... რაც არ უნდა ამტკიცოს ოპოზიციამ, რომ ეს ასე არ არის — ხალხი, მისი აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ ოჯახში, მეგობართა წრეში, სანათესაოში, სამეზობლოში ხედავს რა და როგორ შეიცვალა — მართლა ამაღლდა ცხოვრების დონე, რეალურად გაიაფდა ცხოვრება, თუ პირიქით.

მინდა ვიფიქრო, რომ ჩემი პოზიცია ჩემს მიმართ მწვავედ განწყობილთაც კი დააფიქრებს.

ჩემი პოზიცია კი ასეთია:

ერთის მხრივ, ხელისუფლების შენარჩუნების, მეორეს მხრივ, ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლამ ქვეყნისათვის დამანგრეველი ხასიათი მიიღო. ხელისუფლებაში მყოფთ ბრძენკაცებად მოაქვთ თავი - დრო ადასტურებს, რომ შლეგები არიან და რაც მალე წავლენ ხელისუფლებიდან, მით უკეთესი ქვეყნისათვის, მათთვისაც და მათი შთამომავლებისთვისაც. ხელისუფლებაში მისვლის სურვილით შეპყრობილებს და ამის გამო აჯანყებულებსაც ბრძენკაცებად მოაქვთ თავი, ჰგონიათ მხოლოდ მათ შესწევთ ძალა და უნარი გამოიყვანონ ქვეყანა კრიზისიდან, უკეთესობისაკენ შეცვალონ ხალხის მდგომარეობა. ჩემი აზრით, მწარედ ცდებიან და ქვეყნისთვის, ხალხისთვის, ასეთი ტიპის ოპოზიციონერებისთვისაც უკეთესია, თუ ისინი არ მივლენ ხელისუფლებაში.

განაწყენებულთა, უკმაყოფილოთა, გულმოსულთა, სხვის მიმართ სიძულვილით გაერთიანებულთა მოძრაობა არასდროს პოლიტიკური არ არის, მას შენება არ შეუძლია — იგი ყოველთვის რევანშისტული, დესტრუქციული და დამანგრეველია. განაწყენებულთა, უკმაყოფილოთა, გულმოსულთა, სხვის მიმართ სიძულვილით გაერთიანებულთა მოძრაობა აგრესიულია თავისი ბუნებით და მის მოქმედებაში ჭარბობს ემოცია, ვიდრე აზროვნება, გონება.

მწარე სიმართლე, რომელიც დაიკარგა და რის გამოც ქვეყნის მდგომარეობა გაცილებით მძიმდება, ის არის, რომ ხელისუფლებაც და მის მიმართ დაპირისპირებულთა პოლიტიკური ბუნება ერთიდაიგივეა, ორივე ძალა ერთი ტიპისაა. ორთავე მხარეს, ძირითადში, 2003 წლის რევოლუციონერები, საქართველოს წინააღმდეგ შევარდნაძე-სააკაშვილსოროს-მაილსის შეთქმულების მონაწილეები არიან. მოკლედ და პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს არის ხელისუფლებით გაუმაძღართა, ერთმანეთის მიმართ სიძულვილით გაერთიანებულთა ომი ერთმანეთში. ამ ომში ამბიცია და სიძულვილი დომინირებს, არ ჩანს, ნიშანიც კი არ არის სიყვარულის. ამ ომში ჩანან ყალბი გმირები, განდიდებით შეპყრობილი პერსონები, მაგრამ არ ჩანს საქართველო.

რეალობა ასეთია: ხელისუფლებისადმი სიძულვილით განწყობილი პოლიტიკური ძალები არნახული სისწრაფით ერთიანდებიან, ასეთივე სისწრაფით და ისევ სიძულვილზე დაყრდნობით აერთიანებენ ხელისუფლებაზე განაწყენებულთ, ხელისუფლებით უკმაყოფილო და გულმოსულ ადამიანებს... ასეთივე აგრესიული, ანტიეროვნული პროცესები მიმდინარეობს ხელისუფლებაში: სახელისუფლებო პოლიტიკური ძალები, სახელისუფლებო სტრუქტურები, მათში დასაქმებულნი გრძნობენ რა იმას, რომ ხელისუფლების დაკარგვით ისინი კარგავენ ყველაფერს, არარაობა ხდებიან, წინ მძიმე სასამართლო ელით — ჩადენილისათვის, კორუფციისათვის კონსოლიდირდებიან ოპოზიციისადმი სიძულვილით, ხდებიან აზროვნებისათვის მიუწვდომელად აგრესიულნი. მაქვს ეჭვი, რომ ორთავე მხარე იმართება და, ალბათ, ფინანსდება ქვეყნის გარედან. არ გამოვრიცხავ, რომ ერთიდაიგივე ცენტრიდან. მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ კონკრეტული დაპირისპირება მიზნად ისახავს 2003 წლის ე.წ „ვარდების რევოლუციის“ „მონაპოვარის“ — „მოქავშირის“ და მისი მემკვიდრე „ნაცმოძრაობის“ სოროსულ ლიდერთა იდეოლოგიის შენარჩუნებას.

ისტორიულად დადასტურებულია (ამის მაგალითი საქართველოაძ—ასეთი ომის, ასეთი დაპირისპირების შედეგი ყოველთვის ერთია: დამარცხებული ქვეყანა, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩაგდებული ხალხი და გამარჯვებული ყალბი გმირი, ყალბი პათოსის პოლიტიკური ძალა.

დავაკვირდეთ: დღემდე საქართველოში ყველა პოლიტიკური ძალა ქვეყნის გამთლიანების, ეროვნული ინტერესების დაცვის, მართმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერის ლოზუნგით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სოციალური კეთილდღეობის საარჩევნო პროგრამით მიდის ხელისუფლებაში და ყველას წასვლა, გადაგდება თუ ჩამოგდება — ქვეყანაში დაპირისპირებულობის, კორუმპირებულობის, ხალხის დამშევის, ეკლესიის ნგრევის, ეროვნულისადმი უპატივცემულობის გამო ხდება.

დღევანდელი სიტუაცია ასეთია: ოპოზიციის, ალბათ, გაცილებით სწორი იქნება ვთქვათ — ხელოვნური ოპოზიციის — ყოველ გამოწვევას ხელისუფლება ყოვლად გაუაზრებელი ქმედებებით — ფოჩიანი კამფეტებით, ფულის დარიგებით, ანუ მოსყიდვით უპასუხებს. სოციალური დემაგოგია ხელისუფლების იდეოლოგად იქცა და უკვე სოციალურ კორუფციაში გადაიზარდა და თავისი დამანგრეველი შედეგებით ყოველგვარ კორუფციას გადააჭარბა.

მიტინგებით და ქუჩის აქციებით მოსულ პრეზიდენტს და ხელისუფლებას ყველაზე მეტად, სწორედ მიტინგების და ქუჩის ეშინია. მიტინგებით შეშინებულმა პრეზიდენტმა — ყოველგვარი ანალიზისა და დასაბუთების გარეშე (მაგიდაზე ფურცელიც კი არ ედო, მთავრობის სხდომაზე კითხულობდა ელექტროენერგიის, გაზის, ფქვილის ფასსძ—მიიღო უპრეცედენტოდ არაეკონომიკური, არასოციალური, მაგრამ საბიუჯეტო ფულით გაჭირვებული ხალხის მოსყიდვის გადაწყვეტილება — ერთ-ორ თვეში მილიონ ორასი ათასი კაცისათვის, დახლოებით 160 მილიონი (საბოლოო ჯამში 180-ს მიაღწევსძ ლარის დარიგების გადაწყვეტილება.

*დემოკრატიულ ქვეყანაში*, ელემენტარულად მოაზროვნე მთავრობის ქვეყანაში, პრეზიდენტის ასეთ გაუაზრებელ, ასეთ დამანგრეველ გადაწყვეტილებას, მთავრობის თავჯდომარის, მინისტრების გადადგომა მოჰყვებოდა პასუხად. მაგრამ ეს მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყანაში და მოაზროვნე, პრინციპული პრემიერმინისტრის შემთხვევაში...

*დემოკრატიულ ქვეყანაში*, კონსტრუქციული ოპოზიციის პირობებში, ორივე მხარეში — ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც პოლიტიკურ ამბიციაზე ქვეყნის ინტერესი გაიმარჯვებდა: ოპოზიცია იტყოდა — პრეზიდენტო, ხელისუფლებავ, ნუ იღებთ ასეთ ხელოვნურ გადაწყვეტილებას და მზად ვართ, დავჯდეთ და დაპირისპირების გარეშე გადავწყვიტოთ ყველა საკითხიო. ხელისუფლებაც დათანხმდებოდა და დაიწყებოდა ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი, რომელიც ხალხისაგან იქნებოდა კონტროლირებადი. დადგებოდა შედეგიც. მაგრამ ეს მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყანაში, კონსტრუქციული ოპოზიციის პირობებში.

*დემოკრატიულ ქვეყანაში* ხალხი შეურაცხყოფად მიიღებდა ხელისუფლების ასეთ გადაწყვეტილებას... გადაწყვეტილებას, რომლის მიზანია მოისყიდოს ხალხი და ამით ამოწუროს კრიზისი, სინამდვილეში კი ეს გადაწყვეტილება ანგრევს ქვეყანას, კიდევ მეტ კრიზისში შეჰყავს იგი, ქმნის არეულობის დიდ წინაპირობას.

არ მოხდა ის, რაც პრეზიდენტის ასეთი გაუაზრებელი გადაწყვეტილების გამო უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.

რა გვაქვს შედეგად პრეზიდენტის განცხადებიდან სულ 10 დღეში?

ფულის დარიგება ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ პრეზიდენტის განცხადებას ფულის ასეთი დიდი მასის ხალხისთვის დარიგების თაობაზე, ვიმეორებ, მხოლოდ განცხადებას მოჰყვა ის, რომ ფასები სამომხმარებლო პროდუქციაზე, კვების პროდუქტებზე არნახულად (20-40 პროცენტითძ გაიზარდა... ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რუსეთიდან, საერთოდ უცხოეთიდან შემოსული დოლარებით ცხოვრობს და ცოცხლობს, ქმნის ბიზნესს, სახლს იშენებს — დოლარის კურსი თითქმის 2,5 პროცენტით დაეცა (იყო 166,8 გახდა 163,0ძ. აქ ყველაფერი პარადოქსულია — ერთ კვირაში კურსის ასეთი ცვლილებით დაწყებული, იმით დამთავრებული, რომ ლარი გამყარდა დოლართან შედარებით და ფასები არნახულად გაიზარდა. აშკარაა, რომ ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, აქ ხელოვნურია, თუნდაც ის,რომ თითქმის სამ ლარს აჭარბებს სხვაობა დოლარის შესასყიდ და გასაყიდ ფასებს შორის, მაშინ, როცა ჩვეულებრივ პირობებში ეს სხვაობა ერთის ფარგლებში იყო.

იხ. 6 გვ.

№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

**თეიმურაზ ბატონიშვილი მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებნი რჯულით თათრები, ხოლო ენით ქართველები არიანო. მისივე ცნობით, სამცხე-ჯავახეთში ორმოცამდე თავადაზნაურული ქართული გვარის წარჩინებულნი ცხოვრობდნენ და მათში არც ერთი სხვა ეროვნების წარმომადგენელი არ ერია**



### სიმართლე კი ასეთია!..

# ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ თქვენ, „თურქო მესხებო“?

არც ქართულ, არც სომხურ და არც მაჰმადიანური ქვეყნების წყაროებში ვერ შეხვდებით თუნდაც მინიშნებით ცნობას იმის შესახებ, რომ ოდესმე სამცხე-ჯავახეთში მნიშვნელოვანი რაოდენობის თურქული ტომები შემოსახლებულიყვნენ და მით უმეტეს იმ რაოდენობით, რომ მათ აქ რაიმე პოლიტიკური ერთეული შეექმნათ.

თურქი, აზერბაიჯანელი და სომეხი ვაი-მეცნიერების მოსაზრებების სრულ აბსურდულობას ადასტურებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დაცული მოსახლეობის სახელები. აქ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სახელები ქართულია. მე-16 ს. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული იყო შემდეგი ქართული სახელები: დავითი, ჯანდიერა, აღდგომელა, ბაქარი, პაპუნა, კაკალა, ნარინდავითი, მამუკა, მათათა, ვარძელა, გაბედულა, გოგინა, მახარობელი, თევდორე, გოგიჩა, დათუნა, მახარა, ელია, საბია, ღვინია, ბესელა, იმედა, ედიშერი, ორგულა, ცხადია, თაბუკა, ცხადა, ოქროპირი, ელია, ზაზა, ზაზუტა, მაცაცა, მოლოდინა, გულბაათ, ვეფხია, შალიკა, მარგველა და სხვ.

შესაძლებელია, ამ დოკუმენტში აგრეთვე მცირე რაოდენობით დაცული იყოს ზოგიერთი ქართული გვარიც: მოძლვრიძე, გოგორაძე, კირვალიძე, ცხადაძე, საგინაძე, წამალაძე, ფოფხაძე, მახარაძე, კავკასიძე, ჯაყელიძე, ხაზარაძე, ლომგულიძე, ბაკურაძე, ნათენაძე, კობერიძე, კოკელაძე, შავჩოხაძე, გვარამაძე, იჩქითიძე, დევიძე, კაპანაძე, ბირთველიძე, ბექაძე, ბაქრაძე, მაღრაძე, ვეფხვაძე, ყურაბელიძე, ყურაძე, ზაზაძე, ლომსაძე, შავგულიძე, გურგენიძე. აქ მოხსენიებულ შესაძლებელ გვარსახელებიდან უმრავლესობა დღესაც გვხვდება როგორც სამცხე-ჯავახეთში, ასევე საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

მესხეთში თურქთა ორასწლოვანი ბატონობის პერიოდში, მათ მიერ აქ დიდი რაოდენობით თურქული ტომების ჩამოსახლების დამადასტურებელი ცნობა არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არ ასახულა. ოსმალო დამპყრობლების მიერ მესხეთიდან ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა რომ აეყარათ და მათ ადგილას ანატოლიიდან დიდი რაოდენობით თურქულ-თურქმენული ტომები ჩამოესახლებინათ, ეს მოვლენა უეჭველად აისახებოდა ქართულ თუ უცხოურ საისტორიო წყაროებში. შაჰ-აბასის მიერ კახეთის თავზე დამტყდარი მსგავსი ტრაგედია რომ მომხდარიყო (იგულისხმება მოსახლეობის ნაწილის განყვეტა და ირანში ათასობით ადამიანის გასახლებაძ, ქართული, თურქული, ირანული წყაროები ამას უსათუოდ გამოეხმაურებოდნენ. წარმოუდგენელია ვახუშტი ბატონიშვილის ყურადღების მიღმა დარჩენილიყო ეს ფაქტი, მით უმეტეს, რომ მან მესხეთის ისტორიას ცალკე თავი მიუძღვნა, „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა“.

მე-18 საუკუნის პირველი ნახევრისთვის, ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, სამცხე-საათაბაგოს (მესხეთიძ მესხეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. აღმსარებლობის მხრივ მთავარნი და წარჩინებულნი გამაჰმადიანებული, გლეხების უმეტესობა სამხრეთ მესხეთის (ტაო-კლარჯეთიძ გარდა მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. წარჩინებულები ოფიციალურ ლონიძიებებზე თურქულად „უმბობენ აწ თათრულსა“, ხოლო ოჯახში და ურთიერთშორის მხოლოდ ქართულად საუბრობდნენ. დაწინაურებული ფენა, ქართველ თავად-აზნაურ მემკვიდრენი (ბეგები, აღეები და ა.შ.ძ ოსმალურად იმოსებოდნენ, ქრისტიანები ბერძნულის მსგავსად, ხოლო ჯავახეთისა და ნაწილობრივ სამცხის მცხოვრებნი თრიალეთის მცხოვრებთა მსგავს ტანსაცმელს ატარებდნენო, გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი. ვახუშტისეული „ბერძნული“ ტანსაცმელი, ჩვენი აზრით, ალბათ, გურულ-აჭარულ და ლაზურ ჩაქურას უნდა აღნიშნავდეს, ვინაიდან პონტოელი ბერძნები ჩაქურით იმოსებოდნენ, ალბათ ვახუშტიმ ეს შესამოსი ბერძნულად მიიჩნია. ჩაქურა გვიან შუასაუკუნეებში და თვით მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში იყო გავრცელებული მესხეთში. მთელი ჭოროხის აუზის მცხოვრებნი და ნაწილი სამცხის მაჰმადიანი ქართველებისა (ქვაბლიანისა და ოცხისწყლის ხეობაძ ჩაქურას ატარებდა. აქ რომ ანატოლიელი ოსმალები ყოფილყვნენ დასახლებულნი, თრიალეთელთა მსგავსად არ შეიმოსებოდნენ. ესეც თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რომ ამ დროისათვის აქ თურქულ-თურქმანული ტომები არ ცხოვრობდნენ. ოსმალური სამხედრო პერსონალი — იანიჩრები, მხოლოდ სამცხე-საათაბაგოს ციხე-სიმაგრეებში იმყოფებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი სამცხე-ჯავახეთის აღწერისას არსად თურქულ ელემენტს არ ახსენებს, როგორც ამას ქართლის ან კახეთის აღწერის დროს მოიხსენიებდა. მისი აღწერით საფაშოს ცენტრში, ახალციხეში წარჩინებული და ჩენილი მაჰმადიანები (მესხი დიდებულებიძ, სომეხნი, ებრაელები და მცირე რაოდენობით ქრისტიანი მესხები მოსახლეობდნენ. აწყურში ქრისტიანი მესხები, გამუსლიმებული მესხი დიდებულები (წარჩინებული მაჰმადიანებიძ ცხოვრობდნენ. იმ დროისათვის თურქული ადმინისტრაციის ძალმომრეობის შედეგად სამცხის გლეხობის ნაწილი ისლამს იღებდა „არამედ გლეხნი კვალცაა მაჰმადიანებიან ჭირისათვის დიდისა“, ჯავახეთის გლეხობა კი მთლიანად მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო „ხოლო გლეხნი ქრისტიანენი სრულიად“. ვახუშტი ბატონიშვილის ეს მონაცემები, ყოველგვარ საფუძველს აცლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოსმალო დამპყრობლებმა, სამცხე-ჯავახეთში ანატოლიიდან დიდი რაოდენობით თურქულ-თურქმანული ტომები ჩამოასახლეს.

არც ერთ უცხოელ მოგზაურს, რომელიც სამცხე-ჯავახეთში იმყოფებოდა, აქ თურქების კომპაქტური დასახლება არ შეხვედრია.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ქართველობას თვით თურქული წყაროებიც კი ადასტურებენ. მე-17 ს. თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები, სამცხე-ჯავახეთს „საქართველოს შავშეთის“ შემადგენელ ნაწილად თვლიდა და აქაურ მკვიდრთა ენას „შავშეთის ქართველთა ენად“ აცხადებდა და მცხოვრებთ „საქართველოს შავშეთის“ ხალხს უწოდებდა. იმავე საუკუნის ცნობილი თურქი გეოგრაფი ქათიბ ჩელები სამხრეთ საქართველოს (მესხეთი, ლაზეთიძ აღწერისას თურქულ ტომებს არ ახსენებს. ქათიბ ჩელები არაქსის ხეობაში მდებარე ყარსის ვილაიეთს ქართულ ვილაიეთად მოიხსენიებს. ახალციხის ვილაიეთს ქართველ ტომთა საცხოვრისად მიიჩნევს. ტრაპიზონის ვილაიეთის მოსახლეობის შესახებ გვაუწყებს, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ლაზები იყვნენო. ქათიბ ჩელები თურქულ ტომებს ტრაპიზონის ვილაიეთის სამხრეთ- დასავლეთით აფიქსირებდა.

როდესაც ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა მე-17 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იმოგზაურა, მესხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ.

მე-18 საუკუნის 40-იან წლებში ახალციხის საფაშოს გლეხკაცობა კვლავ ქრისტიანი იყო, თუმცა სამხრეთი პროვინციები (ჭოროხის აუზი, კოლა-არტანიძ, გლეხობის დიდი ნაწილი მაჰმადიანდებოდა.

გერმანელი მეცნიერის გიულდენშტედის ცნობით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესობა ქართველები და ქრისტიანები ყოფილან. გერმანელი მოგზაური სამცხესა და ჯავახეთს, მიუხედავად მათზე თურქული ადმინისტრაციის გავრცელებისა, მათ მაინც ქართულ მხარეებად, ე.ი. ქართველებით დასახლებულ ქვეყნებად მოიხსენიებს.

1769 წ. სტატსკი სოვეტნიკი თავადი ამილახვარი ახალციხის საფაშოზე წერდა, როგორც ფაშა, ასევე ქალაქის მცხოვრებნი ქართულ და თურქულ ენებზე საუბრობდნენ.

ანტონ მურავიოვის ცნობით, ახალციხის მხარის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ქრისტიანი იყო.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე რუსეთის საიმპერატორო კარს ატყობინებდა, სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებთა დიდი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო ნაწილს იძულებით ამაჰმადიანებდნენ.

თეიმურაზ ბატონიშვილი მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებნი რჯულით თათრები, ხოლო ენით ქართველები არიანო. მისივე ცნობით, სამცხე-ჯავახეთში ორმოცამდე თავადაზნაურული ქართული გვარის წარჩინებულნი ცხოვრობდნენ და მათში არც ერთი სხვა ეროვნების წარმომადგენელი არ ერია.

რუსი სამხედრო ისტორიკოსი პოტო, რომელმაც რუსეთ-თურქეთის ომების ისტორია დაწერა, ახალციხის საფაშოს მცხოვრებთ ქართველებად მიიჩნევდა.

ასე რომ, არც ქართული და არც უცხოურ წყაროებში სამცხე-ჯავახეთში თურქულ-თურქმანული კომპაქტური დასახლების ვერავითარ დამადასტურებელ ცნობას ვერ შეხვდებით და ეს წყაროები, მხარის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ქართველობას ადასტურებენ.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული წარსული არც ერთ მონაკვეთში, იქაურობა ქართული ეთნიკური ელემენტისაგან არასდროს არ დაცლილა. იყო პერიოდები, როდესაც აქაური მართლმადიდებელი ქრისტიანები გაურბოდნენ რა იძულებით გამაჰმადიანებას, საქართველოს შიდა რეგიონებში ილტვოდნენ, მაგრამ არც იმ რაოდენობით, რომ მხარის მოსახლეობა ქართველებისაგან დაცლილიყო. პირიქით მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ახალციხის საფაშო მოძლიერებული და შედარებით სტაბილურ რეგიონს წარმოადგენდა, მტრიანი ქართლიდან, იმერეთიდან თუ სხვა მოსახლეობის ნაწილი ახალციხის საფაშოს აფარებდა თავს და იქ სახლდებოდა.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა გვიან შუასაუკუნეებში და აგრეთვე მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის გამოწვლილივით შეისწავლა პროფ. შ. ლომსაძემ თავის ბრწყინვალე მონოგრაფიაში: „სამცხე-ჯავახეთი (მე-18 საუკუნის შუა წლებიდან მე-19 საუკუნის შუა წლებამდეძ და ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ ამ მხარის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, ძირითადად ქართველები, მესხები შეადგენდნენ და მიუხედავად თურქთა ორასწლოვანი ბატონობისა, სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურ შემადგენლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

**ზურაბ ცინცაძე**

(გაგრძელება იქნება)

---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 198-203.**

### ინფორმაცია

## სამყურაშვილი და კირკიტაძე ოპოზიციას ადანაშაულებენ

**უმრავლესობა ოპოზიციას ვითარების ხელოვნურად დაძაბვასა და ცრუ ინფორმაციების გავრცელებაში ადანაშაულებს. სესიაზე ოპოზიციის მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია და გამოსავლად მხოლოდ ვადამდელი არჩევნების ჩატარებაში ხედავენ.**

**ამ მოსაზრებას კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ უმრავლესობის წარმომადგენელი რატი სამყურაშვილი და დავით კირკიტაძე.**

**— კატეგორიულად არ ვიზიარებთ იმას, რომ თითქოს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი იყოს. ეს არის პატარა ჯგუფის სურვილი, — განაცხადა სესიაზე რატი სამყურაშვილმა.**

**ამასთან, მან ოპოზიციას ორი წლის წინანდელი ფაქტიც გაახსენა. — ორი წლის წინათ ჯღანას დასაცავად რომ გამოდიოდნენ, მაშინაც პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობდნენ. ახლაც პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობენ. ჩვენმა საზოგადოებამ როგორ გაიგოს როდის იყვნენ მართლები. ეს ადამიანები მზად არიან ნებისმიერ დროს გამოაცხადონ, რომ თითქოს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია და ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ მათ შეუძლიათ, — განაცხადა სამყურაშვილმა.**

**კირკიტაძე თანაპარტიელის მოსაზრებას ეთანხმება და აცხადებს, რომ ქვეყანაში არანაირი პოლიტიკური კრიზისი არ არსებობს და მას განსაკუთრებით უცნაურად ის ეჩვენება, რომ „პრეზიდენტის გულშემატკივრად კახა კუკავა გვევლინება“.**

**იგი კახა კუკავას ახსენებს, რომ იგი ზვიად გამსახურდიასგან განსხვავდება.**

**— საზოგადოებამ კარგად იცის, რომ კუკავას და ზვიად გამსახურდიას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა და იგი თავისი ამ განცხადებებით მიზანს ვერ მიაღწევს. ქვეყანაში არანაირი პოლიტიკური კრიზისი არ არის და არჩევნები ჩატარდება კონსტიტუციის ფარგლებში, — განაცხადა კირკიტაძემ.**

## ოსები დიალოგისთვის მზად არიან

**ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსური მხარის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი აცხადებს, რომ ოსური მხარე კონსტრუქციული დიალოგისთვის მზად არის. ეს განცხადება ჩოჩიევმა თბილისში, ეუთოს ოფისში შერეული სამშვიდობო კომისიის სხდომაზე გააკეთა.**

**მისივე თქმით, მიუხედავად დიდი შესვენებისა, ოსური მხარე მზადაა ორი დღის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში დაგროვილ პრობლემებზე იმსჯელოს და გადაჭრის გზები ეძებოს.**

**ჩოჩიევი დიდ მადლობას უხდის საქართველოში ეუთოს მისიას გაწეული დახმარებისთვის და მისთვის მიცემული უსაფრთხოების გარანტიებისთვის.**

ჯი-ეიჩ-ენი

# საზოგადოება

**ყველაზე მძიმე და ცუდი ის არის, რომ ქვეყანაში დღეს მიმდინარე პროცესები ამ უარყოფით ტენდენციებს კიდევ უფრო გააძლიერებს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და განსაკუთრებით სოციალურ ჭრილში**




**პოზიცია**

# სისულელეში შესვლა ადვილია, გამოსვლა – პრაქტიკულად შეუძლებელი...

## საქართველოში მართვის სისტემა კორუმპირებული და ავადმყოფია

**(მეოთხე გვერდიდან)**

როგორც ჩანს, ხელისუფლება მაქინაციებით და არა ეკონომიკური პროცესით იშოვის დასარიგებელ 160 თუ 180 მილიონ ლარს... ყველაფერი ხალხს დააწვება, სწორედ იმ ხალხს, რომელიც დღეს გახარებულია დაპირებული 100 ლარით, თუ ერთი ტომარა ფქვილით (ცნობისათვის — 1999-2000 წლებში იმერეთში ერთი ტომარა უმაღლესი ხარისხის ფქვილი პენსიონერებს სახლში 20 ლარად, თანაც ძველი გაუცემელი პენსიის სანაცვლოდ მივუტანეთ. დღეს იგივე მოცულობის, უარესი ხარისხის ფქვილს — 50 ლარად, ანუ 2,5-ჯერ ძვირად არიგებენძ.

როგორია ჩემი პროგნოზი, რა მოხდება იმის შედეგად, რაც ფულის დარიგება დაიწყება და ერთ-ორ თვეში 1,2 მილიონი ადამიანი 160 მილიონ (ალბათ 180ძ ლარს მიიღებენ?

უპირველესად ის, რომ წლის ბოლოს ინფლაცია (რეალური და არა ის, რასაც ხელისუფლება ტელევიზიით და პრესით აცხადებსძ 20 პროცენტს გადააჭარბებს. ცნობისათვის, ევროპის დემოკრატიულ და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში 3-პროცენტიანი ინფლაცია განგაშის საფუძველი ხდება. დღეს საქართველოში იგი 13-14 პროცენტია და ირგვლივ სრული დუმილია.

160-180 მილიონი ლარის ასეთ მოკლე მონაკვეთში წლის ბოლომდე დარიგება:

— ფასებს კვების ძირითად პროდუქტებზე (და არა მხოლოდ კვებისძ დამატებით გაზრდის მინიმუმ 20 პროცენტით, ზოგიერთზე ზრდა კი 50% პროცენტს გადააჭარბებს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი მედიკამენტების შეძენას მოხმარდება — მოიგებს ეს ბიზნესი (ქვეყნისთვის ტრაგედიაა, რომ ბიზნეს-რეიტინგში პირველ ადგილზე ფარმაცევტული ბიზნესკომპანიებიაძ, მაგრამ მოსალოდნელია მედიკამენტების გაძვირებაც (კიდევ ერთი ტრაგედია ის არის, რომ ავადმყოფ ადამიანებზე მოგებული ფულით ფარმაცევტული კომპანიების პატრონები მთავარი მეცენატები, სხვადასხვა არასამედიცინო პროგრამების დამფინანსებლები არიანძ. შეშინებული ხელისუფლება დაიწყებს ფასების დარეგულირებაში ჩარევას, ასევე ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას, რომელსაც მხოლოდ დროებითი ეფექტი ექნება, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ფასების დარეგულირებაში ხელისუფლების ჩარევის გამო კმაყოფილების გამოხატვას დაიწყებს — ეს ტელეკამერების წინ და გაზეთების საშუალებით მოედება ქვეყანას. სინამდვილეში კი მდგომარეობა, ხალხის ყოფა კიდევ უფრო გამძაფრდება და გაუსაძლისი გახდება, ამაზე კი ტელევიზიები და პრესა ნაკლებად ილაპარაკებენ.

— თითოეული ოჯახის (სამსულიანის და მეტისძ ცხოვრებას მინიმუმ 150 და მაქსიმუმ 300 ლარით გააძვირებს. ეს შეეხება ყველა ოჯახს, იმათაც 100-200 ლარს რომ მიიღებს და იმათაც, ვინც არაფერს არ მიიღებს, ანუ წლის ბოლომდე მიიღებს 100-200 ლარს და დეკემბრის თვიდან ყოველთვიურად ცხოვრება 150-300 ლარით გაუძვირდება.

განსაკუთრებით მძიმე გავლენას ფულის ამ მოცულობით და ამ წესით დარიგება მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, მეწარმეებზე, უმუშევრობაზე, კერძოდ:

— უაზროს გახდის არაერთი პროდუქტის საქართველოში წარმოებას, გაზრდის ქვეყნის გარეთ ნედლეულის, ჯართის გატანას.

— წაახალისებს პროდუქტის გარედან შემომტანეთ, არნახულად გაზრდის გარედან მზა პროდუქტების შემოტანას და ისევ ქართულ წარმოებას დააზიანებს.

ფაქტია, როცა ქვეყანას გარეთ გააქვს ნედლეული, ჯართი, ხე-ტყე და შემოაქვს მზა პროდუქტები — სამუშაო ადგილებს უცხოეთის ქვეყნებში ქმნის და უმუშევრობას — საკუთარ ქვეყანაში. ეს პროცესი განსაკუთრებულად მძიმე ხდება საქართველოსთვის იმის გამოც, რომ ტრადიციულად ჩვენთან ძლიერი იყო სოფლის მეურნეობა, კვების და მსუბუქი მრეწველობა. დღეს სოფელი საკონცენტრაციო ბანაკს ემსგავსება, უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქტებზე ნულოვანი საბაჟო განაკვეთის დაწესებამ — უკვე საკუთარი ბაზარი სრულიად დაუთმო უცხოურ პროდუქციას. მოაზროვნე ადამიანს ის კი არ უნდა უკვირდეს, ქართველ მევენახეს ვაზის გაჩეხვის სურვილი რომ გაუჩნდა, არამედ ის, თუ რატომ არ მიიღო ამ პროცესმა მასობრივი ხასიათი. დაფიქრებისათვის: სახელმწიფომ მანქანის სადგომზე მანქანის რამდენიმე წუთით დგომის ფასი ორჯერ ძვირი დააწესა, ვიდრე ქართველ გლეხს ერთი კილოგრამი ყურძნის გაყიდვას აიძულებს... საზოგადოებრივი ტუალეტით სარგებლობა გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე კილოგრამი ყურძნის ფასი... გავიხსენოთ როგორ ყიდის სახელმწიფო ბუნებით ბოძებულ სიმდიდრეს — წყალს, ელექტროენერგიას და რა ფასებში აიძულებს გლეხს გაყიდოს შვილივით ნაზარდ ვენახში მოწეული ყურძენი, საერთოდ სოფლის პროდუქტი. სულ 20-25 მილიონი ლარის დოტაცია იყო საჭირო, ყურძნის შესასყიდი მინიმალური ფასი ერთი ლარი რომ გამხდარიყო. 100-120 მილიონს ქართული სოფლის ფეხზე დაყენება შეუძლია.

ხელისუფლება ამ ფულს ვერ შოულობს, მაგრამ არ უჭირს საპრეზიდენტო სასახლეებისათვის რამდენჯერმე მეტი ფულის გამოყოფა, 4-5-ჯერ ასფალტის დაგების გაძვირება და მისი დაფინანსება, მოგზაურობებში, უაზრო კონცერტებში ფულის ხარჯვა... რაც ერთი წლის განმავლობაში სახელისუფლებო მანქანების, ავეჯის შეძენა და კაბინეტების რემონტი ჯდება — გაცილებით მეტია, ვიდრე ქართული სოფლის ფეხზე დაყენებას ჭირდება.

ხელისუფლების შენარჩუნებისა და ხელისუფლების მოპოვების დაპირისპირებულთა ქვეყანაში არც ზემოაღნიშნულზე და არც იმაზე ლაპარაკობს არავინ, რომ კატასტროფულად იზრდება ქვეყნის უარყოფითი სალდო, ანუ სხვაობა გარეთ გატანილ და გარედან შემოტანილ საქონლის მოცულობებს შორის.

ამ წლის შედეგების მიხედვით ეს ციფრი 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს და, ალბათ, 4-ს მიუახლოვდება. საქართველოდან გავა 1,5-2 მილიარდის საქონელი (ძირითადში ნედლეულიძ, საქართველოში შემოვა 5,5-6,0 მილიარდის (ძირითადში მზა ნაწარმის სამომხმარებლო ბაზრისათვისძ. ცნობისათვის 2003 წელში ქვეყნის გარედან შემოტანილი საქონელი 1 მილიარდს არ აღემატებოდა.

როგორც ვხედავთ, ფულის ასეთი მოცულობის დარიგება ქვეყნისათვის კატასტროფული იქნება, მაგრამ ინფლაცია და ფასების ზრდა ძალიან წაადგება ხელისუფლებას (ვფიქრობ, დროებითძ: ხალხს მოისყიდის, ამით დაწოლას ხელისუფლებაზე ერთგვარად შეაჩერებს და რაც, ხელისუფლებისათვისაა მთავარი — ბიუჯეტს სულ მცირე 300-400 მილიონით გაზრდის. ვიმეორებ, რომ ეს იქნება არა ეკონომიკის შედეგი, არამედ ინფლაციის, კორუფციისა და ფასების ზრდის შედეგი.

კიდევ ერთი, მართლაც, განსაკუთრებულად დამაფიქრებელი ანალიზი: საქართველო ყოფილ საბჭოთა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის პრაქტიკულად ყველაზე ძვირი ქვეყანაა, ყველაზე დაბალი პენსიებით და ხელფასებით. ანალიზისა და დასკვნებისათვის: საქართველოში ფასები დენზე, გაზზე, კომუნალურ მომსახურებაზე საერთოდ, სამომხმარებლო პროდუქტებზე აჭარბებს ევროპულს, უტოლდება — ამერიკულს. მოსახლეობის 80 პროცენტს არ აქვს საარსებო მინიმუმი, პენსიონერი საარსებო მინიმუმზე 5-ჯერ და მასწავლებელი 2-3-ჯერ ნაკლებს იღებს და ხელისუფლების ეშელონებში საარსებო მინიმუმზე 20, 30 40-ჯერ და არცთუ იშვიათად — 50-ჯერ მეტს იღებენ. ქართველი პენსიონერი თვეში იღებს იმდენს, რამდენსაც ამერიკაში საშუალო მუშა ერთ საათში, ქართველი მასწავლებლის თვის ხელფასი ამერიკელი საშუალო მუშის სამი საათის ხელფასის ტოლია, მაშინ როცა საქართველოს მინისტრების შემოსავალი აჭარბებს ევროპელი და უტოლდება ამერიკელი კოლეგებისას. საქართველოში, ყოფილ საბჭოთა და სოციალურ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე დაბალი ტემპებია მშენებლობის, კეთილმოწყობის, ხალხის მომსახურების თვალსაზრისით. საქართველოში, ყოფილ საბჭოთა და სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ნაკლები კეთდება ქვეყანაში გამომუშავებული ფულით, ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად ცხოვრობს გარეთ გასული ერთ მილიონზე მეტი ადამიანის მიერ გამოგზავნილი ფულით.

ყველაზე მძიმე და ცუდი ის არის, რომ ქვეყანაში დღეს მიმდინარე პროცესები ამ უარყოფით ტენდენციებს კიდევ უფრო გააძლიერებს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და განსაკუთრებით სოციალურ ჭრილში.

განვრცობის და ღრმა ანალიზის გარეშე შევეხები მიმდინარე პროცესების სახელისუფლებო პოლიტიკურ შედეგს. ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებამ, მისმა პოლიტიკურმა მკვლელობამ, იმ სისასტიკემ, რომელიც პრეზიდენტმა და მისმა უახლოესმა გარემოცვამ ჩაიდინა სიმართლის თქმისთვის იმ კაცის მიმართ, რომელსაც ადრე ლამის აღმერთებდნენ — ჩააქრო ხმის ამოღების ყოველგვარი სურვილი, გაბატონა დუმილი, შეაჩერა, როგორც უმრავლესობის დაშლის, საერთოდ, ხელისუფლებიდან წასვლის პროცესი. არნახულად გაზარდა სახელისუფლებო იერარქიის ყველა დონის ყოველი წარმომადგენლის მონობის ხარისხი. ყველამ იცის, რომ ხმის ამოღება პოლიტიკურ მოუსავლეთში წასვლას, ყველაფრის დაკარგვას, „ქართულ გაციმბირებას" ნიშნავს. ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლებს რომ ვისმენ, ეს არის პრეზიდენტისათვის ერთგულების დამტკიცების ღია შეჯიბრი. აშკარაა, რომ ყველა მზად არის გაიღოს ყველაფერი, რისი გაღებაც შეუძლია, „ნაციონალების" იდეოლოგიის ბატონობის შენარჩუნებისათვის.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელისუფლებო კორუფცია კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ინფლაცია და კორუფცია წარმოუდგენელი ტემპით გაზრდის ფასებს, გააძვირებს ცხოვრებას, ხელისუფლება კი საკუთარი ტელევიზიებითა და ჟურნალისტებით ყურებს გამოგვიჭედს ბიუჯეტის ზრდის ამსახველი ციფრებით, მოსახლეობაში დარიგებული ვაუჩერებით (ანუ ფულითძ, დარიგებული ფქვილით, დაგებული ასფალტით გახსნილი შადრევნებითა და უფასო სასადილოებით. ინფლაცია, ფასების ზრდა, კორუფცია დამანგრეველად მოედება ქვეყანას, ხალხს კი გააბრუებენ სატელევიზიო აღმშენებლობით (საცოდავი საქართველო ასეთი ხელისუფლების ხელში!ძ.

ეს არის რეალობა, ასეთი მძიმე პროცესები გველოდება წინ. ყოველივე ამის შემოქმედია „მოქკავშირი" და მისი მემკვიდრე „ნაცმოძრაობა". ხელისუფლებას ეცილება ძირითადში ის ხალხი, ვინც ამ ხელისუფლებასთან ერთად ე.წ. „ვარდების რევოლუცია" მოახდინა და ყველაფერი გააკეთა სააკაშვილის გაპრეზიდენტებისათვის. მოკლედ რომ ვთქვათ, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ერთმანეთს აუჯანყდნენ ვარდოსნები და აძლიერებენ ქვეყნის, ყოველგვარი ქართულის ნგრევის პროცესს.

ქვეყანაში არის სისტემური კრიზისი. მართვის სისტემა ავადმყოფი, კორუმპირებულია და შესაბამისად იკრებს კორუმპირებულთ, ავადმყოფური აზროვნების ადამიანებს.

სად არის გამოსავალი? ვადასტურებ ჩემს ძველ პოზიციას და დღეს კიდევ მეტი დარწმუნებით ვამბობ: გამოსავალი ახალ პოლიტიკურ პროცესში და ახალ პოლიტიკურ ძალაშია!

ახალ პოლიტიკურ პროცესში ვგულისხმობ საპარლამენტო არჩევნების საკონსტიტუციო ვადებში (არა უგვიანეს მომდევნო წლის გაზაფხულისაძ ჩატარებას, საპარლამენტო არჩევნების პარალელურად საჭიროა ჩატარდეს რეფერენდუმი პირველ ეტაპზე საპარლამენტო-საპრეზიდენტო და შემდგომში კონსტიტუციურ მონარქიაზე გადასვლის მიზნით. საპარლამენტო არჩევნებამდე საჭიროა ყველა პოლიტიკური ძალის (ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციურისძ შეთანხმება საარჩევნო კანონმდებლობაზე, საარჩევნო კომისიებზე და, რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია, კანონპროექტზე „ოპოზიციის შესახებ". ეს პოზიცია პოლიტიკურ მოძრაობა „წინ საქართველოს" გაცხადებული აქვს 2005 წელს. კარგია, რომ დღეს ყველა ამ აზრზეა. მთავარია, ქვეყანაში მიმდინარე დრამატული მოვლენები ასეთი შედეგით დამთავრდეს. ეს იქნება ყველას დიდი გამარჯვება — ხელისუფლების, ხელოვნური და ბუნებრივი ოპოზიციის, რაც მთავარია, ხალხის, მოაზროვნე ადამიანების...

რაც შეეხება ახალ პოლიტიკურ ძალას.

ახალი პოლიტიკური ძალა უნდა იყოს ისეთ ძალთა, პოლიტიკოსთა და ერისკაცთა თანამშრომლობა, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ საქართველოს მომავალი გარე სამყაროსთან ურთიერთობის გარეშე, მაგრამ ამავე დროს, მათთვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელი იქნება როგორც პრორუსულობა, ასევე პროამერიკულობა. სხვათა შორის, ეს ამერიკისთვისაც და რუსეთისთვისაც, ევროპისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია. საქართველოში რუსეთის ავტორიტეტი სწორედ პრორუსულმა ძალებმა გაანადგურეს და ამერიკის ავტორიტეტი — სწორედ ამერიკის დასმულმა დღევანდელმა ხელისუფლებამ. არა მგონია, ვინმე შემეკამათოს იმაში, რომ 10-12 წლის წინათ საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი საქართველოს მეგობართა სათავეში სწორედ ამერიკას ასახელებდა. ეჭვი მეპარება, რომ დღეს იგივე განწყობას 30-40 პროცენტზე მეტი ინარჩუნებდეს. პირადად მე და ჩემს მეგობრებს ეს ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად მიგვაჩნია, დღევანდელი ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნას რომ ვაყენებთ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ახალი პოლიტიკური ძალა სრულიად სხვა პრინციპებზე დაყრდნობით უნდა შედგეს, უარი უნდა თქვას ისეთ არაქართულ განწყობილებაზე, როგორებიცაა:

1. პრორუსულობა და პროამერიკულობა;

2. ვინმეს ან რამეს სიძულვილით გაერთიანება;

3. ხელისუფლების ბიზნესად ქცევა;

4. საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა პრაქტიკული უგულებელყოფა;

5. გლობალიზაციის მიღება, როგორც უთვისტომობა, ურწმენობა და კოსმოპოლიტიზმი.

მწამს და მჯერა, საქართველოს მომავალი მხოლოდ ქართულ პოლიტიკურ ძალასთან, ეროვნული განწყობის იმ პოლიტიკოსებთან არის დაკავშირებული, რომელთაც უცხოეთთან ურთიერთობის მთავარ საყრდენად ინტელექტი და ბიზნესი, ხოლო ქვეყნის აღმშენებლობისთვის თაობათა ერთიანობა და კონკურენცია მიაჩნიათ.

ჩვენ ამ გზით ვივლით — ეს არის დიდი ქართული სახელმწიფოს გზა.

**თემურ შაშიაშვილი,**
**„წინ საქართველოს" ლიდერი**

# ჩვენ

რასაც ახლა ვიტყვი, ჩემი პირადი მოსაზრებაა... უნდა მივიდეთ, ყველა მივიდეთ და ყველა პარლამენტის შენობისგან ზურგშექცევით მდუმარედ დავდგეთ და ვიდგეთ დიდხანს. და ეს ნაბიჯი იქნება უკანასკნელი გაფრთხილება და ნიშანიც იმისა, რომ მოვიდა ჟამი, ჟამი როდესაც საზოგადოება მზად არის თავად იკისროს პასუხისმგებლობა



## ◎ ინფორმაცია

### გუბერნატორი და მინისტრი გლეხების წინააღმდეგ

ახალი მემარჯვენეები ხელისუფლებას კონკრეტულად კი სოფლის მეურნეობის მინისტრს და რაჭის გუბერნატორს მოსახლეობაზე ზეწოლაში ადანაშაულებენ.

როგორც გუშინ სესიაზე ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ განაცხადა, რთველთან დაკავშირებული პრობლემების გამო, რამდენიმე სოფლის მეურნეობის მინისტრმა და რაჭის გუბერნატორმა გლეხებს შეურაცხყოფა მიაყენეს.

მისი თქმით, პეტრე ცისკარიშვილი და ოთარ სირაძე გლეხებს დაემუქრნენ, რომ თუ არ გაჩუმდებოდნენ, საბარგულში ჩატენიდნენ და ისე წაიყვანდნენ იმ ადგილიდან. კაციტაძის თქმით, მათ შორის დაპირისპირება ყურძნის ჩაბარების ფასმა გამოიწვია.

ბურჯანაძის დავალებით მთავრობა შეისწავლის კაციტაძის მიერ დასახელებულ ინციდენტს.

### თსუ-ს ფილიალში დარღვევებს რექტორი და მასწავლებელი შეეწირებიან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის ფილიალში აღმოჩენილია სერიოზული დარღვევები, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების გამოძიების საგანი გახდება.

ამის თაობაზე გუშინ სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ ისაუბრა.

მისი განცხადებით, ფილიალის რეორგანიზაციის შედეგად საუნივერსიტეტო კომისიამ მრავალი დარღვევის ფაქტი დააფიქსირა. კერძოდ, 2004 წელს ფილიალში 7 სტუდენტი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხა, ასევე უკანონოდ იყვნენ ჩარიცხულები რუსეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეები.

გარდა ამისა, რექტორის განცხადებით, დაფიქსირებული არიან სტუდენტები, რომლებსაც იურისტის კვალიფიკაცია მიენიჭათ, თუმცა ამ ფილიალში საერთოდ არ სწავლობდნენ.

შემოწმება თსუ-ს ფილიალში რეორგანიზაციის დაწყების შემდეგ განხორციელდა. ხუბუას თქმით, თავიდანვე ეჭვის საფუძველს იძლეოდა ის გარემოება, რომ არ იყო დაფიქსირებული სტუდენტების ზუსტი რაოდენობა. თსუ-ს რექტორის განმარტებით, ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ფილიალის რეორგანიზაციის შედეგად შესაძლებელი იყო, სტუდენტები სახელმწიფო უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხულიყვნენ.

ხუბუას განცხადებით, ფილიალის დირექტორი ომარ ტაბუცაძე თანამდებობიდან უკვე გათავისუფლებულია. არ არის გამორიცხული, რომ ფილიალის ყველა თანამშრომელი, ვინც ამ პროცესებში იყო ჩართული, ასევე დაითხოვონ სამსახურიდან.

ᵪᴏ-ᴇᴏʙ-ᴇɴᴏ

## ◎ თვალსაზრისი

# ერთხელ სტალინმაც კი აღიარა, რომ ცდებოდა. ასე რომ, ბატონო პრეზიდენტო, ჯერი თქვენზეა

**არსებობს იგავი: თვალისჩინდაკარგულს ცოლი მოუკვდა, მაგრამ მან თავი გაიგიჟა, „არ მჯერა, არ მჯერაო...“ იქვე მდგარმა მოლა ნასრედინმა ჩაიცინა, — „ღამე რომ გვერდით აღარ მოგიწვება, მაშინაც აღარ დაიჯერებო?“**

ასეთი ალეგორიული პანო ისახება დღევანდელ ჩვენს აცეტებულ ყოფაში. ხელისუფალი გაიძახის, არ მჯერა, რომ ხალხი უკმაყოფილოა და ლამის ყალყზეა შემდგარი, გაუსაძლისი პირობებისა და მისი ღირსების მრავალგზის შეურაცხყოფის გამო, ხოლო გაავებულ ადამიანთა მასა თუხთუხებს: „ამათაც თუ დავამხობთ არაფერია, ეგ ერთი და სხვა ათასიო“. თანაც ორივე მეტისმეტი გულმოდგინებით ქვეყანას უფსკრულისკენ ისე მიაქანებენ, რომ წამითაც არ აპირებენ შეყოვნებას.

არადა, ეს ხალხი მავანსაც ნარისმგლეჯელად სჭირდება, ახლა რომ გატრუნულა და მომენტს უცდის ავანსცენაზე გამოსაჩენად და რომ გამოჩნდება, ჰაი დედასა, მერე ნახეთ ჩვენი ცოდვის კალო. ადრე თუ „რაცხა“, — „ლადებს“, „მოსკვიჩებს“ და „ნივებს“ გვართმევდნენ, ახლა ოცწლიან „ვექტრებს“ ვილა ჩივის, დაგვით შეგროვილშეკოწიწებულ, საზღვარგარეთიდან მონური შრომით გამოგზავნილ ორიოდე გროშსაც ისე გამოგვლეჯენ, რომ დასკვნების უფლებასაც აღარ მოგვცემენ. ადრე რომ დღის სამ საათზე იცვლებოდა ქალაქი, ახლა თორმეტზე დაიცლება. ასე რომ, სარევანშოდ ყოველივე მზად არის, რევანშის შემდეგ კი პოეტ ლია სტურუას სტრიქონისა არ იყოს: „იყო ასეთი ქვეყანა — საქართველო, რომელიც მეხსიერებაში...“

დამერწმუნეთ, ყოველივე უფრო ტრაგიკულად განვითარდება, ვიდრე გვგონია (ნუ გვექნება მოკლე მეხსიერებაძ და ღირსნიც ვიქნებით, რადგანაც ხომ ჭეშმარიტებაა, ოჯახი, რომელსაც კაცი ვერ პატრონობს, ტიალდება, მის ცოლს კი სხვები ეუფლებიან. ღმერთმა დაგვიფაროს და თუკი სიტუაცია უმართავი შეიქმნა, ქვეყანა უცბად დაემსგავსება გავერანებულ სასაფლაოს. არადა, ეს ასე რომ მოხდეს, ამას ხელისუფლების უგუნური ქმედებანიც არათუ ხელს უწყობს, არამედ კატალიზატორადაც გვევლინება. სადი აზრი კი შექსპირისა არ იყოს — კახპა ქალივით ქუჩაშია გამოყუდებული. ირგვლივ ჯიბრის ტირანია მეუფებს: ყოველივეზე პასუხისმგებლობა კი პირველ რიგში ხელისუფლებას ეკისრება. და მას უნდა ახსოვდეს, რომ ეს ის ისტორიული პასუხისმგებლობაა, რომელზეც მარად მოეთხოვებათ პასუხი და მის გაუაზრებელ ქმედებებს შეიძლება ისეთი შედეგები მოჰყვეს, რომელთა ტოლი, მხოლოდ გარნისის ტრაგედია შეიძლება იყოს, რომლის შედეგადაც ქართული სახელმწიფო აგერ უკვე რვა საუკუნეა ველარ გამართულა წელში... ეს ყველამ შუბლზე უნდა ამოიტვიფროს, რადგანაც თუ ტრაგედია მოხდა, სამყაროში არ იქნება ადგილი (თვით ჯოჯოხეთშიცძ, სადაც მათ ნავსაყუდელი გამოუჩნდება! და ნურც ნურავის მოეჩვენება ჩემი სიტყვები პათეტიკურად, რადგანაც ქვეყანაში პათეტიკის პულსაცია რეკს! გამოსავალი?!

ისტორიული ექსკურსი: მეოცე საუკუნის ოცდათიანი წლების დასაწყისში, როს საბჭოეთში კოლექტივიზაციის კამპანია დაიწყო და სოფლად გლეხს კოლმეურნეობაში სახრით კი არა „ვინტოვკით“ მიერეკებოდნენ, სახელმწიფო შიმშილმა მოიცვა (მარტო უკრაინაში სამ მილიონამდე კაცი გაწყდაძ, და ქვეყანაში ქაოსის ლანდიც აისვეტა! თუმცაღა ქვეყნის ხელისუფალნი არნახულ წარმატებებს ადაფდაფებდნენ და რეპრესიების მანქანაც სიჩქარის აკრეფას იწყებდა. სწორედ ამ უმძიმეს თვეებში, რომლებიც ეპოქის სადარად იქცა, სტალინს ეყო არა მარტო შორსმჭვრეტელობა და გონიერება, არამედ საარაკო ვაჟკაცობაც და თავის ნაშრომში (რომელიც ჯერ გაზეთ „პრავდის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდაძ, „თავბრუს დახვევა წარმატებებისგან“ სახალხოდ აღიარა, რომ კოლექტივიზაცია (დღევანდელი გაგებით რეფორმაძ, დიდი დარღვევებით, გადახრებით, ძალადობითაც კი მიმდინარეობდა და რომ ასე გაგრძელება დაუშვებელი და დამღუპველი იყო. ამ ნაბიჯმა მაშინ საბჭოეთი სამოქალაქო ომისგან იხსნა, თავად სტალინის ავტორიტეტი კი არათუ დააკნინა, არამედ პირიქით, განუზომლად გაზარდა (ერთ წუთს ნურვინ იფიქრებს, რომ მე იმ ბოროტების იმპერიას მივტიროდე, უბრალოდ ფაქტის კონსტანტაციას ვახდენძ, ყველა, გონიერიც და უგონოც მიმიხვდება თუ რისთვის დამჭირდა ამ ისტორიული ექსკურსის გაკეთება. დიახ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უნდა იკისროს პასუხისმგებლობა და პირდაპირ უთხრას თავის ხალხს, ყველას, განურჩევლად ყველას, რომ ქვეყნის მართვისას, რომლის ერთგვარი პრინციპატი უნდა ყოფილიყო: „იჩქარე ნელა“, დაშვებულია ბევრი უხეში შეცდომა, რომელთა ერთობლიობამ სახელმწიფოში კრიზისის წინაპირობა წარმოშვა, გარემოებათა გამო ვერ გატარდა აღნიშნული პრინციპატი. მან შესარიგებლად ხელი უნდა გაუწოდოს ერს და დარწმუნებული იყოს ამჯერადაც ხალხი დაუჯერებს, ოლონდაც დაუჯერებს უკანასკნელად. მაგრამ თუ მან მაინც ჯიუტად პომპეზურ შეხვედრებზე, პანეგირიკები ურიგა თავის მომხრეებს, იმ ბრმის მდგომარეობაში აღმოჩნდება „არ მჯერა, არ მჯერას“ რომ გაიძახოდა, სინამდვილეში კი სარეცელი დასცარიელებოდა და თუ ბატონი პრეზიდენტისთვის ის სარეცელი ხელისუფლებაა, ჩვენთვის სამშობლოა იგი და ამაზეც უნდა დაფიქრდეს როგორც პრეზიდენტი!..

და რადგანაც ქვეყნიერება პარადოქსებისგან შედგება, ერთ ისტორიულ ექსკურსსაც გავაკეთებ. მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისში მეფობდა ჩარლზ-I, რომლის მეფობის საწყისს დიდის იმედებით შეხვდნენ ქვეშევრდომნი, ის კი არადა, მხარდაჭერის ნიშნად ყველამ გულზე წითელი ვარდიც დაიბნია, მაგრამ მალე შეიცვალა. მეფე ერთგვარად გაყოყოჩდა, არავის და არაფერს დაგიდევდა, იყო განუზომელი ხარჯვა ფულისა გართობებსა და ფეიერვერკებში, სახელმწიფო დაიყო... ერთი სიტყვით სრული განუკითხაობა სუფევდა. ინგლისელთა დრტვინვა მალე ჯიქურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ქვეყანას განსაკუთრებით სძულდა პირველი მინისტრი — ბეკინგამი (ეს ოხერი ასო „ბანიც“ ხომ ჩვენთვისაც ნაცნობი „ლიდერის“ გვარის საწყისიაძ ხალხმა და პარლამენტმა მოითხოვეს ამ მინისტრის გადაყენება, თუ არა, ჩაჩუმება მაინც! მეფე გაჯიუტდა, არ თმობდა, არც ხალხმა დათმო, მინისტრი ბეკინგემი კი უფრო და უფრო გამომწვევად იქცეოდა, ბოლოს სახელმწიფოში კრიზისი განვითარდა, მეფეც იძულებული გახდა, ბეკინგამი ეშაფოტიზე გაეშვა, მაგრამ უკვე გვიან იყო და ჩარლზ-I-მაც 1649 წლის 30 იანვარს თავი საჯალათო კუნძზე დადო...

მე არაფერს ვწინასწარმეტყველებ, ჩვენი პრეზიდენტი ღმერთმა დაიფაროს ასეთი ბედისგან, მაგრამ ავბედით ანალოგიას მაინც ვჭვრეტ... და იმასაც ვიტყვი, მე არ ვარ კრიჭაში ჩამდგარი ოპოზიციონერი, პირიქით, ხშირად მომწონს კიდეც პრეზიდენტის ენერგია და ამიტომაც ვწერ ამას.

დაბოლოს: შეიძლება ვინმემ მკითხოს, მივიდეთ თუ არა ორ ნოემბერს აქციაზეო. პასუხი ერთია — უნდა მივიდეთ! ოლონდაც უნდა გვახსოვდეს, ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ ძალით მოსულ ხელისუფლებას, დასამხობად არ გახდომოდეს საქმე, რადგანაც მათ ნებსით თუ უნებლიეთ უკანონო ცხოვრების ნორმად გახდომიათ და მართვასაც ამ სტილში გააგრძელებენ. ამიტომაც მოვთოკოთ ემოციები, ნუ გავხდებით „საშუალება“ იმ ბედისმაძიებელთა კოჰორტისა, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი კაცის სიძულვილმა შეაკავშირა (ეს როგორც ზვიადის დროს მოხდაძ და რომელნიც დაუოკებლად ყველა დროში ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად მიილტვოდნენ და არ დაგიდევდნენ ამისთვის არავითარ საშუალებას! ხალხი?! ხალხი კი მათთვის მხოლოდ საზარბაზნე ხორცია. ხოლო მათ უკან ვინა დგას, რა რანგის მტერი, ეს შეიძლება, მათაც არ იცოდნენ.

მაშ რა ვქნათ? რასაც ახლა ვიტყვი, ჩემი პირადი მოსაზრებაა... უნდა მივიდეთ, ყველა მივიდეთ და ყველა პარლამენტის შენობისგან ზურგშექცევით მდუმარედ დავდგეთ და ვიდგეთ დიდხანს. და ეს ნაბიჯი იქნება უკანასკნელი გაფრთხილება და ნიშანიც იმისა, რომ მოვიდა ჟამი, ჟამი როდესაც საზოგადოება მზად არის თავად იკისროს პასუხისმგებლობა.

**ნოდარ კობერიძე**

## ◎ კონფლიქტის ზონა

# ივანე ბესტაევის გაკოჭეს

**მოთარეშეების „ხელწერა“ ქურდულად მოპარვა, მახვილის ზურგში ჩაცემაა. შარშან, 7 აგვისტოს, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ავნევის ბლოკ-საგუშაგოზე ოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ორი ნიღბიანი ბანდიტი გამოჩნდა და ცეცხლი გაუხსნა ჩვენს პოლიციელებს. სამი კაცი დაჭრეს. ბანდიტები გაიქცნენ. მაშინ ხელისუფლება შეგვპირდა, რომ მათ კვალს აუცილებლად მიაგნებდა.**

სამართალი ხანდახან გვიან მოდის, მაგრამ მაინც ხომ მოდის! გუშინ ჩვენმა სამართალდამცავებმა ფრონეს ხეობაში წარმატებული ოპერაცია განახორციელეს და ერთ-ერთი იმ ბანდიტთაგანი დააკავეს. იგი ივანე ბესტაევი აღმოჩნდა, ცნობილი მოთარეშე და ყაჩაღი. ცხინვალის ხელისუფლების პრეს-მდივანი ირინა გაგლოევა გულამოსკვნილი ტიროდა: მართალია, ყაჩაღია, მაგრამ პიროვნების თავისუფლების ხელყოფით რატომ დააკავეს, ეს ხომ დივერსიული აქტიაო (!ძ.

ბანდიტის დაკავება დივერსიული აქტია თუ ჰუმანური ამას გამოძიება გაარკვევს.

**გურამ ვაშაკიძე**

№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

# რა დღეშიც ვართ

ჩვენთან კი რა, იმის მაგივრად, რომ მთავრობამ თავი დამნაშავედ იგრძნოს და, როგორც კახელები იტყვიან, გატოკდეს, ყველაფერს მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდას აბრალებენ და იმას, რომ ჩინეთსა და ინდოეთში სურსათსა და სხვა პროდუქტებზე მოთხოვნა გაიზარდა



ამ გაუსაძლის ყოფაში

## ინფლაციას მთავრობა ფეხებზე ჰკიდია

**ასეთი გამოთქმა ზოგს შეიძლება უხერხულად მოეჩვენოს, ეჩოთიროს და გულიც მოუვიდეს, განსაკუთრებით მთავრობას, რომელიც ინფლაციამ ამ ბოლო დროს მართლაც ფეხებზე დაიკიდა, მას აღარაფერს ეკითხება და სულ სათავისოდ მიერეკება. ეს ობიექტური რეალობაა და მთავრობას, თუკი ჭკუა კიდევ როგორღაც შემორჩა, შეუძლია თავის სასარგებლოდაც გამოიყენოს. აკი ზოგჯერ ახერხებს კიდეც ამას და მთელი ქვეყნის გასაგონად ამბობს – რა ვქნა, ხალხნო, ეს უბედურება მარტო ჩვენს თავს ხომ არ არის, იგი მთელ მსოფლიოსაა მოდებული და ჩვენ წინ როგორ გადავუდგებითო.**

უნდა დავუჯეროთ? არა, რა თქმა უნდა. საქართველოში ინფლაციამ თავი რომ აიწყვიტა, ამაში ლომის წილი სწორედ მთავრობას მიუძღვის. აბა, გავიხსენოთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჯერ კიდევ როდის აფრთხილებდა ჩვენს ხელგაშლილ მთავრობას – საბიუჯეტო თანხების ხარჯვას ნამეტანი ნუ მიეძალებით, თორემ მოკლე ხანში სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებითო. არ შეისმინა ჭკუის დარიგება, უფრო სწორად, იუკადრისა, იმაზე მეტის შეჭმა მოინდომა, ვიდრე შემოსავალი ჰქონდა (ეს ქართველი კაცის განუკურნებელი სენია) და ცხვირშიც ამოირტყა!

ინფლაციამ ბოლო პერიოდში ქვეყანაში საგანგაშო ზღვარს მიაღწია. იგი თუ 2005 წელს 6,2 პროცენტზე მეტი არ იყო, 2006 წელს მან 8,8 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2007 წლის მესამე კვარტალში 13 პროცენტამდე ავარდა. არადა, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ამ ორი თვის წინათ კმაყოფილებას ვერ ფარავდა – ჩვენ წელს ინფლაციას 8 პროცენტის ფარგლებში ვვარაუდობდით და, როგორც ჩანს, ამასაც ვერ მივაღწევთო. რა თქმა უნდა, პრემიერი თავს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით იტყუებდა (სურდა და იტყუებდა), მაგრამ რეალობას სად გავექცევით, დღეს საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რომ ინფლაციის რეალური მაჩვენებელი ოფიციალურს ორჯერ მაინც აღემატება. წინა თვეებთან შედარებით სექტემბერში ფასებმა ყოველთვიურ ნორმასთან შედარებით 3-ჯერ მოიმატა, ეს ფულითა და ტყუილებით გაბერილმა ბენდუქიძემაც ვეღარ უარყო და საქვეყნოდ განაცხადა. აფერუმ მის გამბედაობას!

კაცს ცოლი მოუკვდა და ნუ ეტყვითო. რად უნდა თქმა, ხალხი ვერა ხედავს, მაღაზიებსა და ბაზრებში ყოველდღიურად რომ იზრდება ფასები? ეს პროცესი პურით დაიწყო და შემდეგ სხვა პროდუქტებზეც გავრცელდა. ამ ორიოდე კვირის წინათ პურმა 10 თეთრით მოიმატა და 65 თეთრი გახდა. ამაზე რომ შეჩერებულიყო, კიდევ რა გვიჭირდა. როგორც ხორბლის მსხვილი იმპორტიორები გვიწინასწარმეტყველებენ, ზამთარში საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასი კიდევ მოიმატებს და პური სულ მცირე 5 თეთრით მაინც გაიზრდება. საქმე იქითკენ მიდის, რომ იმ მომატებული, გაორმაგებული თუ გასამმაგებული თანხით, რომლითაც მთავრობა ამაყობს, პენსიონერი მოკლე ხანში მარტო პურის ყიდვასღა შეძლებს (!).

მაგრამ, ხმელა პური ყელზე რომ დაადგეს, წყალი ხომ მაინც უნდა დააყოლოს, რომ არ დაიხრჩოს? არადა, წელს ყველაზე მეტად (21 პროცენტით) სწორედ წყალი, დენი და გაზი გაძვირდა. საშუალოდ 12 პროცენტი მოიმატა სურსათის ფასმა, ხოლო ტრანსპორტი 7 პროცენტით გაძვირდა. ყოველივე ამან ჯაჭვური რეაქციით გადაუარა მთელ სამომხმარებლო ბაზარს – შესაბამისად გაძვირდა რძე (დაახლოებით 20 პროცენტით) და რძის პროდუქტები – ხაჭო, ყველი, არაჟანი. ბუნებრივია, ზამთარში მისი სანედლეულო ბაზა შემცირდება და ამ პროდუქტებზე ფასი კიდევ უფრო მოიმატებს. აღარაფერს ვამბობთ ბენზინზე, ნავთზე, თხევად გაზზე, რომლებზეც ფასების ზრდა, როგორც წესი, წინა თვეშიც გაგრძელდა.

წარმოუდგენლად გაძვირდა (50 პროცენტით და მეტით) ყოველდღიური კვების პროდუქტი – ზეთიც. ამასთან ერთად ბაზარზე თავი იჩინა მასალის დეფიციტმაც, რაც ექსპერტთა პროგნოზით სუფრის მარილზე ფასის ზრდას გამოიწვევს და უამრავ გაჭირვებულს საქართველოში, კერძის მომზადება თუ როგორმე შეძლო, მისი უმარილოდ ჭამა მოუწევს.

საქართველოში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პენსიონერი ან უმუშევარია, ადვილი მისახვედრია, ხალხს რა გაუსაძლის პირობებში უხდება ცხოვრება. თუმცა ამ სიადვილის მიუხედავად, ჩვენ მთავრობას ამ თვისების სიჭარბეს (სიჭარბეს ვინ ჩივის, მის უბრალოდ შეგრძნებას) ვერა და ვერ დავიბრალებთ, ალბათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ დამძიმებულ ჯიბეს ინფლაციის ძლიერი შტორმიც კი ოდნავადაც ვერ არხევს. ეს მაშინ, როცა ცივილიზებული ქვეყნების მთავრობების 3-პროცენტიანი ინფლაციაც პრობლემად მიაჩნიათ და მის შესაჩერებლად კომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებენ.

ჩვენთან კი რა, იმის მაგივრად, რომ მთავრობამ თავი დამნაშავედ იგრძნოს და, როგორც კახელები იტყვიან, გატოკდეს, ყველაფერს მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდას აბრალებენ და იმას, რომ ჩინეთსა და ინდოეთში სურსათსა და სხვა პროდუქტებზე მოთხოვნა გაიზარდა. კი ბატონო, ფაქტია, რომ დასახლებულ ქვეყნებში ასეთი მოთხოვნა მართლაც გაიზარდა, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, შევუთვალოთ ჩინელებს და ინდოელებს, რომ ჭამა შეზღუდონ თუ ადგილობრივ მთავრობას გადადგომა მოვთხოვოთ?

ხელისუფლება ამ უკანასკნელ აზრს (ისევე როგორც ბევრი სხვა აზრს) რა თქმა უნდა, ყურსაც არ ათხოვებს. პრემიერი ხშირად ტრაბახობს იმით, რომ ქვეყანაში შიდა პროდუქტი ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ რატომღაც ვერ თუ არ აანალიზებს, რომ ეს სწორედ ინფლაციის ხარჯზე ხდება, ამას ემატება უცხოური კაპიტალის შემოსვლა, რაც საქართველოში ფულადი მასის ზრდას იწვევს.

რა უნდა ქნას ხელისუფლებამ, რომ მოძალებულ ინფლაციას შეებრძოლოს? რა თქმა უნდა, ფასების უკან დაბრუნება გაუჭირდება, მაგრამ მისი შეჩერება ხომ შეიძლება? რატომაც არა, მაგრამ მთარვობა ამის თაობაზე დუმილს ამჯობინებს და ერთადერთი, რასაც აკეთებს, ის გახლავთ, რომ ეროვნულ ბანკს ავალდებულებს – დოლართან შედარებით ლარის კურსი კვლავაც გაამყაროს და ამით ფასების ზრდა ცოტათი მაინც შეამციროს. მაგრამ ყველა ხედავს (ხელისუფლების გარდა), რომ ლარის ხელოვნური გამყარება გაუფასურებულ დოლართან მოსახლეობას გახვრეტილ ჯიბეს ოდნავადაც ვერ გააშეღავათებს, პირიქით, სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, ეს სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს.

ინფლაციის წისქვილზე მიუშვებს წყალს ის ინიციატივაც, რაც პრეზიდენტმა ამ დღეებში გამოიჩინა რა თქმა უნდა, პენსიონერებისა და პედაგოგებისთვის ინფლაციით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად დენისა და გაზის 50-50 ლარიანი ვაუჩერების გადაცემა თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ ასეთი ნამცეცა ერთჯერადი დახმარება, ხომ ფაქტია, მათ გაჭირვებიდან ვერ ამოიყვანს. იმას კი შეძლებს, რომ მიმოქცევაში ფულადი მასის დამატებითი ნაკადი ჩაერთვება და ინფლაციურ პროცესებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

ღმერთო გვიშველე, ინფლაციას, რომელიც მინდვრის თაგვივით ღრღნის ჩვენს ისედაც უღლეურ და უბადრუკ ყოფას, კიდევ წაქეზება უნდა?

**ოთარ ხუციშვილი**

თავდადებული

## ...„რაითა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის“

### *პოლონელების სათაყვანო ქართველი წმინდანი*



**წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტმა გრიგოლ ფერაძის ხსოვნის საღამოს უმასპინძლა. ღელავდნენ მასპინძლებიცა და სტუმრებიც, საქართველოსა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ აღიარებულ წმინდანს ხომ უემოციოდ ვერ ახსენებ. არქიმანდრიტმა და მეცნიერმა მხოლოდ 42 წელი იცოცხლა და ღვაწლმოსილი მოწამეობრივად აღესრულა.**

წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოების თანათავმჯდომარემ ილია ფერაძემ საღამოზე გულისტკივილით აღნიშნა, რომ გრიგოლ ფერაძის შესახებ საქართველოში ცოტამ თუ იცის, პოლონეთში კი მას ძალიან კარგად იცნობენ და საკადრის პატივსაც მიაგებენ. „ჩვენი უბედურება ის არის, რომ ქართველებს სხვამ უნდა დაგვანახოს ჩვენივე თანამემამულის გენიალურობა. როგორც ნიკალა ფიროსმანი პოლონელმა ძმებმა ზდანევიჩებმა გვაპოვნინეს, მიტროფანე ლაღიძე პოლონელმა ივანოვსკიმ დააყენა ფეხზე... ასევე, გრიგოლ ფერაძეც პოლონელებმა შეიყვარეს და აღიარეს. საქართველოს ეკლესიის დავალებით თეოლოგიის შესასწავლად საზღვარგარეთ გაგზავნილმა გრიგოლ ფერაძემ 20 წლის განმავლობაში 16 უძველესი ენა შეისწავლა, გახდა ფილოსოფიის დოქტორი, ეკურთხა მღვდლად, გახდა არქიმანდრიტი, პირველი ქართული – წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია დააარსა პარიზში. საკუთარი სახსრებით შემოიარა რუმინეთი, ბულგარეთი, წმინდა მიწა, სადაც ქართულ ნაკვალევს ეძებდა და იკვლევდა, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული კულტურის ძეგლების შესწავლას“.

ილია ფერაძემ მის აღსასრულზეც ილაპარაკა – გრიგოლ ფერაძისთვის ომს ვარშავაში მოუსწრია. „მან არ დატოვა ვარშავა დაბომბვის მძიმე დღეებში. მამა გრიგოლს ჯვრით ხელში ყველაზე სახიფათო ადგილებში ხედავდნენ, იგი მიცვალებულებს აზიარებდა და გაჭირვებულებს ეხმარებოდა. განსაკუთრებით ესარჩლებოდა ებრაელებს, ფაშისტების სამსახურში მყოფმა ერთმა ქართველმა მამა გრიგოლი დაასმინა და იგი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა, სადაც ნებაყოფლობით შეენაცვლა გაზის კამერაში თავის ებრაელ მრავალშვილიან სტუდენტს. ომის მერე, ოსვენციმიდან გადარჩენილმა ტყვემ მამა გრიგოლის ჯვარი და ძეწკვი პოლონეთის პატრიარქს გადასცა და ამ დიდებული ადამიანის მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ უამბო“...

წმინდა გიგოლის ძმისშვილმა, დოცენტმა რომანოზ ფერაძემ აღნიშნა, რომ გრიგოლ ფერაძემ 1921 წლიდან, ემიგრაციაში წასვლიდან სიცოცხლის ბოლომდე თითქმის ქრისტეს გზა გაიარა. იგი უსამშობლოოდ იტანჯებოდა. იმედი ჰქონდა, რომ გერმანიაში სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნდებოდა, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, განცხადებით მიმართა საბჭოთა საელჩოს და სამშობლოში დაბრუნების ნებართვას ითხოვდა, მაგარამ ამაოდ, საბჭოთა კავშირს მეცნიერი თეოლოგები არ სჭირდებოდა. როდესაც „ქართველი მეშნევიკების მიერ გატანილ განძს გერმანელი ოკუპანტები უნდა დაპატრონებოდნენ, მათ ექსპერტს დაავალეს მისი მატერიალური ღირებულების განსაზღვრა.

იხ. 12 გვ.

# წუთისოფელი

● მკითხეს, როგორააო გიორგი ლეონიძე. ალბათ მისი შემოქმედების მეტი ნაწილი ამოღებულია, და, ალბათ, მას დღეს აღარც ბეჭდავენ. სხვა რამ ცუდი ხომ არ დაემართა პოეტსო. მხედველობაში ჰქონდათ, მივხვდი, სტალინისადმი მიძღვნილი მისი ნაწარმოებები



◎ გულწრფელი წიგნი

თუ აილებ, უნდა ბოლომდე გამოცალო. უკან აღარ გამოგართმევენ. ამიტომ უფრთხილდი, თხელი ხარ, ყანწის დაცლა გაგიჭირდება, ვერც დადგამო. მართლაც, საქართველოში ყანწი არავინ მომაჩეჩოს-მეთქი, ხელები უკან ზურგზე მეწყო შიშით.

ახლა, ამხანაგებო, შინ ვართ და ამ ქართული ყანწით და ჩვენი ვიეტნამური სასმელით, დიდი სტალინის სამშობლო საქართველოს სადღეგრძელოს ვამბობ.

მაკსაკოვსა და მისიანებს, შევნიშნე როგორ უხერხულად შეიშმუშნეს, მაგრამ რაღა გამოსავალი იყო. ხო შიმინის ნათქვამი სადღეგრძელო საქართველოზე, რიხით გაიმეორეს თავადაც.

* * *

მავანი ალბათ იტყვის, — რა შენი სატრაბახო იყო სტალინის დიდკაცობაო. შეიძლება ეს ერთადერთი კითხვა აღმოჩნდეს, რომელსაც, შესაძლოა, ვერ გავცე პასუხი.

მაშინ, საქართველოში ჯერ კიდევ, განსაკუთრებული სიმძაფრით განვიცდიდით ე.წ. „პიროვნების კულტზე“ ლაყბობით სტალინის ჭეშმარიტი ისტორიული როლის უგულებელყოფას. როგორც მწერალი მარკოვი წერს, — კი, იყო პიროვნების კულტი, მაგრამ პიროვნებაც ხომ იყო.

ჩვენი მასთან ყოფნის დროს სვანური ქუდის მოხდა ხოს არცკი უცდია.

რუსულის გარდა, მისთვის მშობლიურივით იყო ფრანგული. იცოდა აგრეთვე ჩინური, ინგლისური...

1924-ის იანვარს სამხრეთ ჩინეთის გუანჯოს კომუნისტურ ორგანიზაციას ვედექი სათავეში, როცა ლენინის გარდაცვალების ამბავი მოვიდაო, — გააგრძელა „ბიძია ხომ“. პარტიამ მე მიმავლინა მოსკოვში ლენინის დაკრძალვაში მონაწილეობისათვისო.

ირკუტსკიდან აზიის რამდენიმე ქვეყნის კომუნისტთა წარგზავნილები, ტრანსციმბირული მატარებლით გავუდექით გზასო. ოცდაოთხის ზამთარი საშინელყინვიანი იყო, მით უმეტეს, შუა ციმბირში. ჩაიღიმილა და მეჩხერი წვერები ხელის გულით შეისრისა. ნახევრადჩაბნელებულ ვაგონში ერთი ნახშირის ღუმელი ბჟუტავდა. გარეთ ყინვიანი გრიგალი ყველაფერს გლეჯდა. ღამით, ვაგონში ნახშირის კვამლი დადგა. თურმე ქარს სახურავზე აშვერილი საკვამური მოუგლეჯია. მთელი ფუტი უკან ჩამობრუნებულა. კონდუქტორი ქალი ატირდა, — რა ვქნა ახლაო, წუხდა. ვაგონში ისეთი მოსამსახურე არავინ იყო, იმ ყიამეთში ასვლა შესძლებოდა, არადა, ან დავიხრჩობით, ან უნდა გავიყინოთ. ყველამ შემომხედა. ხმელი, ტანმორჩილი და ახალგაზრდა ვიყავი. დრო აღარ ითმენდა, ავდექი და, როგორც იქნა, ავძვერი. ქვემოდან ვიღაცებმა ფეხები დამიჭირეს, გრიგალს რომ არ წავეღე. წაქცეული ჭვარტლიანი საკვამური, თავის ძირს ძლივს წამოვაგე და გაყინული მავთულით რაღაცას გამოვაბი, — მოყვა, თან კისკისით მეჩხერ წვერებს ხელით იჩიჩქნიდა.

მერე მოსკოვზე თქვა: ლენინის გლოვის დღეებიც საშინელი ყინვიანი იყოო. მოსკოვის გაუმთბარ სასტუმროში, სადაც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტუმრები მოვთავსდით, ერთ დილით, საუზმე სტალინმა მოგვიტანა. ჩვენ ყველანი სიცივის გამო ლოგინებში ვიწექით. სტალინმა მხარზე ჩამოკიდებული ჩანთიდან, შავი პურის თითო კარაქწასმული ნაჭრები ჩამოგვირიგაო. რუსული ყინვების გახსენებამ ოდნავადაც ვერ გააგრილა ჰანოის ჰავა.

* * *

სასახლიდან როგორც კი გამოვედით, მაკსაკოვი მეუბნება, თქვენ ახლა მწერლებს შეხვდებითო. დელეგაციის წევრთაგან არავინ გამყოლია. ეს ახალი „დიდი ნდობა“, ეტყობა, ვიმეორებ, ჰაიფონის შემთხვევის გამო ჩემმა დამუქრებამ მომაპოვებინა. თორემ, აბა, მწერალთა კავშირში რომ უნდა მივსულიყავი, ეს ადრე არ იცოდნენ? იცოდნენ, მაგრამ დამიმალეს. იმნაირ სიტუაციაში საქართველოს წარგზავნილის, ისიც მწერლის ვიეტნამელ მწერლებთან შეხვედრა თავიდან მიზანშეწონილად ჩაითვალა.

რომანოვს ვკითხე, მწერლებთან შეხვედრაზე თქვენ ხომ წამოხვალთ? არა, რა საჭიროაო. მწერალი თქვენა ხართ, წადით და ისაუბრეთ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვალოთო.

მთავარია დრო დავიცვა. იმავე დღეს, 16 საათზე ხომ შინ გავფრინდებით.

ლიანებშემოვლებული კოლორიტული სახლი ტროპიკული ბაღის შუაგულში დგას. მწერლები, ძველ ნაცნობებივით, მონატრებული ალერსით მხვდებიან. ძალიან უხარიათ, რომ სწორედ საქართველოდან ვარ. დარბაზში შემიწვიეს, გარს შემომეხვივნენ. სურათებიც გადაიღეს და სასაუბროდაც მოეწყვნენ. ჯერ თავად, რიგ-რიგობით წამოდგნენ. ზოგმა თავისი ბოლო ახალი ლექსი წაიკითხა (რა თქმა უნდა, თავის ენაზეძ.

მკითხეს, როგორააო გიორგი ლეონიძე. ალბათ მისი შემოქმედების მეტი ნაწილი ამოღებულია, და, ალბათ, მას დღეს აღარც ბეჭდავენ. სხვა რამ ცუდი ხომ არ დაემართა პოეტსო. მხედველობაში ჰქონდათ, მივხვდი, სტალინისადმი მიძღვნილი მისი ნაწარმოებები. შევატყვე, რომ ვიეტნამში კარგად იცნობდნენ გოგლას პოეზიას. ყოველ შემთხვევაში, სტალინის თემაზე შექმნილი მისი პოემები და ლექსები უკვე მრავალგზის თარგმნილ-გამოცემული იყო ჰანოიში. იგრძნობოდა, რომ უკმაყოფილონი იყვნენ სსრკ-ში სტალინის ისტორიული როლისა და მნიშვნელობის უკიდურესი იგნორირების გამო. რუსულიდან მთარგმნელი ჰყავთ და, შეძლებისდაგვარად, ჩემი რუსულით, ბედაურად მივახვედრე ქართული მწერლების ბოლო წლების სხვა ამბებიც.

— გიორგი ლეონიძე ციხეში ყავთო, ასეთი რამ გაავრცელეს ჩვენში, — არ მეშვება ერთი მწერალი. იგი თავიდანვე გვერდით მომიჯდა, თავიდანვე, რატომღაც ლეონიძით იყო დაინტერესებული.

— ხომ არ იცნობთ პირადად მას? — ვკითხე.

— ვიცნობ ლექსებით, მე მას ვთარგმნი. სამწუხაროდ არა ქართულიდან, ზოგი ბწკარედიდან ვთარგმნე, ზოგიც რუსულიდან.

— მართალია პიროვნების აპოლოგიაა, მაგრამ ვგრძნობ ორიგინალში გენიალური სახეებია, გადასარევი მეტაფორები. როგორი ნიაღვარივით მოხეთქილია ალბათ მაგისი ენა, წარმომიდგენიაო. მართლაც გამიკვირდა, — ვიეტნამელმა პოეტმა ასე ღრმად როგორ იგრძნო გოგლას მაღალი ლირიკის გემო-მეთქი (დაახლოებით მახსოვს, იმ პოეტს ლიმ ფოს ეძახდნენძ. მესიამოვნა ლეონიძის პოეტური ენის სამყაროში მისი ასე შორიდან, ქართულის ბუნების გაუცნობლად წვდომის უნარი. ამიტომ, იმ რამდენიმე წუთისთვის, დავრაზმე ლეონიძის პოეტური ენის აზვირთებათა სილამაზეზე ჩემი სხვა დროის ნაფიქრ-ნააზრევები, რათა როგორმე უფრო დამერწმუნებინა მისსავე დასკვნების სინაღდეში. დიახ, დიახ-მეთქი, — მისივე შთაბეჭდილება მოვუწონე. მეც ვატყობო, — ის ხალხურისა და არქაულის შერწყმით აახლებს თავის გამოთქმებსო.

* * *

ლეონიძის ვიეტნამელმა მთარგმნელმა პოეტმა, ჩემს გვერდით რომ იყო, მთელი შეხვედრისას, მოულოდნელად წამოდგა, წიგნებით გამოტენილ კარადას მიადგა, შუშა გასწია. ერთი პატარა ფორმატის წიგნი გამოიღო, მომიტანა და საგანგებოდ გამომიწოდა. ეს ჩვენი პრეზიდენტის ლექსებია, სახსოვრად გჩუქნიო.

წამოვიღე ის, ჯიბის ფორმატით გამოცემული პოეზია ხო შიმინისა. სადღაც რუსულ ჟურნალში თარგმნილებიც გავიცანი. კომუნისტური ვერაფერი შევნიშნე. სულ პირადული, ადამიანური, ლირიკული იყო.

როცა ჰანოიდან წამომდგარი „ილი“ ცის ოკეანეში შეცურდა, ჩემს ადგილზე განმარტოებით მიმყუდროებულს, უცებ თითქოს, სევდისნაირი ბადე შემომეჭრა ტანზე, გამახსენდა, — დღეს (1964-ის ნოემბრის, მგონი, 16 იქნებოდაძ, ტაშკენტში, ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ ხვდებიან. ეს უფრო გადათამაშებაა. ის, რომელიც დღეს გაიმარჯვებს, ჩემპიონი იქნება. მე ვგრძნობდი, როგორც ცდილობდნენ მაკსაკოვი და მისი ბიჭები, ჩემი თანადელეგაციელები, მე ისე მომქცეოდნენ, ჰაიფონში მათ მიერ დაშვებული სულელური შეცდომის გამო, ჩემი უკმაყოფილება მართლა არ გამემხილა „ცეკაკეპეესესში“. გულში კი, გულახდილით ვიტყვი იმ წყენის გამო, მაინცდამაინც, დიდი ამბების ატეხა არც მეწადა და არც აღარაფრად მიმაჩნდა.

თუ დღეს ჩვენი „დინამო“ კარგად მოიგებს, — ვეუბნებოდი თავისთავს თვითმფრინავში, — (ესე იგი, თუ დღესაც, იქაც, ფეხბურთშიც, მაგენს მოვერევი, ყოველ საჩივარს გვერდზე გადავდებ. პირიქით, ხვეწნით დავემშვიდობებიძ.

ამ ვეება, ასზე მეტადგილიან აეროზუსში სულ ოცი მგზავრიც არაა. განმარტოებით ვარ. სარკმლიდან ხშირ-ხშირად ძირს, დედამიწისკენ ვიყურები. ირკუტსკში დაშვება-აფრენის შემდეგ, — მაინც. ვანგარიშობ, ვითვლი, დროის და ადგილის განსხვავებებზე ჩემი მიახლოებითი დასკვნები გამომყავს, რათა ოდნავ მაინც დავადგინო, როცა შუა აზიას, ანუ ტაშკენტს გადავუვლით, ეს ისტორიული თამაში, „დინამო“-თბილისსა და „ტორპედო“-მოსკოვს შორის, იქნება დაწყებული თუ არა. ჩემი ანგარიშით თამაში სწორედ მაშინ დაიწყება, როცა ჩვენი თვითმფრინავი უზბეკთა დედაქალაქს თავზე გადაუვლის. ვათვალიერებ იქაუროებას, მგზავრთა შორის იქნებ ვინმე ქართველიცაა. იქნებ ჯიბის რადიომიმღებითაა შეიარაღებული, იქნებ ისიც ჩემებრ ღელავს, იქნებ...

ვდგები, ნელ-ნელა. სავარძლებს შორის წინ მივაბიჯებ. თვალი მოვკარი, ოდნავ უკანა რიგში მსხდომი ჩემი დელეგაციელები, მაკსაკოვთან ერთად, ჩემს მოუსვენრობაზე და ფუსფუსზე, რაღაც თითქოს ჩაიჩურჩულჩაიღიმილეს.

— ოხ, ოხ, ოხ! — ჩაისისინა ერთმა მათგანმა, მგონი ის იყო მთავარი პრობლემა, პოლიტსამმართველოს ყოფილი უფროსი, ფრონტზე, ბალტიისპირელმა ქალებმა, ფანჯრებიდან რომ ესროლეს.

სალონში, წინ, განაპირად, სულ მარტოდმარტო ვხედავ, ვიღაც შავქოჩორა და შავულვაშა, თვალების გარშემო, წამით ისეთი სინათლის მიმოელვება და ჩემკენ მოხედვაც დავიჭირე, ვიფიქრე, ნამდვილად ქართველია. ალბათ თავადაც ახლა ტაშკენტზე ფიქრობს, შევნიშნე, — თვალი მომკრა. იქნება მიცნო კიდეც. მივუახლოვდი. გვერდით, ცარიელ ადგილებს შორის გადავიხარე, ვითომ სარკმლით სადღაც რაღაცა დავინახე. მერე, შინაურულად, ნაცნობურად, ქართულად გავუღიმე და სრულიად დარწმუნებულმა, რომ ისიც ჩვენებურია, დარდ-სიხარულის გასაწილადებლად ვეკითხები, — გაქვთ რამე მოსასმენი?

მგონი, ჩემი შფოთ-ფორიაქი თავიდანვე შენიშნული ჰქონდა, — ღიმილიანი პასუხი შემაგება, — ნიეტ, ია ნე გრუზინ, ია ბოლგარინ. ზნაიუ, — სეგოდნია ვ ტაშკენტე ბოლშოი ფუტბოლ. ნე ვოლნუიტეს, — ვაში პობედიატ!..

თვითმფრინავში რეპორტაჟის მოსმენა, რადიოც რომ იყოს, დაუშვებელიაო, — ესეც მოაყოლა. ხელს მადლობით ვართმევ ბულგარელს და ჩემ ნაჯდომ ადგილზე ვბრუნდები.

სულ ფეხბურთელები მიფუთფუთებენ ტვინში. სულ ერთად და ცალ-ცალკე მაგონდებიან. იმათ მაგივრად მე ვღელავ. ვხედავ თითოეულს, ვითომ გაბედულების, თავდაჯერების მოსამატებელს ვუმატებ. ძალას ვურიგებ, შემართებასაც და ვარ ასეთ სეირში. გუნდში მესხია, მეტრეველია, ლოლობერიძეა, ყიფიანია, იამანიძეა, ილია დათუნაშვილია.

**(გაგრძელება იქნება)**

ფრიდონ ხალვაში

## ომარი

დოკუმენტური მოთხრობა



---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-203.**

# შეხოური პრესა

● ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოს ძალა მომიტინგეთა წინააღმდეგ რადგან, ასეთმა მოქმედებამ „შესაძლოა, გამოიწვიოს კატასტროფა მთელი საქართველოსთვის“



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ედუარდ შევარდნაძე ფიქრობს, რომ საქართველოში ახალი რევოლუცია არ იქნება

**საქართველოს ექს-პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს სწამს, რომ რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, რესპუბლიკის ხალხი „არ დაუშვებს დესტაბილიზაციას და მით უმეტეს – ახალ რევოლუციას“.**

„ოპოზიცია, რომელმაც მოუწოდა ხალხს 2 ნოემბერს თბილისში საპროტესტო მიტინგზე გამოსვლისთვის, რა თქმა უნდა, სადღეისოდ საქართველოში საკმაოდ მხარდაჭერით სარგებლობს, მაგრამ, მისმა ლიდერებმა უნდა შეიგნონ, რომ დაუშვებელია უმართავი პროცესები განვითარება“, – თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

მისი აზრით, ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოს ძალა მომიტინგეთა წინააღმდეგ რადგან, ასეთმა მოქმედებამ „შესაძლოა, გამოიწვიოს კატასტროფა მთელი საქართველოსთვის“.

„ჩემი აზრით, ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა სიტყვით უნდა დააჯეროს თავისი ოპონენტები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქუჩებში მაინც გამოვა ასი ათასობით უკმაყოფილო ადამიანი, როგორც ამას ოპოზიცია გვპირდება, მაშინ პრეზიდენტმა შესაბამისი დასკვნები უნდა გამოიტანოს“, – განმარტა შევარდნაძემ.

კითხვას იმის თაობაზე, რომ ამჟამინდელ ქართულ ოპოზიციას საზღვარგარეთიდან რაიმე ძალები ხომ არ მართავენ, ექს-პრეზიდენტმა უპასუხა: „ეს, თითქმის გამორიცხულია“. „დღეს ბევრს ლაპარაკობენ, თითქოს ქართულ ოპოზიციას მართავდეს ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, მაგრამ ეს არ მწამს და მსურს აღვნიშნო, რომ ბადრი ის ადამიანია, რომელიც სახელმწიფოებრივად აზროვნებს“, – თქვა შევარდნაძემ, და გაიხსენა, რომ ბადრი პატარკაციშვილმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ საჯაროდ შესთავაზა გამოთქვა საქართველოს განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ კვლავ გააჩმოვანა, მაგრამ ოდნავ შეცვლილი ვარიანტით. „ხელისუფლებამ და ოპოზიციამ აუცილებლად უნდა გამონახონ კომპრომისი, რადგან მოვლენათა ნებისმიერი სხვაგვარი განვითარება მიუღებელია საქართველოს ხალხისთვის“, – დარწმუნებულია ედუარდ შევარდნაძე.



როგორც „ინტერფაქსი“ იტყობინება, იმ საყოველთაო სახალხო მოძრაობის ლიდერებმა, რომელიც იბრძვიან ქვეყანაში ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლისთვის, რომელიც თითქმის ოპოზიციურ ძალას აერთიანებს, ორშაბათს თბილისის მერიაში შეიტანეს განაცხადი 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ ანტისამთავრობო მიტინგის გამართვის შესახებ. როგორც ბრიფინგზე განაცხადა სახალხო პარტიის ლიდერმა კობა დავითაშვილმა, განაცხადში ხაზგასმულია, რომ მიტინგში მონაწილეობას მიიღებს სულ ცოტა 100 ათასი კაცი. მერიამ არ უნდა შეუქმნას მათ რაიმე დაბრკოლებები, და პირიქით, უნდა შეუწყოს ხელი აქციის დროს წესრიგის უზრუნველყოფას.

„მთავარი მოთხოვნა ხელისუფლების მიმართ, რომელსაც გამოვთქვამთ მიტინგზე, არის პარლამენტის ვადამდელი არჩევნების გამართვა მომავალი წლის გაზაფხულზე და პოლიტპატიმრების გათავისუფლება“, – თქვა დავითაშვილმა.

ამ ბოლო სამი კვირის განმავლობაში ოპოზიციის წარმომადგენლები ჩადიან რეგიონებში, სადაც მოსახლეობას მოუწოდებენ, რომ 2 ნოემბერს მიიღონ მონაწილეობა თბილისში დაგეგმილ მიტინგში.

ИЗВЕСТИЯ

# თბილისი რთული მოლაპარაკებისთვის ემზადება

**23 ოქტომბერს თბილისში უნდა გაიმართოს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის პლენარული სხდომა. მხარეები ერთმანეთს აღარ შეხვედრიან გასული წლის შემოდგომის შემდეგ, და ამ ბოლო მომენტამდე პრაქტიკულად არცკი იყო მათი პოზიციების თუნდაც ოდნავ შერბილების იმედი. საქართველოს მიაჩნია, რომ მოლაპარაკების ამჟამინდელმა ფორმატმა ამოწურა შესაძლებლობები და, მისი აზრით, საჭიროა მოლაპარაკების პროცესში შეერთებული შტატების და ევროკავშირის ჩაბმა. სამხრეთ ოსეთის მხარე კი დაჟინებით აცხადებდა უარს თბილისში ჩასვლაზე, სადაც, მისი აზრით, არ იქნებოდა გარანტირებული უშიშროება ოსური დელეგაციის წევრებისთვის.**



როგორც ჩანს, ჩიხიდან გამოსავალი მაინც გამოინახა. შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის ნაწილის საინფორმაციო განყოფილების უფროსმა ინალ პლიევმა განაცხადა, რომ „უშიშროების გარანტიები დადასტურებულია საერთაშორისო დონეზე, დიპლომატიური მანქანების კორტეჟი შევა თბილისში, სადაც ოსური დელეგაციისთვის უზრუნველყოფილი იქნება დაცვა“.

„თუ არ იქნა რაიმე გაუთვალისწინებელი შეფერხებები, ჩვენ სხდომას გავმართავთ თბილისში, ეუთოს მისიის ოფისში. პრინციპში მივაღწიეთ მოლაპარაკების პროცესში სამხრეთ ოსეთის მხრიდან ჩვენი პარტნიორების თანხმობას: ისინი გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამდნენ მათი პირადი უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განვიხილავთ რეგიონში უშიშროების, სამშვიდობო ოპერაციის განმტკიცების, აგრეთვე საგუშაგოების, შესაძლო საფორტიფიკაციო ნაგებობების განლაგების ოპტიმიზაციის საკითხებს, ვიმსჯელებთ ასევე სამართალდამცავი სტრუქტურების ურთიერთმოქმედების შესახებ“, – განმარტა რუსეთის ფედერაციის საგანგებო დავალებათა ელჩმა იური პოპოვმა.

მოლაპარაკებისთვის მზად არის ქართული მხარეც, რომელსაც წარმოადგენენ შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე დიმიტრი მანჯავიძე და სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში დავით ბაქრაძე.

როგორც სამხრეთ ოსეთის მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ ბორის ჩოჩიევმა თქვა, შეხვედრაზე დაგეგმილია იმსჯელონ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელების შეხვედრის შესახებ, რათა მოაწერონ ხელი მემორანდუმს საომარი მოქმედების განუახლების თაობაზე, და გადაწყვიტონ კონფლიქტის ზონაში ეკონომიკური დახმარების საკითხი.

„სამხრეთ ოსეთის მხარე დაჟინებით მოითხოვს უკანონო საგუშაგოების გაუქმებას და საქართველოდან დამატებით შემოგზავნილი შეიარაღებული ფორმირებების გაყვანას, სატრანსპორტო კომუნიკაციებით თავისუფალი, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფას“, – გაგვიზიარა თავისი გეგმები ბორის ჩოჩიევმა.

„კონსულტაციები გაგრძელდება უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მოქმედების ალკვეთის საკითხზე“, – დაადასტურა საქართველოს წარმომადგენელმა დიმიტრი მანჯავიძემ.

მაგრამ, ოპტიმიზმისთვის საბაბი არც ისე დიდია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მოლაპარაკება გაიმართება საქართველოში ეუთოს მისიის ოფისში, რომლის ახალ ხელმძღვანელს ტერი ჰაკალას აქტიური კონტაქტები აქვს დამყარებული „დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის“ მეთაურთან დიმიტრი სანაკოევთან, ამ ადამიანს კი სამხრეთ ოსეთში მოღალატედ მიიჩნევენ. ცხინვალში შიშობენ, რომ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალიდან ეუთოს ოფისის სოფელ ქურთაში გადატანის შესახებ წინადადებას (ამ სოფელს ქართული ძალოვანები აკონტროლებენძ, შესაძლოა მოჰყვეს იმის მცდელობაც, რომ სანაკოევი ჩააბან მოლაპარაკების პროცესში. და მაშინ, მოლაპარაკება, ალბათ, კვლავ ჩაიშლება. ყოველ შემთხვევაში, თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ თათბირზე ითქვა, რომ სანაკოევი თუ გამოჩნდება მოლაპარაკების მაგიდასთან, სამხრეთ ოსეთის დელეგაცია დატოვებს თბილისს.

აი როგორ დაგვიხასიათა შექმნილი ვითარება სამხრეთ ოსეთის სახალხო პარტიის თავმჯდომარემ როლანდ ქელეხსაევმა: „საქართველოში მიმდინარეობს „სანაკოევის მთავრობის“ ლეგიტიმიზაციის პროცესი. თბილისს სურს ეს ადამიანი წარმოაჩინოს რაღაც ალტერნატიულ ფიგურად, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელად. სინამდვილეში კი, სანაკოევს არავინ უმაგრებს ზურგს. და საქართველოს ხელმძღვანელობას თუ სურს მიიწვიოს იგი შერეულ საკონტროლო სხდომაზე, როგორც ერთ-ერთი მხარე, ეს იქნება ყველა წინათ მიღწეულ მორიგებათა დარღვევა. საქართველოში ეუთოს მისიას ხელმძღვანელობს ტერი ჰაკალა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ახლდა სანაკოევს ფინეთსა და ლატვიაში. მაგრამ ეუთომ უნდა იმოქმედოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე და არ უნდა იყოს პოლიტიკურად ანგაჟირებული. სამხრეთ ოსეთი 1992 წლის შემდეგ დამოუკიდებელია საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის მიხედვით. თუ ეუთო იხელმძღვანელებს თავისი პოლიტიკური მოსაზრებებით და ეცდება თავისი პოლიტიკის განხორციელებას, სახალხო პარტია დასვამს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეუთოს მისიის ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს“.

**ალან ურუსოვი**

Утро.ru

№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

# დედამიწის ზურგზე

● 82 წლის არგენტინელი ქალბატონი ადელფა ვოლპესი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ სკანდალურად გაითქვა სახელი იმის გამო, რომ ცოლად გაჰყვა 24 წლის მამაკაცს, გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა

## ბუშმა კონგრესს დამატებითი თანხების გამოყოფა მოსთხოვა

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კონგრესს მოსთხოვა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ხაზით გამოყოს 106 მილიონი დოლარი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაში სათბობის მიწოდებისთვის. შეერთებული შტატების ადმინისტრაცია მზად არის სწორედ ამ თანხის მაზუთი გამოუყოს ფხენიანს ბირთვული იარაღის შემუშავების შეწყვეტისათვის კომპენსაციის სახით.**

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პრობლემის მოწესრიგების თაობაზე პეკინში სექტემბერში გამართული ექვსმხრივი მოლაპარაკების დასრულების შემდეგ თეთრი სახლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ შექმნილი სიტუაცია იძლევა ჩრდილოეთ კორეაში სათბობის მიწოდების დაწყების შესაძლებლობას.

„იმის მიუხედავად, რომ დისკუსია ჯერ კიდევ გრძელდება, ადმინისტრაციის აზრით, მიღწეული პროგრესი საკმარისია საიმისოდ, რომ ამერიკელებმა განახორციელონ სათბობის პირველი პარტიის მიწოდება“, – აღნიშნეს მაშინ ბუშის ადმინისტრაციაში.



გარდა ამისა, 22 ოქტომბერს, ბუშმა კონგრესს მოსთხოვა 724 მილიონი დოლარი დარფურში გაეროს სამშვიდობო მისიისათვის დამატებითი ასიგნების სახით, აგრეთვე 350 მილიონი დოლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს აფრიკის ქვეყნებში შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლას.



## ირანის პრეზიდენტმა სომხეთში ვიზიტი შეწყვიტა

**„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ირანის პრეზიდენტმა გააუქმა დღეისთვის დანიშნული პროგრამა, რადგან გადაწყვიტა ვადაზე ადრე დაბრუნებულიყო სამშობლოში“, – განაცხადა სომხეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ირინა გულინიანმა.**

იტარ-ტასს საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს ანონიმური წყაროს მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ აჰმადინეჯადის ასეთი გადაწყვეტილება უკავშირდება „ირანში მოვლენათა მოულოდნელ განვითარებას“.

მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ სამშობლოში აჰმადინეჯადის დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი გახდა ის, რომ სამშაბათისთვის დანიშნულია ირანის მხრიდან ბირთვული პროგრამის თაობაზე მოლაპარაკებაში ახალი მთავარი წარმომადგენლის საიდ ჯალილის შეხვედრა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელთან ჰავიერ სოლანასთან.

როგორც ვარაუდობდნენ, რომში სოლანასთან მოლაპარაკებას გამართავდა ალი ლარიჯანი, მაგრამ შაბათს ცნობილი გახდა, რომ იგი გადადგა და ირანის მხრიდან ბირთვულ საკითხებში ამიერიდან მოლაპარაკებას გაუძღვება საიდ ჯალილი – ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და აჰმადინეჯადის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე.

ირანის პარლამენტის წარმომადგენელთა თქმით კი, ლარიჯანის გადადგომის მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ მან შეუძლებლად მიიჩნია აჰმადინეჯადთან მუშაობა.

## წყნარ ოკეანეში ნაგვის კუნძული იზრდება

**შეერთებული შტატების სანაპიროსთან, კალიფორნიასა და ჰავაის კუნძულებს შორის, სულ უფრო იზრდება ნაგვის გიგანტური გროვა. ამ თავისებური კუნძულის ფართობი ერთიორად აღემატება ტეხასის შტატის ტერიტორიას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მასა კი, რომელიც 80 პროცენტი პლასტიკისგან შედგება, წონით 3,5 მილიონ ტონას აჭარბებს.**

ნაგვის „აისბერგი“ ჯერ კიდევ 1950-იანი წლებიდან შეინიშნებოდა. ყოველ ათწლეულში მისი ფართობი 10-ჯერ იზრდებოდა. ნაგვის აღება თითქმის შეუძლებელია, ამიტომ, ერთადერთი გამოსავალია უარის თქმა პლასტიკური მასის შესაფუთი მასალის გამოყენებაზე.

მეცნიერებმა დაადგინეს ნაგვის ასეთი უზარმაზარი გროვის წარმოქმნის მიზეზები. საქმე ის არის, რომ ცარიელი პაკეტები კანალიზაციიდან ხვდებიან ოკეანეში, ნაგვის კუნძულამდე კი ისინი დინებას მიაქვს. რადგან დინებას წრიული მიმართულება აქვს, ნაგავი ხვდება თავისებურ მორევში და ერთ ადგილზე იყრის თავს. ნაგვის კუნძული მდებარეობს ნეიტრალურ წყლებში, ძირითადი სანაოსნო მარშრუტებისგან მოშორებით. მის მოსპობას მილიარდობით დოლარი დასჭირდება. გარდა ამისა, მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ ბედავს იკისროს სამუშაოთა შესრულება ნეიტრალურ წყლებში და მოსპოს არა მარტო თავისი, არამედ სხვა სახელმწიფოების ნაგავიც.

ეკოლოგები აცხადებენ, რომ სიბინძურის ასეთი „აისბერგი“ დიდსაფრთხეს უქმნის ოკეანის ბინადართ. ფრინველები პლასტმასის ნარჩენებს ხშირად საკვებად მიიჩნევენ, მაგრამ პოლიეთილენის პაკეტის ნაჭრებს ვერ უმკლავდება მათი საკვებმომნელებელი სისტემა და ფრინველები შიმშილისგან იხოცებიან. პლასტიკატის დაშლას ათწლეულები სჭირდება. ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს აკრძალოს პლასტიკური პაკეტების წარმოება და მათი გამოყენება მაღაზიებში და გამოთქვამს წინადადებას, რომ მათ გამოიყენონ ნატურალური ნედლეულისგან დამზადებული შესაფუთი მასალები, რომელთა გადამუშავება გაცილებით იაფია.



## ახალდაქორწინებულთა ბედნიერება ერთ თვესაც არ გაგრძელებულა

**82 წლის არგენტინელი ქალბატონი ადელფა ვოლპესი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ სკანდალურად გაითქვა სახელი იმის გამო, რომ ცოლად გაჰყვა 24 წლის მამაკაცს, გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა.**

ადელფა საავადმყოფოში მოხვდა მას შემდეგ, რაც თავის მეუღლესთან რეინალდო ვალოჩესთან ერთად დაბრუნდა ბრაზილიიდან, სადაც თაფლობის თვე ჰქონდათ.

„ახალდაქორწინებული“ გარდაიცვალა ქალაქ სანტა-ფეში, იქ, სადაც მიმდინარე წლის 28 სექტემბერს გათხოვდა: ჯერ საქალაქო საბჭოში დააფიქსირა სამოქალაქო ქორწინება, შემდეგ კი უამრავი რეპორტიორის თანდასწრებით დაიწერა ჯვარი ადგილობრივ ეკლესიაში.

ჯერ კიდევ გათხოვებამდე, ქალბატონი ვოლპესი კატეგორიულად უარყოფდა ნებისმიერ კრიტიკას მასსა და რეინალდოს შორის ასაკში დიდი სხვაობის გამო, რომელიც, სხვათა შორის, მისი ვაჟის უახლოესი მეგობარი იყო.

ამ წყვილის სამიჯნურო თავგადასავალი დაიწყო ჯერ კიდევ ცხრა წლის წინათ, როცა 15 წლის რეინალდოს მოუკვდა დედა და საცხოვრებლად გადავიდა დედის მეგობარ ქალთან, რომელიც მოგვიანებით ჯერ მისი საცოლე, შემდეგ კი მეუღლეც გახდა.



## უწესრიგობა ბუდაპეშტის ცენტრში

**ხუთი დაშავებული, რომელთა შორის ერთი პოლიციელია, სამი ჟურნალისტი და ერთიც – დემონსტრანტი – ასეთია ბუდაპეშტის ცენტრში მომხდარი უწესრიგობის შედეგი. უწესრიგობა წამოიწყეს მანიფესტაციის მონაწილეებმა, რომელიც გაიმართა 1956 წლის მოვლენების მორიგი წლისთავის წინ.**

2 ათასმა კაცმა საღამოს მარშით ჩაიარა თავისუფლების მოედნიდან ეროვნული ოპერის შენობისკენ, სადაც მიმდინარეობდა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება. ოპერის შენობაში დამსწრეთა წინაშე გამოვიდა უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ფერენც დიურჩანი.

პოლიციამ გადაკეტა ოპერისკენ მისასვლელი გზები, თუმცა, ზოგიერთ მახლობლად მდებარე ქუჩაში მაინც მოხდა შეტაკებები დემონსტრანტებთან, რომლებმაც პოლიციელებს დაუშინეს პეტარდები და ცეცხლგამჩენი ხსნარით სავსე ბოთლები, ამოაბრუნეს ავტოფურგონი და ცეცხლი წაუკიდეს მას. ამის პასუხად წესრიგის დამცველებმა გამოიყენეს ცრემლსადენი გაზის ხელყუმბარები და წყალსატყორცნები.

დაშავებულთა შორის აღმოჩნდნენ „რეიტერის“ სააგენტოს ფოტოკორესპონდენტი და მისი ორი კოლეგა ადგილობრივი უნგრული გაზეთებიდან.

## იტალიაში მაფიის გრუნვამ „120 მილიარდ დოლარს მიაღწია“

**იტალიის საცალო ვაჭრობის საწარმოთა ასოციაცია აცხადებს, რომ კომერსანტებისათვის სხვადასხვა სახის „მომსახურებათა“ გაწევის შედეგად მაფიის წლიურმა ბრუნვამ 120 მილიარდ დოლარს მიაღწია.**

ასოციაციის შეფასებით, შემოსავლების მიხედვით მაფია გაუტოლდა ქვეყნის უმსხვილეს კორპორაციებს და აკონტროლებს იტალიის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 7 პროცენტს.

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ გამომძალველები აღარ კმაყოფილდებიან მხოლოდ მცირე ბიზნესით და თანდათანობით თავიანთ გავლენას მსხვილ ბიზნესზეც ავრცელებენ.

დოკუმენტში დასახელებულია იტალიის ის მსხვილი სამშენებლო კომპანიები, რომლებიც, ასოციაციის წევრთა მონაცემებით, ხელს უწყობენ ორგანიზებულ დამნაშავეობას იმაში, რომ იგი დაუსჯელი დარჩეს.

მაფიამ შეაღწია იტალიის ეკონომიკის ყველა სექტორში: კვების მრეწველობა, ტურიზმი, უძრავი ქონებით ვაჭრობა, ფინანსური ინდუსტრია, მომსახურების სფერო და ა.შ.

იტალიის მაღაზიების დაახლოებით 20 პროცენტი ყოველთვიურად უხდიან თანხებს ბანდიტებს, მაგრამ ამ ციფრების უკან იმალება მკვეთრი რეგიონული განსხვავება. მაგალითად, სიცილიაში – თვით სიტყვა „მაფიის“ სამშობლოში – ათი მაღაზიიდან, რვა მას ყოველთვიურად უხდის გადასახადს, რომელსაც pizzo ეწოდება.

მოხსენება ეხება ასევე სხვა მსგავს ორგანიზაციებსაც, რომლებიც მოქმედებენ იტალიის სხვადასხვა ნაწილში – „კოზა ნოსტრა“, „კამორა“ და სხვა.

ასოციაცია ასევე აღნიშნავს, რომ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები ხშირად ამჯობინებენ მორიგების მიღწევას მაფიოზებთან, ვიდრე პოლიციაში გამომძალველების დასმენას.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მარკო მინიტიმ, ამ მოხსენების განმარტებისას აღნიშნა, რომ ბიზნესის „თანამშრომლობის“ ზრდა მაფიასთან დიდ შეშფოთებას იწვევს.




# განცხადება

მიმდინარე წლის 26 ნოემბერს დანიშნულია შპს „აბჰესი-ელექტროს“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრება.

დღის წესრიგი:

1. შპს „აბჰესი-ელექტროს“ 2004-2007 წწ-ის სამეურნეო-ფინანსური საკითხების ძირეული განხილვა;
2. 2004-2007 წლებში გაწეული სამუშაოების დეტალური განხილვა;
3. ჩასატარებელი სამუშაოების სამოქმედო გეგმის განხილვა-დამტკიცება.
4. ორგანიზაციული საკითხების – პარტნიორ გიორგი ჭანტურიას და გენერალური დირექტორის განცხადების განხილვა;
5. შპს „აბჰესი-ელექტროს“ ვალებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

პარტნიორთა კრება გაიმართება რუსთაველის 31-ში, 15 საათზე.

გენერალური დირექტორი ო. ყიფიანი


№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

● პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის თაოსნობით და პოლონეთში მცხოვრები მეცნიერის, ჩვენი თანამემამულის ვახტანგ ყოლბაიას აქტიური მცდელობით, ვარშავაში შენდება წმინდა გრიგოლის სახელობის ქართული ეკლესია, ნიკორწმინდის ასლი, რომელსაც გრიგოლწმინდა დაერქმევა



◎ თავდადებული

# ..."რაითა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის"

(მერვე გვერდიდან)

ექსპერტმა დაასკვნა, რომ განძს არავითარი მატერიალური ღირებულება არ ჰქონდა და მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობისა იყო ქართველი ერისთვის. საკმარისი იყო გერმანელებს თუნდაც ერთი ყუთი გაეხსნათ, რომ ამ დასკვნის ავტორს სიკვდილი არ ასცდებოდა. ეს ექსპერტი მამა გრიგოლი იყო", – თქვა რომანოზ ფერაძემ.

წმინდა გრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორმა ვახტანგ ფერაძე ამ საღამოს მნიშვნელობაზე ელაპარაკა სტუდენტებს, „თვითეულმა სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს, ვისი სახელობის სასწავლებელში სწავლობს და რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა იგრძნოს. საბჭოთა პერიოდში გრიგოლ ფერაძის ხსენებაც კი იკრძალებოდა. მაშინ სტუდენტი ვიყავი და მრავალი ნაშრომის სქოლიოში თუ მინახავს მისი გვარი. მაგრამ არაფერი ვიცოდი მის შესახებ, მხოლოდ კომუნისტური წყობის დამხობის შემდეგ გახდა ცხადი ყველაფერი. დღეს კი მეამაყება, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ამ დიდი ქართველის სახელობისაა".

სხვა სამყაროში მგონია თავიო, – განაცხადა საღამოს დასრულების შემდეგ პარლამენტარმა არნოლდ ჟვანიამ. „ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდი მოღვაწის ცხოვრებას სრულყოფილად გავეცანი, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რამხელა ძალა აქვს ქართველ კაცს, მის გენს, ნიჭსა და უნარს".

დიდი წმინდანის ხსოვნის საღამოზე პროფესორმა თამილა მგალობლიშვილმა წაიკითხა ლექცია – „გრიგოლ ფერაძის ნაკვალევზე წმინდა მიწაზე", ხოლო პროფესორმა თამარ ჭუმბურიძემ ქართული ემიგრაციის სულიერი მოძღვრის ქართველოლოგიური ღვაწლი მიმოიხილა.

სტუდენტებმა, პროფესორმასწავლებლებმა და სტუმრებმა ნახეს გრიგოლ ფერაძის ცხოვრების ამსახველი ეჟი ლუბახის და თამარ დულარიძის ფილმი „თეთრი ანგელოზის ძიებაში".

საღამოს საპატიო სტუმრები იყვნენ ლიბანელი მოძღვარი მამა ილია (ხალიფეძ და ამერიკელი მართლმადიდებელი მონაზონი, ჟურნალ „გზა ემაოსისკენ" რედაქტორი დედა ნექტარია (მიქლისიძ.

მამა ილიამ გრიგოლ ფერაძის შემოქმედების აქტიურად შესწავლა მაშინ გადაწყვიტა, როდესაც გაიგო, რომ 1937 წელს ქართველმა მეცნიერმა ანტიოქიაში, ლიბანსა და სირიაში იმოგზაურა თავისი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მოსაკვლევად. მამა ილიას მოწადინებით, გრიგოლ ფერაძის წმინდა სახელი ანტიოქიის ეკლესიის კალენდარში და ოქსფორდის ეკლესიის კალენდარში შევა.

დედა ნექტარიამ ქართველი მეცნიერისა და წმინდანის შესახებ მამა ილიასგან შეიტყო. შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ ზაქარია მაჩიტაძის წიგნს „ქართველ წმინდანებს" გაეცნო. კიდევ უფრო დაინტერესდა გრიგოლ ფერაძის ცხოვრებით. „მამა გრიგოლი არა მხოლოდ საეკლესიო ბერი იყო, არამედ არაჩვეულებრივი მასწავლებელი, შესანიშნავი მეცნიერი, რომელმაც უცნობი ადამიანებისთვის თავი გაწირა. მსგავსი რამ მართლმადიდებლურ სამყაროში არ მეგულება", – თქვა დედა ნექტარიამ.

მან გადაწყვიტა, გრიგოლ ფერაძეს არა მხოლოდ ჟურნალის ერთი ნომერი მიუძღვნას, არამედ მასზე მოძიებული ნარკვევები მთელი წლის განმავლობაში გამოაქვეყნოს.

ჟურნალს „გზა ემაოსისკენ", რომელიც მთელ მსოფლიოში, და, ძირითადად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ვრცელდება, 5 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. ჟურნალით უნივერსიტეტები და სამეცნიერო დაწესებულებები არიან დაინტერესებულნი.

დაბოლოს, ხსოვნის საღამოზე არაერთხელ გახმიანდა პოლონელი მეცნიერის, თეოლოგიის დოქტორის, ქართველების დიდი მეგობრის ჰენრიკ პაპროცკის გვარი, ვისი დამსახურებითაც არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე პოლონეთის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. პაპროცკის დაუღალავი შრომით შეგროვდა გრიგოლ ფერაძის ნაშრომების სრული ნუსხა და პოლონურ ენაზე გამოქვეყნებული შრომები. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ვარშავაში წმინდა გრიგოლ ფერაძის სასულიერო საძმო. საძმოს წევრები გრიგოლ ფერაძის ხსოვნის დღეს – 6 დეკემბერს იკრიბებიან წირვა-ლოცვაზე და წმინდანისადმი მიძღვნილ პარაკლისზე.

ვარშავის უნივერსიტეტის თაოსნობით, უკვე მეექვსე წელია 6 დეკემბერს წმინდანის სახელობის თეორიული სემინარი ტარდება. წლეულსაც ამ საერთაშორისო კონფერენციაზე მიწვეული არიან ქართველი მეგობრები. წირვა აღევლინება წმინდა მარიამ მაგდალინელის ეკლესიაში.

პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის თაოსნობით და პოლონეთში მცხოვრები მეცნიერის, ჩვენი თანამემამულის ვახტანგ ყოლბაიას აქტიური მცდელობით, ვარშავაში შენდება წმინდა გრიგოლის სახელობის ქართული ეკლესია, ნიკორწმინდის ასლი, რომელსაც გრიგოლწმინდა დაერქმევა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის და უნეტარესობის ილია მეორის პოლონეთში ყოფნის დროს გრიგოლ ფერაძის სასულიერო საძმომ იგი საძმოს საპატიო თავმჯდომარედ აირჩია. უწმინდესი და უნეტარესი საქართველოში შექმნილი წმინდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეცაა. საზოგადოების თანათავმჯდომარეები არიან ილია და რომანოზ ფერაძეები.

„ჩვენთვის მაინც ყველაზე მთავარი მოყვასისადმი მისი უნაპირო სიყვარულია. მან პირდაპირი მნიშვნელობით აღასრულა მაცხოვრის სიტყვები: „უფროის ამისა სიყვარული არვის აქუს, რაითა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის".

წმინდა გრიგოლ ფერაძემ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ მისცა მაგალითი ჭეშმარიტი სიყვარულის სიდიადისა", – თქვა პატრიარქმა წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძეზე.

და გასაკვირია, რომ საპატრიარქოს ტელევიზიაში ბარიერი აღუმართეს ახალგაზრდების მომზადებულ გადაცემას. ბატონი ილია ფერაძის თქმით, გაუნათლებელმა მართლმადიდებლებმა ეს ფილმი ტელეეთერით არ გაუშვეს და საკუთარი უვიცობით გზა გადაუკეტეს დიდი ადამიანისა და წმინდანის შესახებ ფილმს. ეს ჩვენი სირცხვილიაო, – გულდაწყვეტით თქვა ილია ფერაძემ.

მართლაც, ჩვენ საკუთარის დაფასება არ ვიცით და უცხოელმა უნდა აგვიხილოს თვალი... როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ადამიანი დაუცველია

# გამომძიებელმა თითის ანაბეჭდები გააქრო,

## ანუ როცა კანონიერებას თვითონ უჭირს

**2004 წლის 15 მარტს, დაახლოებით 17.00 საათზე მიხეილ და სუზანა იმერლიშვილების ბინაზე უცნობმა გოგომ ზარი დარეკა. ასეთი სტუმრები ოჯახისათვის მოულოდნელობას არ წარმოადგენდნენ, რადგანაც სუზანა კოსმეტოლოგია, სახლში კერძო სამკურნალო აქვს გახსნილი და ძალიან ხშირად სრულიად უცხო ადამიანებიც აკითხავენ.**

გოგონა დაუბრკოლებლად შევიდა სახლში. სუზანამ იგი გასინჯა. გარკვეული რჩევებიც მისცა. თითქოს ამის შემდეგ პაციენტი უნდა წასულიყო, მაგრამ იგი არ ჩქარობდა. მან ითხოვა ცოტაოდენი დრო, ვიდრე მისი ახლობლები მოაკითხავდნენ. არც ეს წარმოადგენდა იმერლიშვილების ოჯახისთვის სიახლეს, ძალიან ხშირად ახალგაზრდა გოგონები პროცედურების გავლის შემდეგ ოჯახში ელოდებოდნენ გამცილებლებს, მშობლებს, ახლობლებს.

გასინჯული პაციენტიც მათ რიცხვში ჩათვალეს. გოგონა გამუდმებით ურეკავდა საკუთარი მობილური ტელეფონიდან. რეკავდნენ მასაც. ცოტა ხანში კოსმეტოლოგის კარზე ზარი დაირეკა. „პაციენტმა" არტისტულად წამოიძახა, ჩემთან არიანო და კარის გასაღებად წავიდა. კარის გაღებიდან რამდენიმე წამში ოთახში შეტრიალდა და იკითხა, აქ ოთარი ვინმე ცხოვრობს, მას ეძახიანო. იმერლიშვილების ვაჟი ოთარი სტუმრების შესაგებებლად გავიდა.

კართან მიახლოებისთანავე მოსულთაგან ერთ-ერთმა თავში რაღაც ბლაგვი საგანი ჩაარტყა, მეორემ კი პისტოლეტიდან ესროლა. ტყვიამ საძილე არტერიას გაჰკრა. იფეთქა სისხლმა. ოთარი წაიქცა. ბანდიტთაგან ერთ-ერთი წაქცეულს ზემოდან მოაჯდა, ყელში ხელები წაუჭირა და გაგუდვა დაუწყო. ხმაურზე სუზანას კაბინეტიდან კოსმეტოლოგი და მისი ორი პაციენტი გამოვარდნენ. ყაჩაღმა იარაღი მათ დაუმიზნა და გააფრთხილა, თუ ჩუმად იქნებოდნენ, საფრთხე არ ელოდათ. ქალები გაჩუმდნენ, მხოლოდ სუზანა მივარდა გასისხლიანებულ შვილთან და მოძალადეს სთხოვა, თავი დაანებე და რაც გინდა ის წაიღეო. ბოროტმოქმედი დედის თხოვნას ყურადღებას არ აქცევდა.

ამ მოვლენის პარალელურად, მეორე დაუპატიჟებელი სტუმარი შესასვლელიდან სამზარეულოში გავიდა. იქ ოჯახის უფროსი მიხეილ იმერლიშვილი იჯდა, ტელევიზორს უყურებდა და ვაშლს მიირთმევდა. ბანდიტმა ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე ესროლა მას. ტყვია უფროს იმერლიშვილს თავის ქალაში მოხვდა. ის სკამიდან გადმოვარდა. მის ირგვლივ უცებ დადგა სისხლის გუბე. არეულობაში ვერავინ შეამჩნია, როგორ გაიპარა ვითომდა „პაციენტი".

სუზანამ დაინახა, რომ კარი ღია იყო. მან მოახერხა გარეთ გასვლა და მეზობლებისათვის დახმარების თხოვნას აპირებდა, მაგრამ მოსულმა, რომელიც ოთარს გუდავდა, მსხვერპლს თავი ანება და ქალს დაედევნა. ოჯახის დიასახლისს ნახევარი სართულიც არ ჰქონდა ჩავლილი, რომ ყაჩაღი მას დაეწია, კისერზე იარაღი მიადო და უბრძანა, უხმაუროდ აჰყოლოდა სახლში. ბინაში შესულმა სუზანამ ძირს დავარდნილი, სისხლის გუბეში მოცურავე მეუღლეც დაინახა. ქალს გული წაუვიდა. ეტყობა, ბოროტმოქმედებს შეეშინდათ, კოსმეტოლოგის პაციენტებს ხელი არ ახლეს, ოჯახიდან ისე წავიდნენ, არაფერი წაუღიათ. სახლში კი ორი მომაკვდავი და ერთი გულწასული ადამიანი დატოვეს.

დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოთარის გადასარჩენად ექიმებმა მთელი სამი თვე იბრძოლეს. ახალგაზრდა იმერლიშვილისთვის სიცოცხლის შენარჩუნება მოხერხდა.

უფროსი იმერლიშვილი საავადმყოფოში გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა სამი დღის შემდეგ.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიება დაიწყო ვაკის პოლიციამ. კანონით, პოლიციას მომხდარ ფაქტზე მხოლოდ მოკვლევა ევალება. ამის შემდეგ მასალები შემდგომი ძიებისთვის პროკურატურას უნდა გადაეცეს, რადგანაც მკვლელობა, კონტრაბანდა პოლიციელის მიერ ან პოლიციელის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, პროკურატურის ქვემდებარეა.

მასალების მოკვლევა დაევალა ვაკის რაიონის პოლიციის გამომძიებელს გიორგი ბიბილაშვილს. მასთან ერთად საქმეზე მუშაობდა ამავე პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი როინ უხუტაშვილი. მოკვლევის დროს ოპერატიულმა თანამშრომელთა საინტერესო ინფორმაცია მოიძია. იმერლიშვილების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის დროს მათი შვილიშვილი (ქალიშვილისაგანძ სოფო თანატოლებთან ერთად ეზოში თამაშობდა. მათი ყურადღება მიიქცია ეზოში შემოსულმა ორმა ახალგაზრდამ, რადგანაც ეზო წყნარია და ბევრი უცხო არ შედის. ბავშვები გულმოდგინედ აკვირდებოდნენ წყვილს. უცხოები გამუდმებით საუბრობდნენ მობილურ ტელეფონებზე, თითქმის ჩაუქრობლად ეწეოდნენ სიგარეტს და ზედიზედ სცლიდნენ ლუდის ბოთლებს, უხუტაშვილმა ექსპერტების დახმარებით მოახერხა გადაყრილი ლუდის ბოთლებიდან თითის ანაბეჭდების აღება, ბიბილაშვილისათვის გადაცემა და საქმეზე დართვა.

როგორც დაზარალებული სუზანა იმერლიშვილი აცხადებს, ამის მეტი გამომძიებელს არაფერი აღარ გაუკეთებია. მხოლოდ იმერლიშვილების საბონენტო ტელეფონი ჩართო მოსმენაზე.

იხ. 14 გვ.

№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

● – საინტერესო შეჯიბრება გამოგვივიდა, – გვითხრა ბატონმა თემურ ქურციკიძემ. – მის ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვით თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს მამუკა ქაცარავას და მის მოადგილეს ფატი დავითულიანს



◎ ორბიტაზე

## უეფა სიმსუქნის წინაალმდეგ




**უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ და ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოს – ევროპული კომისიის წევრმა მარკოს კიპრიანუმ საზოგადოებას წარუდგინეს 30-წამიანი სარეკლამო კლიპი, რომელიც ყველა ასაკის ადამიანს მოუწოდებს ცხოვრების აქტიური წესისკენ. საფეხბურთო სეზონის განმავლობაში ამ კლიპს უჩვენებენ ჩემპიონთა ლიგის მატჩების შესვენების დროს.**

ევროპაში გამეფებული მჯდომარე ცხოვრების ტენდენცია ხელს უწყობს გასუქებას და წარმოადგენს თანამედროვე ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. ბოლო გამოკვლევების თანახმად, ევროკავშირის ათი მოქალაქიდან ექვსმა აღიარა, რომ იშვიათად ან სრულებით არ ვარჯიშობს ფიზიკურად და არც სპორტს მისდევს.

როგორც ამბობენ, ეს კლიპი უეფას მორიგი წვლილია ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში. თანაც სულ მალე უეფა გამოსცემს სამზარეულო წიგნს, რომელშიც ცნობილი ფეხბურთელები მკითხველებს გაუზიარებენ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კერძების რეცეპტებს.

## შამპანურების ბათქა-ბუთქით



**უამრავი ბოთლი შამპანურით აღნიშნა რუმინეთის ნაკრებმა ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა.**

ლუქსემბურგის ნაკრების დამარცხების (2:0) შემდეგ ვიქტორ პიცურკე და მისი გუნდი გასახდელში დარჩა და ალბანეთ-ბულგარეთის მატჩის შედეგს დაელოდა, ხოლო ფინალური სასტვენის შემდეგ, რომელმაც საბრძოლო ფრე 1:1 – დააფიქსირა, რამაც რუმინელებისთვის ფინალის საგზური უზრუნველყო, გასახდელში საშამპანურო შედლუხი ატყდა. ყველა ცეკვავდა. ფინალის საგზური იმ შამპანურით „დაასველეს", გამარჯვების შემთხვევისთვის მთავარი მწვრთნელი რომ დაჰპირდა გუნდს.

ალბათ ძველ გულშემატკივრებს ახსოვთ, პიცურკემ 2000 წელსაც გაიყვანა ნაკრები ევროპულ ფინალში, მაგრამ თვითონ იქ ვერ მოხვდა, რადგან გუნდის რამდენიმე ლიდერმა – გეორგე ხაჯიმ, გეორგე პოპესკუმ და დანა პეტრესკუმ ფეხბურთის ფედერაციას მთავარი მწვრთნელი თანამდებობიდან გადააყენებინა.

## ლენოქსი – ტელეშოუში



**ალბათ საკითხავია, რას აკეთებენ სახელგანთქმული სპორტსმენები კარიერის დამთავრების შემდეგ. აი, მაგალითად, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი სუპერმძიმე წონაში, დიდი ბრიტანელი მოკრივე ლენოქს ლუისი – მან გადაწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს ტელეშოუში Apprentice, რომლის წამყვანია ცნობილი მილიარდერი დონალდ ტრამპი.**

ეს ტელეშოუ რამდენიმე წელი წარმატებით გადიოდა ამერიკულ ტელეარხზე NBC. მაგრამ ბოლო ხანებში მისდამი ინტერესი დაქვეითდა. მის გამოსაცოცხლებლად პროდიუსერმა ისეთი ცნობილი ლამაზმანები მიიწვია, როგორნიც არიან ბრიტნი სპირსი, პერის ჰილტონი და სხვები. მაგრამ მათ უარი თქვეს მოკრივესთან ერთად შოუში მონაწილეობაზე. ალბათ მისი დაუნდობელი ნოკაუტის შეეშინდათ.

შოუ, რომლის მიზანია ტრამპის ბიზნეს-დავალების შესრულება, სტარტს ოქტომბრის ბოლოს აიღებს და თუ კი ლენოქსი დაამტკიცებს, რომ მას აქვს კომერციული ნიჭი, მაშინ მას მოელის დიდი ფულადი პრიზი და მენეჯერის ტოპ-პოზიცია ტრამპის ერთ-ერთ კომპანიაში.

◎ ნარდი

# კამათლებით – აბანოთუბანში

**თითქმის სამი ათეული წელიწადია, დედაქალაქელები მთელ საქართველოსთან ერთად აღნიშნავენ „თბილისობას". სადღესასწაულოდ მრავალი საინტერესო ღონისძიება იმართება.** წლეულს პროგრამაში მესამედ შეიტანეს მონარდეთა ტურნირი, რომლის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები იყვნენ თბილისის მერია და ნარდის ასოციაცია (პრეზიდენტი თემურ ქურციკიძე). შეჯიბრება „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ", შპს „სემიონოვი-თბილისმა" და შპს „აბჯარი-2005"-მა დააფინანსეს. აბანოთუბანში ორთაბრძოლების დაწყებამდე 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ნარდის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ ცხადაძე „ოქროს კამათლებით" დააჯილდოვეს.

განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა ქალთა პაექრობა ქართულ ნარდში. ფინიშამდე დაუმარცხებლად მივიდნენ დედაქალაქის მერიის თანამშრომლები – გურანდა ჯაბუა და დალი ბალამწარაშვილი. გადამწყვეტ შეხვედრაში ჯაბუამ მეტოქეს აჯობა და მთავარი პრიზიც დაიმსახურა. მესამე ადგილი ნატო ხონელიძეს ხვდა.

დანარჩენ სახეობებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **ქართული (მოკლე) ნარდი:** 1. ბაქარ მათიკაშვილი, 2. თამაზ ნანიტაშვილი, 3. დავით მერკვილაძე და მიშიკო ნიკოლაიშვილი. **გრძელი ნარდი.** 1. ზაზა კაპანაძე, 2. კარენ სარქისიანი, 3. ამირან ნებულიშვილი. **ნარდი საერთაშორისო წესებით:** 1. ემზარ კიკალიშვილი, 2. ბაქარ მათიკაშვილი, 3. თემურ ქურციკიძე და რეზო ცხოვრებაშვილი. **გუნდური (წყვილებში) თამაში კონსულტაციებით:** 1. თამაზ ნანიტაშვილი და ბადრი ლომინაძე, 2. ანზორ ბაბუხადია და თეიმურაზ ქურციკიძე, 3. კოტე ფირცხალავა და ომარ ძოძუაშვილი.

– საინტერესო შეჯიბრება გამოგვივიდა, – გვითხრა ბატონმა თემურ ქურციკიძემ. – მის ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვით თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს მამუკა ქაცარავას და მის მოადგილეს ფატი დავითულიანს. სწორედ, ასეთი ადამიანების დამსახურებაა, საქართველოში ნარდი სულ უფრო პოპულარული რომ ხდება. დიდი მადლობა მათ.

წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ასპარეზობის გამართვა გვაქვს განზრახული. ნოემბერში კი ყველა სახეობის სამ-სამი საუკეთესო მონარდეს გამოვავლენთ და დავაჯილდოებთ...

**გიორგი გაგუა**



**სურათებზე: ემზარ კიკალიშვილი; დაჯილდოებისას.**

◎ ხელბურთი

## „ჩელენჯერ ტროფი" ხვალ დაიწყება

**თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს გასტანს ხელბურთელ ვაჟთა „ჩელენჯერ ტროფი", რომელშიც მასპინძლებთან ერთად მოლდოვის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც იასპარეზებენ.** გამარჯვებული გუნდი ფინალში ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მსვლელობისას, რაც თბილისური ტურნირის მონაწილეებისთვის ერთგვარი სტიმულიც უნდა გახდეს.



გაუწყებთ „ჩელენჯერ ტროფის" შეხვედრათა კალენდარს:

**25 ოქტომბერი.** მოლდოვა – სომხეთი (16.30 სთ.); საქართველო – აზერბაიჯანი (18.30).

**26 ოქტომბერი.** აზერბაიჯანი – მოლდოვა (16.30), სომხეთი – საქართველო (18.30),

**27 ოქტომბერი.** აზერბაიჯანი – სომხეთი (12.00), საქართველო – მოლდოვა (14.00).

◎ რაგბი

## ზეიმობენ „ქურციკები"

**უკვე გაუწყეთ, რომ საფრანგეთში დასრულებული მსოფლიო თასის გათამაშების გამარჯვებული მეორედ გახდა სამხრეთ აფრიკის ეროვნული ნაკრები. ლოგიკურია, რომ ნელსონ მანდელას თანამემამულეთა ტრიუმფმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა სეზონის საუკეთესო მორაგბეთა გამოსავლენად მოწყობილი რეფერენდუმის შედეგები – „ქურციკებმა" ყველა ძირითად ნომინაციაში დაჯაბნეს ღირსეული კონკურენტები.**



წლის უძლიერეს მოთამაშედ ბრაიან ჰაბანა დაასახელეს, რომელმაც განვლილ ფორუმზე ერთბაშად რვა (!) ლელო მიითვალა და ლეგენდარული ახალზელანდიელის ჯონა ლომუს რეკორდი გაიმეორა. სპეციალური ჯილდოთი აღინიშნა გამორჩეული ბომბარდირის კოლინ მონტგომერის დიდოსტატობაც, მწვრთნელთა შორის კი დამსახურებულად აღიარეს ეშლი იანგის პროფესიონალიზმი.

◎ ჩემპიონთა ლიგა

# დღეს იმსაჯებენ

**უეფამ გამოაქვეყნა ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის დღევანდელი, ოთხშაბათის მატჩების მსაჯების სია. აი, ისინიც: „ბეშიქტაში" – „ლივერპული"** – კლაუს ბო ლარსენი (დანია), **„მარსელი" – „პორტუ"** – მანუელ ენრიკე მეჰუტო გონსალესი (ესპანეთი), **„რუსენბორგი" – „ვალენსია"** – კრეიგ ტომსონი (შოტლანდია), **„ჩელსი" – „შალკე"** – პეტერ ფრეიდფელდტი (შვედეთი), **„ვერდერი" – „ლაციო"** – ოლეგარიუ ბენკერენსა (პორტუგალია), **„რეალი" – „ოლიმპიაკოსი"** – ტომ ჰენინგ ევრებე (ნორვეგია), **„ბენფიკა" – „სელტიკი"** – მასიმო ბუზაკა (შვეიცარია) **„მილანი" – „შახტიორი"** – ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი).



* * *

უეფას სააპელაციო კომიტეტმა დისკვალიფიკაციის ვადა შეუმცირა „მილანის" მეკარე დიდას – ორიდან ერთ მატჩამდე. დღევანდელ მატჩში „შახტიორთან" ბრაზილიელი მეკარე მაინც ვერ ითამაშებს.

№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

● „რკინის თეატრი“ არის ნატიფი რომანი საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ, ეპოსის, ლირიკული პროზისა და შინაგანი მონოლოგის „კოქტეილი“, დაწერილი ნამდვილად დიდი მწერლის მიერ“. და რაც მთავარია: „ამ წიგნის გამოცემით საქართველო უბრუნდება მსოფლიო ლიტერატურის რუკას“




⊙ გზად მომავლისკენ

# რატომ აღარ ჩანდა საქართველო მსოფლიო ლიტერატურის რუკაზე?..

## ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრის“ დანიურად გამოცემის გამო

„შარშანდელი“ საუკუნის სამოციან წლებში რამდენჯერმე მომიწია სტანიცა ვეშენსკაიაში ყოფნა, სტუმრობა „წყნარი დონის“ ავტორთან, რომელთანაც ძალიან ხშირად ჩამოდიოდნენ სკანდინაველი გამომცემლები შვეციიდან, დანიიდან, ნორვეგიიდან... აშკარად ჩანდა, რომ მიხეილ შოლოხოვისთვის ნობელის პრემიის მინიჭების საკითხი იდგა. სკანდინავიის ქვეყნების ენებზე „წყნარი დონის“ სულ ახალი და ახალი გამოცემები გამოდიოდა. მახსოვს, ერთ-ერთ შვედ გამომცემელთან მიხეილ შოლოხოვმა ვაჟა-ფშაველაზე ჩამოაგდო სიტყვა და ასეთი არგუმენტი მოიშველია, თუკი ამერიკელ ლონგფელოს და ინდიელ თაგორს ნობელი ერგოთ, რა დააშავა ქართველმა ვაჟა-ფშაველამ, რომელიც ერთდროულად ლონგფელოც არის, თაგორიც და ასევე ნობელიანტი ინგლისელი კიპლინგიცო. მან მერეც, 1965 წელს, უკვე ნობელის პრემიის ლაურეატმა სტოკჰოლმშიც ილაპარაკა ამაზე, მაგრამ ოფიციალურად უპასუხეს, რომ გამონაკლისს ვერ დაუშვებდნენ და გარდაცვლილ მწერალს, უდავოდ ღირსეულსაც კი, ნობელს ვერ მიანიჭებდნენ.




ეს არცთუ ძალიან შორეული ამბავი ერთმა ფრიად სასიხარულო მოვლენამ გამახსენა... დღეს ქართველ მწერალთა შორის თუკი ვისმე კითხულობენ დედამიწის ზურგზე, კერძოდ, ევროპაში და ამერიკაში, თუნდაც აზია ვთქვათ, კონკრეტულად იაპონიაში, ეს ოთარ ჭილაძეა, რომელსაც უკვე კარგა ხანია, რაც ნობელის „აჩრდილი“ დასტრიალებს. ოთარ ჭილაძე, როგორც რომანისტი, უწინარესად, ცხადია, თითქმის თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის „მუცლიდან“ შობილი მწერალია, მაგრამ, ალბათ, გადაჭარბებული არ გამომივა, თუ ვიტყვი, რომ ეს სრულიად ახალი მწვერვალია, რომელიც წიგნის მკითხველი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოჩანს. და მოჩანს იმ დიდი თანამედროვე რომანისტების გვერდით, ვინც თვითონ მოძებნა ნობელის პრემიის ლაურეატობის მაღალმა წოდებამ...

ყველაფერი რომ აქეთ მიდის, ამის კიდევ ერთი დასტურია ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრის“ დანიური გამოცემა (მთარგმნელი და ბოლოსიტყვაობის ავტორია იან ჰანსენიძ.

„რკინის თეატრის“ დანიურად გამოცემისთანავე დანიური გაზეთი „ვიკედავისენი“ წერდა: „რკინის თეატრი“ არის ნატიფი რომანი საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ, ეპოსის, ლირიკული პროზისა და შინაგანი მონოლოგის „კოქტეილი“, დაწერილი ნამდვილად დიდი მწერლის მიერ“. და რაც მთავარია: „ამ წიგნის გამოცემით საქართველო უბრუნდება მსოფლიო ლიტერატურის რუკას“.

ქართველმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს არ არის მარტო ერთი გაზეთის შეფასება. ეს თანამედროვე ევროპის აზრია, რომელი აზრიც სულ უფრო ჯიუტად იკიდებს ფეხს მრავალ ქვეყანაში. ამის აშკარა დასტური კი ის არის, რომ ოთარ ჭილაძის რომანები ხშირად ითარგმნება და გამოდის საზღვარგარეთ, რუსულზე რომ აღარაფერი ვთქვა (რუსულად ოთარ ჭილაძის ყოველი ახალი რომანის ქართულად გამოცემისთანავე ხდება თარგმნაძ.

ოთარ ჭილაძის ბოლო დროს ფრიად გახმაურებული „გოდორის“, რუსული გამოცემის გამო, „ნოვაია გაზეტა“ აღნიშნავდა: „საქართველომ აუცილებლად უნდა გაიაროს ურთულესი... უსასტიკესი გზა თვითშემეცნებისა, რომელიც ოთარ ჭილაძის რომანშია წარმოდგენილი. უნდა გაიაროს ისევე, როგორც ჩვენ, რომლებსაც ეროვნული გამოფხიზლების წარმომჩენი ასეთი სიძლიერის რომანი, სამწუხაროდ, ჯერ არ მოგვეპოვება“.

და ამას ამბობენ რუსეთში, სადაც ბოლო ორი საუკუნეა დაბლა არ დახრილა ჭეშმარიტად დიდი ლიტერატურის დროშა. და ეს რუსებს ათქმევინა მაინცდამაინც ჩვენმა თანამედროვე ქართველმა მწერალმა, რომლის შემოქმედების „ხვავრილებაც“ მხოლოდ და მხოლოდ გაოცებას იწვევს... თუმცა სულ ახლახან ერთ-ერთ რომელიღაც ყოველკვირეულ გაზეთში (მგონი, „კვირის ქრონიკაში“) ოთარ ჭილაძეზე მსჯელობისას ერთ მართლაც უცნაურ აზრს წავაწყდი: დღეს ჩვენში ნამდვილად ორი აზრი არ არის, რომ ოთარ ჭილაძისოდენა რომანისტი, ამ დონისა და ამ ხარისხის პროზის შემქმნელი, ჩვენს უახლეს მწერლობაში არ ყოფილა. მაგრამ მწერალი თურმე ნაკლებად მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოველდღიურად არ ჩანს ტრიბუნაზე შემდგარი.

მაგალითი, რომელსაც ამ ცრუ აზრის გასაქარწყებლად მოვიყვან, იქნებ მთლად მისადაგებული და მოსწრებული არც იყოს, მაგრამ, მგონი, უნდა შეეფერებოდეს ვითარებას... ერთხელ სტალინს თურმე ფადეევისთვის უკითხავს, თუ რატომ არ დაასახელეს სტალინური პრემიის მოსაპოვებლად მწერალ ს.ზლობინის კანდიდატურა რომანისთვის — „სტეფანე რაზინი“. ფადეევს უპასუხია, ზლობინი საზოგადოებრივ საქმიანობას არ ეწევა და არსად არ ჩანსო.

მაგრამ ხომ შეიძლება რომ ზლობინი მაგ დროს იჯდეს და ახალ რომანს წერდესო, — უთქვამს სტალინს.

მგონი, დაახლოებით ასეა ბატონ ოთარის საქმეც, თუმცა სად ოთარ ჭილაძე და სად ზლობინი, თანაც ოთარ ჭილაძის პუბლიცისტიკა, სულ ცოტა, ათი მწერლის ეგრეთ წოდებულ საზოგადოებრივ საქმიანობას მაინც გადასწონის.

და რაოდენ მრავლისმთქმელია, რომ ამჟამინდელ არეულ და აწეწილ-დაწეწილ საქართველოში დედამიწასავით უჩუმრად და დედამიწასავით ნაყოფიერად ცხოვრობს მწერალი, რომელიც თავის მრავალტანჯულ სამშობლოს აბრუნებს მსოფლიო ლიტერატურის რუკაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ღვთისგან განწირულები არა ვართ და, ალბათ, ღვთის ნებითვე მოგვევლინებიან ხოლმე მადლმოსილი შემოქმედნი, ვისაც საუკუნიდან საუკუნეში, და ამ გზით ათასწლეულიდან ათასწლეულში, თავისი უტყუარი სახით გადაჰყავთ ჩვენი ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა, რომელსაც ბევრჯერ დაუძვრენია შინაური თუ გარეული გველეშაპის ფაშვიდან თავი და არც ახლა აპირებს იქ დარჩენას.

**გურამ გოგიაშვილი**

№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

⊙ ადამიანი დაუცველია

# გამომძიებელმა თითის ანაბეჭდები გააქრო

(მეთორმეტე გვერდიდან)

არადა, როგორც ოჯახის დიასახლისი აცხადებს, გასაკეთებელი მართლაც ბევრი იყო. იმ პერიოდში, სახლში, სადაც ტრაგედია დატრიალდა (მოსაშვილის 2ძ, ზედიზედ გაიქურდა 10-მდე ბინა. მოხდა რამდენიმე ყაჩაღობა. ბოროტმოქმედები ისე გათავხედდნენ, რომ თავს დაესხნენ შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკს მზია ხარაძეს. შეუვარდნენ ბინაში, სასტიკად სცემეს და პირწმინდად გაძარცვეს.

იმერლიშვილების გარდა მოსაშვილის 2-ში მცხოვრები ყველა დაზარალებული ითხოვს მათ მიერ საეჭვოდ ცნობილი პიროვნებების დაკითხვას. ბიბილაშვილმა ეს არ გააკეთა. უფრო მეტიც, ეზოში მოთამაშე იმერლიშვილების შვილიშვილისა და მისი ამხანაგებისაგან ფოტო რობოტის შექმნას ხელოვნურად უშლიდა ხელს. პოლიციაში დაბარებულ სოფოსა და მის თანატოლებს ბიბილაშვილი ხან კომპიუტერის სპეციალისტის არყოფნით, ხანაც კომპიუტერულ სისტემაში ქართული სახეების არარსებობის მომიზეზებით ისტუმრებდა უკან. ასე გაგრძელდა წელიწადზე მეტ ხანს.

სპეციალისტები, გამოცდილი ყოფილი თუ მოქმედი ოპერატიული თანამშრომლები, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში ხშირი საკადრო ცვლილებები უარყოფითად აისახება როგორც თანამშრომელთა მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობაზე, ასევე მათი პროფესიული დონის შემდგომ დახვეწაზე. შსს-ს ცენტრალურ აპარატში მომხდარი ხშირი საკადრო ცვლილებები თავის ასახვას პოვებდა ქვემდგომ ინსტანციებშიც. იწყებოდა ჯაჭვური რეაქცია. შედეგად კი იმას ვლებულობდით, რომ ყოფილები პასუხს არაფერზე აღარ აგებდნენ, ახლებს კი სიტუაციაში გასარკვევად საქმის მასალების შესასწავლად საკმაო დრო სჭირდებოდათ. ასე მოხდა იმერლიშვილების შემთხვევაშიც.

მორიგი საკადრო ცვლილებების შემდეგ ბიბილეიშვილი სამუშაოდან გაათავისუფლეს (მისი სამსახურებრივი თანამდებობის ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი არ უპასუხებს უცხო ზარებს, ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში კი აცხადებენ, რომ ყოფილი გამომძიებლის ადგილმდებარეობისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არა აქვთძ. იმერლიშვილების საქმე გამომძიებელ ბაჩა რამიშვილს გადაეცა

როდესაც დაზარალებულმა ოჯახმა ამის შესახებ შეიტყო, სასწრაფოდ მოინახულეს ახალი გამომძიებელი. რამიშვილმა იმერლიშვილებს ის დოკუმენტაცია, წარუდგინა რაც მათი საქმის ირგვლივ მემკვიდრეობით ერგო. სწორედ ამ საუბრის დროს გაირკვა, რომ ბიბილეიშვილმა ძიების მასალების გადაცემის დროს საქმიდან გააქრო თითის ანაბეჭდები და საქმეს დართული რამდენიმე ნივთმტკიცება. მათ გარეშე ბანდიტები რომც დააკავონ, სამართალდამცავებს სამხილები თითქმის აღარ აქვთ.

რამიშვილსაც დიდად არ შეუწუხებია თავი დაზარალებულთა მიერ ეჭვმიტანილ პირთა დაკითხვით. განაც ძველ მეთოდს, მოკვლევის გაჭიმვა-გადავადების გზას მიმართა. აღშფოთებულმა იმერლიშვილებმა საჩივრით შს მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს მიმართეს. მინისტრმა პირადი რეზოლუციით საქმის გამოძიება პოლიციის ქალაქის მთავარ სამმართველოს დაავალა. გამოძიება დაევალა გამომძიებელ ნათია წიკლაურს, მის ხელში საქმე სამი თვის მანძილზე ადგილიდან არ დაძრულა.

იმერლიშვილების მიერ მორიგი სამართლიანი უკმაყოფილების გამოხატვის შემდეგ საქმის გამოძიება დაევალა გამომძიებელ ირაკლი ხოშტარიას, ახალმა გამომძიებელმა ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. დაკითხა დაზარალებულები, გაატარა საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებები. მაგრამ ხოშტარია საქმეს მალევე ჩამოაშორეს. პოლიციაში მისულ იმერლიშვილებს განუმარტეს, რომ მათ საქმეს იძიებს გამომძიებელი ჯამასპაშვილი. 2007 წლის აპრილიდან დაევალა მას ამ საქმეზე მასალების მოპოვება-შეგროვება, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე იგი ერთხელაც არ შეხმიანებია დაზარალებულებს.

მოსაშვილის №2-ში მაცხოვრებელ დაზარალებულთა ერთი ნაწილი (იაკობიძე, თენეიშვილი, ჯაველიძე, გიგაური, ხარაძე, იმერლიშვილიძ დღესაც ცდილობს მიაღწიოს მათი მხრიდან ეჭვმიტანილების პოლიციის მიერ დაკითხვას, მაგრამ ამაოდ.

დღეს პროკურატურაც, რომელსაც გამოძიების კანონის ფარგლებში და გათვალისწინებულ ვადებში ჩატარებაზე კონტროლი ავალია. გამოძიებამ სამ წელზე მეტი ხნის მანძილზე ვერ „მოახერხა“ მოკვლევის ჩატარება, სათანადო მტკიცებულებების შეგროვება და საქმის შემდგომი გამოძიებისათვის პროკურატურისათვის გადაცემა. ყოველივე ეს კი, კიდევ უფრო რეალურს ხდის საზოგადოებაში გავრცელებულ ეჭვს სამართალდამცავებისა (ამ შემთხვევაში ვაკის პოლიციის თანამშრომლებისძ კრიმინალებთან ალიანსის თაობაზე, რაც კიდევ უფრო დაბლა სწევს მოქალაქეთა ნდობის ფაქტორს მათდამი.

**ზაზა ბილიხოძე**



● დილაუთენია, 1917 წლის 15 ოქტომბერს იარაღმომარჯვებული ჯარისკაცების წინ მდგომმა მატა ჰარიმ, მსოფლიო სილამაზისა და ცეკვის ჯადოქარმა, ლეგენდარულმა „ჯაშუშმა“ და სიყვარულისთვის თავგანწირულმა ქალბატონმა დახვრეტის წინ თვალების ახვევა არ ისურვა – მე მსურს სიკვდილსა და მკვლელებს თვალებში შევხედო!

◎ ბედისწერა

# ლეგენდარული „H-21“-ის ერთადერთი სიყვარული

## როგორ დალუპა რუსმა კაპიტანმა მატა ჰარი

**90 წლის წინათ, 1917 წლის 15 ოქტომბერს ვენსენის ყაზარმაში თორმეტმა ჯარისკაცმა რესპუბლიკის სამხედრო სასამართლოს ბრძანებით, საფრანგეთის წინააღმდეგ ჯაშუშობის ბრალდებით დახვრიტა ჰოლანდიის ქვეშევრდომი ლეგენდარული მატა ჰარი.**

ალბათ თვრამეტი წლის ულამაზესი მარგარეტ გერტრუდა ზელლე მსოფლიოში უბედნიერესი ქალბატონი იქნებოდა და სიამტკბილობაშიც გაატარებდა მთელ ცხოვრებას, რომ ერთ ბედნიერ თუ მისი მომავალი ცხოვრებიდან გამომდინარე ავბედით დღეს გაზეთში არ წაეკითხა პაწაწკინტელა განცხადება – „ოფიცერს, ოჯახის შექმნის მიზნით სურს გაიცნოს ახალგაზრდა გოგონა“. მარგარეტს ოცნებად ჰქონდა ქცეული, რომ მიეტოვებინა მშობლიური სახლი, მით უმეტეს, რომ „ჭკუა ეკეტებოდა“ სამხედროებზე. იგი არც დაფიქრებულა ისე გამოეხმაურა განცხადებას. ორმოცი წლის ოფიცერმა რუდოლფ მაკლეოდმა შავთმიანი ანგელოზის ფოტო რომ ნახა, ერთი წამითაც არ დაფიქრებულა და გაცნობიდან ექვსი დღის შემდეგ მასზე ჯვარი დაიწერა.

ორი წლის შემდეგ მათ ვაჟი ნორმანი შეეძინათ, წელიწადნახევარიც არ იყო გასული, რომ მათ ოჯახს პაწაწინა ქალიშვილი ნონიც შეემატა. ბედნიერი ქორწინება საშინელმა უბედურებამ დაარღვია. ოფიცერმა თავისი შვილების ძიძასთან ფლირტი გააბა. ძიძის მეუღლემ შური იმით იძია, რომ პატარა ნორმანი მოწამლა. ვაჟის სიკვდილმა რუდოლფზე ისე იმოქმედა, რომ იგი გალოთდა. ერთ დღესაც უგონოდ მთვრალმა მარგარეტი ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა.

შეურაცხყოფილმა მარგარეტმა ოჯახი მიატოვა და თავშესაფარი პარიზში მხატვართა წრეში მოძებნა. მშვენიერი აღნაგობის ქალი მენატურედ მოეწყო, მაგრამ ბოჰემურ პარიზელ მხატვრებს მისი პატარა მკერდის გამო თავი ვერ მოაწონა. მარგარეტმა თავშესაფარი ადგილობრივ ცირკში გამონახა – შესანიშნავი მოჯირითე გახდა. ცეკვაც ისწავლა და მისი პირველი დებიუტი 1905 წელს რუსი ქალბატონის კირეევსკაიას სალონში შედგა. აქ გაცნობილმა უმდიდრესმა მეწარმემ და მისმა თაყვანისმცემელმა ბატონმა გიმემ მას მატა ჰარი შეარქვა, რაც იავურ ენაზე „აისის თვალს“ ანუ „აისის ციალს“ ნიშნავს.

მთელი პარიზის ელიტა მის ფეხქვეშ განერთხო. თაყვანისმცემლები ფულსა და ძვირფასეულობას არ ზოგავდნენ რათა მატა ჰარის გული მოეგოთ. ევროპასა და მთელ მსოფლიოს ლეგენდარული მოცეკვავის სახელი ეკერა პირზე.

ყველაფერი ომმა ჩაშალა. იგი იძულებული გახდა პარიზი მიეტოვებინა და ჰააგაში წასულიყო ქალიშვილის სანახავად. პატარა ნონიმ დედა არ მიიღო. თავად მარგარეტსაც გასციებოდა მშობლიური გრძნობა. იგი ისევ უსაყვარლესი ადამიანის ძიებით დაკავდა.



* * *

მატა ჰარი – ცნობილი ჯაშუში. ამის შესახებ დღესაც მრავალი მოსაზრება და ერთმანეთისგან გამომრიცხავი თეორიები არსებობს. ბევრი ისტორიკოსისათვის იგი უილბლო სიყვარულის მსხვერპლია, ბევრისთვის პროფესიონალი ჯაშუში. თავად სასამართლო პროცესზე აცხადებს, რომ ყველა მისმა საყვარელმა თავის დაძვრენის მიზნით ჯაშუშად მონათლა. „მე ხომ ყველას სიყვარულს ვჩუქნიდი“, – იტყვის ყველასგან განწირული ულამაზესი ქალბატონი.

გამოძიების დოკუმენტებში ნაჩვენებია, რომ მატა ჰარის საყვარელმა, გერმანიის არმიის მესამე შტაბის პოლკოვნიკმა ვერნერ ფონ მირბახმა, რომელიც 1915 წელს შამპანის ოლქში იბრძოდა, შეძლო მისთვის ყოფილი საყვარლების დოსიეები გამოეძალა. იმ დროს მატა ჰარს ფინანსურად ძალზე უჭირდა. იგი თავის საყვარლების საიდუმლოებებს გერმანელ პოლკოვნიკს გადასცემდა. გერმანიის დაზვერვამ მატა ჰარს ახალი სახელი, ანუ კოდი „H-21“ „დამღად დაასვა“. გერმანელებმა იცოდნენ, რომ მარგარეტი „ენაჭიკჭიკა“ გახლდათ და მას, როგორც დეზინფორმატორს, ისე იყენებდნენ. ზოგიერთი ცნობით 1916 წელს მატა ჰარმა გაავრცელა ინფორმაცია თითქოსდა გერმანელები შეტევას აპირებდნენ ელზასსა და ფლანდრიაზე. ფრანგებმა ყურადღება სწორედ ფრონტის ამ ხაზზე გადაიტანეს, სინამდვილეში ნამდვილი ბრძოლა ვერდენში გაიმართა.

* * *

ორმოცი წლის მატა ჰარს 21 წლის რუსი ოფიცერი, საგანგებო პოლკის კაპიტანი ვადიმ მასლოვი შეუყვარდა. სწორედ შამპანის ბრძოლების მეწინავე კაპიტანი გახდა მისი ერთადერთი და ნამდვილი სიყვარული. ბრძოლებში მძიმედ დაჭრილი ვადიმი ფრონტისპირა ქალაქ ვიტელის ჰოსპიტალში იწვა. მარგარეტს არ შეეძლო არ მოენახულებინა ვადიმი და ყოფილ ნაცნობებს დახმარებას სთხოვდა, რათა საკმარისი თანხა შეეგროვებინა და ვიტელში ჩასულიყო. „ქველმოქმედიც“ გამოჩნდა – საფრანგეთის კონტრდაზვერვის შეფი კაპიტან ლადუ. მან მატა ჰარს დახმარება შეჰპირდა, სანაცვლოდ კი გერმანელთა მაღალჩინოსნებისგან საიდუმლო მასალების გადმოტანა დაავალა. მარგარეტი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ რუსი კაპიტანი ენახა. მან საშვი და მილიონი ფრანკი მოითხოვა. კაპიტანი ლადუს გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა – რად გინდა ამხელა თანხა? „მე ცოლად გავყვები ვადიმ მასლოვს და ჩვენ უბედნიერესი ადამიანები ვიქნებით მთელ დედამიწაზე“, – გულუბრყვილოდ უპასუხა მატა ჰარიმ.

1917 წლის 13 თებერვალს მატა ჰარის ექვსი სამხედრო პირი „ეწვია“. მას ბრალი საფრანგეთის წინააღმდეგ შეთქმულებაში დასდეს და ციხეში ჩასვეს. მისი უამრავი და უმდიდრესი თაყვანისმცემლები და საყვარლები დაიხსნიდნენ, მაგრამ საშინლად მოტყუვდა. სასამართლო პროცესზე ბოლო ხავსი რუსი კაპიტნის ჩვენება იყო, მაგრამ... ვადიმ მასლოვმაც ზურგი შეაქცია: „ჩემს ინტრიგებს მატა ჰარისთან არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, უფრო მეტიც, მე მისი მიტოვებაც კი მინდოდა და არც არასოდეს მყვარებია“.

მოსამართლის კითხვაზე თუ რას დაამატებდა ამ ჩვენებას, გულმოკლულმა მატა ჰარმა ჩაილაპარაკა – არაფერი მაქვს სათქმელი.

* * *

დილაუთენია, 1917 წლის 15 ოქტომბერს იარაღმომარჯვებული ჯარისკაცების წინ მდგომმა მატა ჰარიმ, მსოფლიო სილამაზისა და ცეკვის ჯადოქარმა, ლეგენდარულმა „ჯაშუშმა“ და სიყვარულისთვის თავგანწირულმა ქალბატონმა დახვრეტის წინ თვალების ახვევა არ ისურვა – მე მსურს სიკვდილსა და მკვლელებს თვალებში შევხედო! გაისმა თორმეტი გასროლის ხმა. მისი სხეულის, რომელსაც მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები ეფერებოდნენ, დაკრძალვა არავინ ითავა. ცხედარი საავადმყოფოს ანატომიურ განყოფილებაში წაიღეს.

Аиф-ის მიხედვით მოამზადა
**ავთანდილ ბექაურმა**

◎ მონატრება და მილოცვა

# ბერდია მარგიანი



გავიდა ოთხი თვე შენს ლოდინში, ცრემლითა და მწუხარებით რომ ვათენებთ და ვაღამებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაოდ.

ჩემო კეთილო, თბილო და პატრიოტო, გილოცავ ოცდამეთვრამეტე დაბადების დღეს, რომელიც 25 ოქტომბერს უნდა გეზეიმა შენს საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად. ვაი, რომ უშენოდ პირველად გილოცავენ დაბადების დღეს შენი ძმები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, მეგობრები და ახლო ნათესავები.

მოენატრე და დაბადების დღეს გილოცავს შენი მეუღლე მარიანა, შენი ოთხი ვაჟკაცი, რომლებიც დაუფრთიანებელი დაუტოვე გასაზრდელად.

მოენატრე შენს უბედურ მშობლებს, შენს ერთადერთ დასა და ძმებს, მამიდებს, მეზობლებს.

როგორ ოცნებობდი, კარგ მოქალაქეებად გაგეზარდა შენი ბიჭები, მაგრამ ვილაცის თავხედობამ შეიწირა შენი ოცნება და შენი სიცოცხლე. 24 ივნისს ამ ოცნებით მამიდასთან მიმავალს დილმის ტრასაზე გარეწარი, თავაშვებული მძღოლის მსხვერპლი გახდი. სიკვდილი არ გაკმარეს, გაგძარცვეს და ქუჩაში დაგაგდეს. ჩვენ იქნებ ვერ გადავუხადოთ სამაგიერო იმ გარეწარს, მაგრამ ღმერთი მაინც თავის წილ სასჯელს მიუზღავს.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვიაროთ შენს საფლავზე და სანთლები დავანთოთ შენი სულის ასამაღლებლად.

შენ კი ტკბილი ძილით იძინე მარადიულ სასუფეველში, ჩემო, იმედო და მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი კურთხეული მიწა.

შენი სიკვდილით თავზარდაცემული
და დაზაფრული
**ლამარა მამიდა**

№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

ხსოვნა

# სოფიო (დოდო) ტაბლიაშვილი



პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მედიკობიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი სოფიო (დოდოძ ტაბლიაშვილი. ჩვენგან წავიდა ბავშვების გულისხმიერი მკურნალი, ახლობლების, მეგობრების და თანამშრომლების მიმართ უსაზღვროდ თბილი ადამიანი, სათნოებით გამორჩეული დედა და ბებია.

სოფიო ტაბლიაშვილი დაიბადა 1934 წლის 10 ივნისს თბილისში. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი, 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1990 წელს სადოქტორო დისერტაცია, ავტორია 102 სამეცნიერო ნაშრომის, 2 მონოგრაფიის. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პედიატრიის ინსტიტუტის კვების განყოფილებას, სიცოცხლის ბოლომდე იყო ამავე განყოფილების სამეცნიერო კონსულტანტი.

სოფიო ტაბლიაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველა მისი ახლობლის გულში.

პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.



დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით თანავუგრძნობთ ქალბატონ რუსუდან ხაჯალიას ძვირფასი ძმის, შესანიშნავი მოქალაქისა და მოსიყვარულე ადამიანის
დათო ხაჯალიას
გარდაცვალების გამო.

ბატონი დათო იყო მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობებს, რაც ნათლად იგრძნობოდა სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხნის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე ყოფნისას და შემდგომ მოღვაწეობისას.

დღეს ჩვენს რიგებში აღარ არის სამშენებლო-სამონტაჟო დარგში ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე.

კოლეგებისა და მეგობრების ფართო წრე, ახლობლებთან ერთად, დიდი გულისტკივილით ეთხოვება ღირსეულ პროფესიონალსა და ერთგულ მეგობარს დათო ხაჯალიას.

სააქციო საზოგადოება „ბ.ც. მონტაჟსპეცმშენის“ კოლექტივი

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ თანამშრომლები და მეგობრები იუწყებიან,რომ ბატონ კოკა ხაჯალიას გარდაეცვალა მამა
დავით კონდრატეს ძე ხაჯალია
და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს. პანაშვიდი 23, 24 X, 17 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 47, I კვარტალი, მე-19 კორპ.ბინა 20. გამოსვენება 25 X, 15 სთ. საბურთალოს პანთეონთან ამაღლების ეკლესიიდან.



სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენის“ თანამშრომლები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების დირექტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი
გურამ მიხეილის ძე მესხი
პანაშვიდი 23, 24 X, 17 სთ. გამოსვენება 25 X, 14 სთ. მისამართი: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ.№25.

შპს „სპეცენერგორემონტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ მესხი
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს ასოციაციის წევრს ქალბატონ ლედი ტუკვაძეს მამის
სულიკო ტუკვაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის დირექცია და პედაგოგთა პერსონალი თანაუგრძნობს კოლეჯის ხელმძღვანელს პროფესორ ქეთევან გოლეთიანს დედის
გუგული გოლეთიანის
გარდაცვალების გამო.

...თბილისელებს რუსოფობიას აბრალებენ, მაგრამ აქ, მადლი ღმერთსა, „უცხო სხეულობით“ ჯერ არცვინ მოუკლავთ. მოსკოვში კი აჩრდილები დაძრწიან – სკინჰედიზმისა და ფაშიზმისა. დაძრწიან და ჰკლავენ...



№ 204. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

მეზობლებთან

# მოსკოვს სკინჰედებისა და ნაცისტებისა სჯერა...



**რუსეთის დედაქალაქში სკინჰედები განაგრძობენ შეუბრალებელ ნადირობას „უცხო სხეულებზე“. ერთ დღეს რამდენიმე საათში ნამდვილი სასაკლაო მოუწყვიათ დასავლეთ ბირიულევში.**

პირველი შეტევა ვოსტრიაკოვის გასასვლელში განუხორციელებიათ ერთი სახლის წინ. საღამოს გამოძახებულ მილიციელებს მხოლოდ ორი დასისხლიანებული ტაჯიკი დახვედრიათ, ორივე უგონო, დანით მრავალგზის დაჭრილი. მოგვიანებით ერთ-ერთი, 22 წლის ჭაბუკი, გონზე მოსულა და მოუხერხებია ლაპარაკი:

– შვიდნი დაგვესხნენ. ორივეს რამდენჯერმე დაგვარტყეს დანა და გაიქცნენ. 18-20 წლისანი იქნებოდნენ, ჩასხმულები, სლავური გარეგნობისა.

ერთი ტაჯიკი კი მოვიდა გონზე და გადარჩება, მეორე რეანიმაციაში რჩება.

ტაჯიკების „დალაშქვრიდან“ ცოტა ხანში იმავე დასავლეთ ბირიულევში ისევ დაშავდნენ ჩამოსულნი, ამჯერად სამნი. მოგვიანებით ერთ-ერთი აზერბაიჯანელი, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ჩვენებებში კვლავ ფიგურირებენ დანებიანი ახალგაზრდა რუსები.

სექტემბერში რუსეთის სატახტოში ირანელი სტუდენტი მოკლეს. იმის კვალდაკვალ ჩინელი და ჩუვაში დაშავდნენ. მათზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი 4 ჭაბუკი ნაცისტი დაკავებულია.

...თბილისელებს რუსოფობიას აბრალებენ, მაგრამ აქ, მადლი ღმერთსა, „უცხო სხეულობით“ ჯერ არცვინ მოუკლავთ. მოსკოვში კი აჩრდილები დაძრწიან – სკინჰედიზმისა და ფაშიზმისა. დაძრწიან და ჰკლავენ...

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

ფრთხილად!

## საშიში დღეები და საათებია

**26 ოქტომბერი,** პარასკევი (პიკი 7-9 საათებიძ. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. შესაძლოა პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქცია, აქტიურობა, ემოციურობა, აღგზნებადობა, კვების პროდუქტებისადმი მგრძნობიარობის გადიდება. დაიცავით დიეტა, სასურველია წყლის პროცედურები, ყოველხმრივ მოერიდეთ გაცივებას.

**30 ოქტომბერი**, სამშაბათი (პიკი 20-23 საათებიძ.

გვემრავლოს!

## ღმერთო, ვაჟკაცად გაზარდე!..



**მართლმადიდებლურ საქართველოს კიდევ ერთი ნორჩი ქრისტიანი შეემატა – გუშინ სოლოლაკის ამაღლების ეკლესიაში მამა საბამ მონათლა ახალგაზრდა მედიკოსების ლელა თანდაშვილისა და გია მეზუკეს პირმშო – ირაკლი.**

სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად ახალშობილს, ბუნებრივია, დაანათლეს სახელოვანი დიდი სეხნიის – პატარა კახის შესაშური ვაჟკაცობა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და, თქვენ წარმოიდგინეთ, მრავალშვილიანობაც კი. მეფე ერეკლე II ხომ მემკვიდრეთა სიმრავლითაც გამოირჩეოდა.

შთამომავლობის სიმრავლეს ვუსურვებთ პირველი შვილიშვილით გახარებულ თინიკო სანოძესა და ჯემალ მეზუკეს, მალვინა ჩიგოგიძესა და ლევან თანდაშვილს, მათ ოჯახებს ხომ თითო გასათხოვარ-დასაქორწინებელი შვილი კიდევ ჰყავთ.

შვილთა სიმრავლე კი ნამდვილად სჭირდება თითქმის გადაშენების გზაზე მდგარ ჩვენს საქართველოს.

**ვალიკო სიმონიშვილი**

რეპლიკა

## დიპლომატები „კატაობენ“

**როგორი ქართულითაც ტელეეკრანიდან გვესაუბრებიან, ისეთი ქართველებიც ვართ. ახია ჩვენზე.**

კარგა ხანია მივეჩვიეთ: ვთქვათ, საქველმოქმედო პროგრამა, რომელიც ერთ არხზე 25 ათას ლარიანია, სხვა არხზე 25 მილიონი დოლარი ღირს. ერთ არხზე თუ იტყვიან – ეს კაცი პეტრიაშვილიაო, სხვა არხზე იგი პავლიაშვილად, ანუ სულაც კოტორაშვილად გამოგვეცხადება.

ახლა ქართული ენის უცოდინარობის ერთ „შედევრზე“: „თბილისობაზე“ ჟურნალისტმა (რომელი არხიდან, არ ვიტყვი, ისედაც სახელი აქვს გატეხილიძ გვითხრა აი, ტივით, მტკვარზე რომ მიცურავს, დიპლომატები კატაობენო.

კარგით რა, უწიგნურობასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი!

კატაობენ რა, კატები არიან, არა, სეირნობენ?..

**თინათინ წიგნაძე,**
**ქ. გორი.**

ამაო თხოვნა

## 35 ათასი ევრო სამკურნალოდ

**ზუგდიდელი ბონდო მეზონია შვილის სამკურნალოდ ხელისუფლებისგან 35 ათას ევროს ითხოვს.**

ზუგდიდიდან თბილისში იგი გუშინ ფეხით წამოვიდა. მეზონია დახმარებას უშუალოდ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან ელოდება.

– ჩემს შვილს, 27 წლის ირაკლის სასწრაფო სამედიცინო დახმარება სჭირდება. ოპერაციის გაკეთება ქალაქ ფრანკფურტშია შესაძლებელი, სადაც სამკვირიანი მკურნალობა 35 ათასი ევრო ჯდება, – აღნიშნეს ბონდო მეზონიამ და მისმა მეუღლემ.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

ექიმი თავის ძველ პაციენტს ხვდება.

– გამარჯობათ, შესანიშნავად გამოიყურებით! როგორ არის თქვენი წყლული?

– ერთი კვირით დედამისთან წავიდა.

* * *

მატარებლის კუპეში ძალიან ლამაზი მოკლეკაბიანი გოგო და მამაკაცი სხედან.

– ქალიშვილო, –ეუბნება მამაკაცი, – თუ შეიძლება მუხლებზე რამე დაიფარეთ.



თქვენც თბილად იქნებით და არც მე ვიკანკალებ.

* * *

ქალი სამსახურში თვალებჩალურჯებული მივიდა.

– ასე ვინ გაგიმეტათ? – ეკითხებიან.

– ქმარმა.

– ჩვენ კი გვეგონა, რომ იგი მივლინებაში იყო.

– მეც ასე მეგონა.

* * *

– ძვირფასო, მითხარი, რას იტყოდი, რომ მეთქვა, შენს უახლოეს მეგობართან ვიწექი-მეთქი? – ეუბნება ცოლი ქმარს.

– გეტყოდი, რომ ვერაფრით დავიჯერებდი, ლესბოსელი თუ იყავი.

* * *

შეფი ხელქვეითებს ანეკდოტებს უყვება. ყველანი იცინიან ერთის გარდა.

შენ რად არ იცინიო, ეკითხებიან.

– რა აზრი აქვს, ხვალიდან სხვა სამსახურში გადავდივარ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები (კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.